# ლიტერატურული საქართველო

ლიტერატურული საქართველო ⋆ LITERATURULI SAQARTVELO ⋆ ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

17 თებერვალი 2023წ. №2 (4062) გამოცემის 92-ე წელი ფასი 2 ლარი


## მუდამ აქტუალური

რაც დრო გადის, სულ უფრო ვრწმუნდებით მის სიდიადეში. ის მაღალია, როგორც მყინვარწვერი და ცოცხალია, როგორც თერგი. თანამედროვე მოვლენები, მსოფლიო ბორგვა და ჩვენი სამშობლოს ბედ-იღბალი ძალაუნებურად გაგვახედებს იქით, სადაც მხატვრული დასაბუთებით არის ახსნილი ქართული იდეისა და კავკასიური ერთობის დიალექტიკური ურთიერთკავშირი, ისტორიული აუცილებლობა.

უცთომელი პოლიტიკური ალღო ჰქონდა, არასოდეს შეუცვლია მრწამსი, დამოკიდებულება, პრინციპი. რაც სწამდა, იმას ბოლომდე იცავდა, ბოლომდე გადაჰქონდა ბელეტრისტიკაში.

ამიტომ ჩვენც იქ ვართ, სადაც გვეგულება ჭეშმარიტების მომენტი, სადაც არის „ქართველების ომიროს“, სადაც უსმენენ ხევის ბეთჰოვენს.



20 იანვარს, სტეფანწმინდაში ალექსანდრე ყაზბეგის 175-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება გაიმართა. სტუმრებმა და სტეფანწმინდელებმა გვირგვინით შეამკეს დიდი ქართველი მწერლის საფლავი, სასულიერო პირებმა გადაიხადეს მწერლის უკვდავი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი. აქვე დამსწრე საზოგადოებას შესაძლებლობა მიეცა გასცნობოდა ყაზბეგის ისტორიული მუზეუმის სრული რეაბილიტაციის პროცესს. მუზეუმის დირექტორმა იაგო კაზალიკაშვილმა დეტალურად ისაუბრა მიმდინარე და დაგეგმილი სარესტავრაციო სამუშაოების შესახებ.

შემდეგ საიუბილეო ღონისძიებამ დაბა სტეფანწმინდის კულტურის სახლში გადაინაცვლა. საღამოს უძღვებოდა განათლებისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი ანა ხუციშვილი, რომელმაც მოკლედ ისაუბრა ალექსანდრე

▶▶ დასასრული. მე–2 გვ.



## ისტორია როგორც სპექტაკლი

### დუშეთის სახალხო თეატრი 143 წლისაა

2023 წლის 20 იანვარს ქალაქ დუშეთში, საქართველოს სახალხო არტისტის ილია ზაქაიძის სახელობის კულტურის სახლში დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ინიციატივით ჩატარდა დუშეთის სახალხო თეატრის დაარსებიდან 143 წლის იუბილე.

გაიხსნა დუშეთის სახალხო თეატრის ვარსკვლავი.

თეატრი „სახალხო“ ოფიციალურად 1959 წელს გახდა, ხოლო 2018 წლის 20 აპრილს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის, იაკობ ტრიპოლსკის სახელი. თეატრს იუბილე სცენიდან ჩანაწერების საშუალებით მიულოცეს რობერტ სტურუამ, მურმან ჯინორიამ, თათული დოლიძემ, ნანული სარაჯიშვილმა, მარინა კახიანმა. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, თეატრალური საზოგადოების, ხელოვნების მუზეუმის, რუსთაველის თეატრის და მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პირები და წარმომადგენლები.

გადავხედოთ დუშეთის სახალხო თეატრის პირველ ნაბიჯებს.

როგორც ცნობილია, 1850 წლის 14 იანვარს ქ. თბილისის გიმნაზიის სააქტო დარბაზში სცენის მოყვარულთა ძალებით, გიორგი ერისთავის რეჟისორობითა და მონაწილეობით წარმოადგინეს პიესა „გაყრა“.

▶▶ დასასრული. მე–2 გვ.

გივი გეგეჭკორი – 90

## კულტის მსახური



არსებობდნენ და არსებობენ ადამიანები, რომლებიც თავიანთი ცხოვრებით ამტკიცებენ, რომ სიკეთე და მშვენიერება ღვთაებრივი, წარუვალი, უკვდავი ცნებებია. ასეთ ადამიანებს შოთა რუსთაველი „ბუნება-ზიარს“ ანუ ღვთაებრივ არსთან ზიარებულს უწოდებს.

პოეტი გივი გეგეჭკორი ერთ-ერთი ასეთი ადამიანი იყო, რომელსაც გამოარჩევდა პიროვნული ხიბლი, შინაგანი კულტურა, გადამდები სიმშვიდე, თავმდაბლობა და კეთილი ღიმილი.

ასეთივეა მისი ლექსებიც – ჰარმონიული, დახვეწილი, მათემატიკურად ზუსტი.

შეიძლება ითქვას, რომ გივი გეგეჭკორის პიროვნული ხასიათი და პოეტური შემოქმედება ერთი მთლიანობაა, რომელშიც თავმოყრილია ზნეობრივი პრინციპები, წერის რაფინირებული, დახვეწილი სტილი და ადამიანური თვისებები.

კარგად წერდა თამაზ ჩხენკელი: „გივი გეგეჭკორი მწიგნობარი კაცია, წყნარი და თვინიერი კაცი... მას არ იზიდავს მქუხარე აუდიტორიები, ესტრადული პოპულარობა, კარიერული გამორჩეულობა და სტატუსები. ლექსებზე შრომაა მისი სტიქია, თავდავიწყებული შრომა... პოეზიის უმაღლესი ლაბირინთების ვერმცნობი მკითხველი ვერც კი წარმოიდგენს, თუ რა ენერგიას ხარჯავს პოეტი იმისთვის, რომ „უზარმაზარი მსუნთქავი სტროფი“ გამართოს“.

„ლექსი ჩემი რელიგიააო“. – წერდა გივი გეგეჭკორი და მართლაც, მისი ფიქრიანი, მელოდიური, შინაგანი დიალექტიკით აღსავსე ლექსი ლოცვასავით იკითხება.

ის ქართული პოეტური კულტურის საუკეთესო ტრადიციათა ერთგული და, ამავე დროს, თვითმყოფადი პოეტური ენერგიით დამუხტული შემოქმედი იყო, რომლის მთლიანობა ვერც დრომ დაარღვია და ვერც მოვლენებმა.

თუ ჩვენში მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი პოეტურ დროს აჩვენებდა, ეს გივი გეგეჭკორის დამსახურებაც იყო. ის გახლდათ იშვიათი ტალანტი, რომელიც კულტის მსახურის ერთგულებით მუშაობდა პოეტურ სიტყვაზე.

მას ჰქონდა პოეტური ხედვის ევროპული რადიუსი და სრულიად თავდადებით, სრულიად უხმაუროდ, სრულიად კვალიფიციურად ქმნიდა თანადროული ქართული პოეზიის პრესტიჟს.

**ივანე ამირხანაშვილი**


ქართული ენის მსახური



ბესარიონ ჟორჟენაძე – 80

გვ.2

„მე შევიცანი ადამიანი“



ჯემალ კუხალაშვილი

გვ. 5

მირაჟი



გაგა შურღაია

გვ. 8-9

ლიბროკუბიკულარისტის შთანაწერები



პაატა ნაცვლიშვილი

გვ.12

თანამედროვე რომანის პრობლემები



დომინიკ ვიარი

გვ. 15

▶▶ პირველი გვერდიდან



ყაზბეგის შემოქმედებაზე და მის მნიშვნელობაზე თანამედროვე კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შემდეგ კი აუდიტორიას წარუდგინა დედაქალაქიდან ჩამოსული სტუმრები: საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, პოეტი თემურ ჩალაბაშვილი, მწერალთა კავშირის საორგანიზაციო მდივანი ზაალ ბოტკოველი, საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ანდრო ბედუკაძე, პოეტი ედუარდ უგულავა, „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი.

სიტყვით გამომსვლელებმა ვრცლად ისაუბრეს ალექსანდრე ყაზბეგის ეპოქაზე და მის მხატვრულ შემოქმედებაზე, ხაზი გაუსვეს, რომ ამ ყველასგან გამორჩეული მწერლის შემოქმედებას არა აქვს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა, რომ ის მუდამ აქტუალური და თანამედროვე იქნება. მისი გმირები მარად იცოცხლებენ მკითხველის ცნობიერებაში და ყოველთვის გასათვალისწინებელი იქნება მწერლისეული შეგონება — გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ! აქვე გახმიანდა საინტერესო სიახლე – მალე ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი ილიას ფონდთან ერთად დაიწყებს ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებათა აკადემიური ექვსტომეულის გამოცემას.

სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმის კოლექციათა ატრიბუციის სპეციალისტმა ლია ფირანიშვილმა დეტალურად ისაუბრა მუზეუმის დაარსების ისტორიასა და მის ფონდებში დაცულ მდიდარ კოლექციაზე, ხოლო მუზეუმის ფონდების მცველმა ნაზი სუჯაშვილმა ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ უცნობი და საინტერესო მოგონებები გააცნო აუდიტორიას. ახალგაზრდა სპორტსმენმა ნიკოლოზ ბუჩუკურმა კი მუზეუმს თავისი ხელით მოქსოვილი ჯაჭვის პერანგი უსახსოვრა.

საიუბილეო საღამო მუსიკალურად გააფორმეს და განსაკუთრებული ხიბლი შემატეს კულტურის ცენტრთან არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა „დიდებაიმ“, „ერობამ“და „კალთამ“.

**გიორგი ჩქარეული**

ეს თარიღი მიჩნეულია ქართული თეატრის აღდგენის დღედ.

ამ დროიდან საქართველოში დაიწყო მოძრაობა სახალხო თეატრებისა და თეატრალური დასების შესაქმნელად.

გადის 30 წელი და 1880 წელს გაზეთ „დროების“ (№24) ინფორმაციით „ქალაქ დუშეთში შესდგა გროვა თეატრის მოყვარულთა. აღმოაჩინეს, გამართეს სახლი ( P.S. ეს ის სახლია, სადაც 1864-73 წლებში ცხოვრობდა ილია ჭავჭავაძე.) და 20 იანვარს წარმოადგინეს ორი პიესა: ერთი რუსულსა და მეორე ქართულს ენებზედ, სასარგებლოდ დუშეთის საქალაქო საქალებო სასწავლებლისა, რომელიც დაარსდა




8 ნოემბერს 1874 წელს.“

დაარსების დღიდანვე თეატრს აქტიურად დაუწყია მუშაობა და იმავე წელს დუშეთში წარმოდგენა დაუდგამს „სასარგებლოდ ერთის ყმაწვილის კაცისთვის, რომელსაც დაუსრულებია სწავლა თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში და არა ჰრგებია სტიპენდია უნივერსიტეტში წასასვლელად“.

ამ სპექტაკლში („ბიძიასთან გამოხმაურება“) მონაწილეობა მიუღია სახელგანთქმულ მსახიობს ნატო გაბუნიას, რომელიც თბილისიდან მოუწვევიათ.

დუშეთის თეატრალური ცხოვრების დასაწყისში სცენისმოყვარეთა შეკრების, დასის შედგენისა და პირველი სპექტაკლების დადგმის ინიციატორი ყოფილა დუშეთში მცხოვრები ქალბატონი თამარ კვალიაშვილი.

მისივე თხოვნით, 1880 წლის აგვისტოში, დუშეთში ისევ ჩამოდის ქალბატონი ნატო გაბუნია და ადგილობრივ სცენისმოყვარეებთან ერთად მონაწილეობს სპექტაკლებში. დუშეთის სახალხო თეატრის შესახებ თავის წიგნში „დუშეთის თეატრალური ცხოვრების მატიანე“, რომელიც 1997 წელს გამოიცა, ვრცლად მოგვითხრობს ბატონი ირაკლი გოგოლაური.

დავასახელებთ იმ ცნობილ მოღვაწეებს, რომლებსაც კავშირი ჰქონდა დუშეთის სახალხო თეატრთან: ვასო აბაშიძე, მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ნატო გაბუნია, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ვალერიან გუნია, დიმიტრი ჩარკვიანი, ალექსანდრე კავსაძე,

აკაკი ხორავა, ვასო გოძიაშვილი, იაკობ ტრიპოლსკი, ელენე ყიფშიძე...

**საკუთარი ინფორმაცია**

# ქართული ენის მსახური

## ბესარიონ ჯორბენაძე – 80

ცნობილ ქართველ ენათმეცნიერს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორს, ბესარიონ ჯორბენაძეს, 2022 წელს 80 წელი შეუსრულდებოდა. თითქმის 30 წელი გავიდა მისი გარდაცვალებიდან. ყველასათვის მოულოდნელ და თავზარდამცემ ტკივილს, რომელიც მისი უდროო წასვლით იყო გამოწვეული, დრო ვერ ანელებს, ის აუნაზღაურებელი დანაკლისი კი, რომელიც ჩვენმა მეცნიერებამ მისი ამ ქვეყნიდან წასვლით განიცადა, დროთა განმავლობაში კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება.

საბედნიეროდ, ბ. ჯორბენაძემ დატოვა იმდენად მნიშვნელოვანი და ღირებული ნაშრომები (17 მონოგრაფია და 150 გამოკვლევა), რომ მათი ავტორი მუდამ მოიხსენიება ქართული ენათმეცნიერების კლასიკოსთა გვერდით, ქართული ენის მკვლევარი კი გვერდს ვერ აუვლის ამ ფუნდამენტურ ნაშრომებს.

მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე ამონარიდს იმის ნიმუშად, თუ როგორ ახასიათებენ ბ. ჯორბენაძეს, როგორც მეცნიერს, მისი უფროსი კოლეგები: „მაღალკვალიფიციური სპეციალისტია... მისი ნაშრომები გამოირჩევა საკითხებისადმი ორიგინალური, ახლებური მიდგომით... გამახვილებული აქვს მეცნიერებაში სიახლისა და პერსპექტივის გრძნობა, ამავე დროს სათანადოდ აფასებს ტრადიციასაც“ (აკად. ქ. ლომთათიძე); „ბესარიონ ჯორბენაძე იმ მეცნიერთაგანია, ვისი არაერთი ნაშრომიც გლობალური თვალთახედვით განიხილავდა ქართული ენათმეცნიერების წინაშე მდგარ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს და ქმნიდა პირობებს საკითხთა უფართოესი სპექტრით კვლევისათვის“ (გ. ცოცანიძე); „მას ბადალი არ ჰყავდა მეცნიერული მოღვაწეობის შედეგიანობით თავის თაობაში... იოლი სრულებით არ იყო ქართული ენათმეცნიერების კლასიკოსების — აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის, არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურიას, გიორგი როგავას, გივი მაჭავარიანის და სხვათა ნაღვაწის ფონზე დაწერილიყო პირველხარისხოვანი ლინგვისტური შრომები. მხოლოდ ელვარე ნიჭისა და უზარმაზარი ენერგიის, მეცნიერების სიყვარულით გულანთებულ კაცს შეეძლო ძალიან მოკლე დროში შეექმნა ამდენი მონოგრაფია და მეცნიერული გამოკვლევა“ (კ. დანელია).

კიდევ ბევრი ამონარიდის მოყვანა და ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა მის მეცნიერულ ნამოღვაწართან დაკავშირებით, რომელიც ქართული კლასიკური ლინგვისტიკის გაგრძელებაც არის და ახალი ეტაპიც თანამედროვე ენათმეცნიერებაში, მაგრამ გვინდა მისი მოღვაწეობის სხვა მხარეებსაც შევეხოთ.

ბესიკ ჯორბენაძე იყო საუკეთესო ლექტორი. იგი ისე საინტერესოდ საუბრობდა, ისეთი შემართებითა და შთაგონებით კითხულობდა ლექციას, რომ წარმოუდგენელი იყო, თუნდაც ცოტა ხნით, სხვა რამეზე გეფიქრა და არა იმ საკითხებზე, რომლებსაც ის განიხილავდა; ლექციის ბოლოს თავად ლექტორის გარდა სტუდენტებიც დაღლილები იყვნენ, მაგრამ მიღებული შთაბეჭდილება დაუვიწყარი იყო. ვისაც ბედნიერება ჰქონდა, ბატონი ბესიკის სტუდენტი ყოფილიყო, დაგვეთანხმება, რომ მის ლექციებზე მიღებული მუხტი ძლიერ სტიმულს აძლევდა არა მხოლოდ მომავალ ლინგვისტებს, არამედ სრულიად განსხვავებული ინტერესების მქონე ახალგაზრდებსაც. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბატონ ბესიკს განსაკუთრებული მოწიწება და სიყვარული ჰქონდა თავისი მასწავლებლების მიმართ. ვარლამ თოფურია მისაბაძ მაგალითად ჰყავდა მთელი ცხოვრების მანძილზე. თავის ერთ მოგონებაში იგი წერდა: „ვარლამ თოფურია მაგალითი იყო მეცნიერული თავდადებისა, ობიექტურობისა და სიმართლისა; და რაც მთავარია, თავისი შრომით, მოქმედებით, სიტყვით, მთელი ცხოვრებით იგი გვასწავლიდა ადამიანობას“. ეს სიტყვები თავად ბატონ ბესიკზეც შეიძლება გავიმეოროთ.

ბ. ჯორბენაძე იყო შესანიშნავი ხელმძღვანელი. სხვადასხვა დროს იგი იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის გამგე, ამავე უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების გამგე, შემდეგ ამ ინსტიტუტის დირექტორი. ამ თანამდებობებზე ყოფნისას იგი ყოველთვის გამოირჩეოდა უაღრესად დიდი პასუხისმგებლობით, საქმისადმი ერთგულებითა და თავდადებით, ახალი წამოწყებებითა და საინტერესო იდეებით. ბ. ჯორბენაძისათვის, როგორც თავად ამბობდა, ნებისმიერი თანამდებობა იყო საშუალება მიზნის მისაღწევად, მისი მიზანი კი ყოველთვის იყო სასიკეთო,



საჭირო და აუცილებელი საქმეების წამოწყება და შესრულება და, რაც ასევე მნიშვნელოვანია, ამ საქმეებში რაც შეიძლება მეტი ადამიანის ჩართვა. ბატონ ბესიკს, თავისი გადამდები ენთუზიაზმის წყალობით, შეეძლო, ერთი შეხედვით ერთფეროვანი შრომაც კი ერთად საქმის კეთების სიხარულად ექცია.

ბ. ჯორბენაძე განსაკუთრებით ზრუნავდა სამეცნიერო კადრების აღზრდაზე. ამ მხრივ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს „საენათმეცნიერო საუბრების“ მნიშვნელობა. ეს გახლდათ უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა მუდმივმოქმედი სემინარი, რომელსაც თავად ხელმძღვანელობდა. ამ უაღრესად საინტერესო ლინგვისტურმა დისკუსიებმა დიდი როლი ითამაშა ენათმეცნიერთა ახალი თაობის ფორმირებაში. სწორედ ამ ახალმა თაობამ

პროფესორ გიორგი გოგოლაშვილის ხელმძღვანელობით, ბ. ჯორბენაძის გარდაცვალების შემდეგ დააარსა „ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება“, რომელიც ამ წლების განმავლობაში ერთგულად აგრძელებს მის წამოწყებებს. უწყვეტად გამოდის პერიოდული სამეცნიერო კრებული „საენათმეცნიერო ძიებანი“ (მთავარი რედაქტორი და გამომცემელი გ. გოგოლაშვილი). დღეისათვის გამოცემულია 43 წიგნი. გიორგი გოგოლაშვილის ძალისხმევით გამოიცა ბ. ჯორბენაძის რამდენიმე მონოგრაფია, გამოიცა მის მიერ შედგენილი „ქართული ენის სახელური ფუძეების ლექსიკონი“, დღის სინათლე იხილა არაერთმა სტატიამ, რომელიც მეცნიერის არქივში ხელნაწერის სახით იყო დაცული.

ბატონი ბესიკის სახელს უკავშირდება ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია „კლასიკოსთა გაკვეთილები“, რომელიც მწერლის ენას ეძღვნება. ორი კონფერენცია ბ. ჯორბენაძის სიცოცხლეში გაიმართა, 1993 წლიდან კი ამ საქმეს თავკაცობენ გ. გოგოლაშვილი და რ. ჭიკაძე. დღეისათვის „კლასიკოსთა გაკვეთილებს“ უკვე 30-ჯერ უმასპინძლა თელავმა.

დასასრულ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ბატონი ბ. ჯორბენაძის, როგორც მამულიშვილის, ღვაწლის შესახებ. როგორც ქალბატონი შუქია აფრიდონიძე წერდა, „ბ. ჯორბენაძისათვის ქართული ენა თავისი მრავალი წახნაგით მხოლოდ მეცნიერული შესწავლის ობიექტი არ ყოფილა. იგი მეცნიერის მოქალაქეობრივი მრწამსის გამოხატულებაც იყო“. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ 1978 წლის აპრილის დღეები. ბ. ჯორბენაძის გამოსვლა თბილისის სახელმწიფო უნიტერსიტეტის ქართული ენის კათედრის 30 მარტის სხდომაზე იყო ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა დაიცვას მეცნიერმა თავისი პრინციპები — საკითხის ღრმა ცოდნით, უშიშრად და თან აკადემიური ფორმით. გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს ბესიკ ჯორბენაძის ამ სიტყვიდან, რომელიც გამოქვეყნდა 1996 წელს გაზეთ „ბურჯი ეროვნებისას“ მე-4 ნომერში: „უსათუოდ უნდა დაიხვეწოს და შესწორდეს ის მუხლები, სადაც ენის შესახებაა საუბარი. ეს არის 75-ე და 110-ე მუხლები...“; „75-ე მუხლი ჩამოყალიბდეს ასე: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა...“ — მუხლი 110 წარმოდგენილ იქნას ასე: „საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დადგენილებები და სხვა აქტები ქვეყნდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით...“ „182-ე მუხლს დაემატოს: „საქართველოს სსრ ჰიმნი სრულდება ქართულ ენაზე“... აქ აგრეთვე საუბარია ქვეყნისათვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: საქართველოს მოქალაქეობის სტატუსის შემოღება, კონსტიტუციაში საქართველოს ტერიტორიის, მისი საზღვრების განმარტება, ქართული ჯარის შექმნა და სხვ. დღეს ბევრმა შეიძლება ბოლომდე ვერც კი გაიაზროს, თუ როგორი გამბედაობა იყო საჭირო, რომ იმ დროს ასეთი საკითხები საჯარო განხილვის საგნად გექცია.

ბ. ჯორბენაძისათვის ცხოვრების მიზანი ქართული ენის სამსახური იყო. იგი ოცნებობდა, შექმნილიყო დოკუმენტი, რომელიც საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრავდა ჩვენს პასუხისმგებლობას ქართული ენის, საქართველოს სახელმწიფო ენის მიმართ. 1988 წლის დეკემბერში, ბატონი ბესიკის დიდი ძალისხმევით, შეიქმნა და საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნდა „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის“ პროექტი, რომელმაც ქართველი საზოგადოების ცხოველი ინტერესი გამოიწვია. პროგრამა დამტკიცდა 1989 წლის აგვისტოში. ეს იყო, პირველი ეროვნული პროგრამა, რომლის მიხედვითაც დაიწყეს სხვა პროგრამების შექმნა. ბ. ჯორბენაძის ოცნება იყო გვქონოდა კანონი ქართული ენის შესახებ, დაიწყო კიდეც მუშაობა ამ მიმართულებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ამ წამოწყების ხორცშესხმა მაშინ ვერ მოხერხდა. მხოლოდ 1998 წელს წარუდგინა იუსტიციის იმჟამინდელმა მინისტრმა თედო ნინიძემ ქართული ენის სახელმწიფო კომისიას ენის კანონის პროექტი, რომელზე მუშაობაც ბესიკ ჯორბენაძესთან ერთად დაიწყო.

ბატონ ბესიკს კიდევ ბევრი ჩანაფიქრი და წამოწყება ჰქონდა, რაც, რომ დასცლოდა, ბევრად წაადგებოდა არამხოლოდ ქართულ მეცნიერებას, არამედ, საერთოდ, ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს. როგორც მეცნიერი, პედაგოგი და მამულიშვილი, იგი თავისი მასწავლებლების: ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას და სხვათა გზის გამგრძელებელი იყო. ამ დიდ ადამიანებს მან თავისი მოღვაწეობითა და ცხოვრების წესით უერთგულა, მომდევნო თაობებისათვის კი თავადაც იქცა მისაბაძ მაგალითად.

**ნანა ლოლაძე**
**ნინო ჭუმბურიძე**

# „ლს“ ანკეტა: თანამედროვე ქართული რომანი



1. **თქვენი აზრით, როგორ ასახავს ქართული რომანი თანამედროვე საზოგადოების პრობლემებს?**
2. **რამდენად არის გახსნილი რომანში ქართველი კაცის ფსიქოლოგია, მისი სულიერი სამყარო?**
3. **როგორ აისახა 90-იანი წლების მოვლენები რომანისტიკაში?**
4. **ვინ არის თანამედროვე ქართული რომანის მთავარი პერსონაჟი – გმირი თუ ანტიგმირი?**
5. **რამდენად შეესაბამება ჟანრის მოთხოვნებს რომანის ენა?**
6. **რა მისცა რომანს 90-იანების დასაწყისში ცენზურის გაუქმებამ და სიტყვის თავისუფლებამ?**
7. **რით განსხვავდება თანამედროვე ქართული რომანი მეოცე საუკუნის ქართული რომანისაგან?**
8. **ხედავთ თუ არა მემკვიდრეობით კავშირს ძველ და თანამედროვე რომანებს შორის?**
9. **პოსტმოდერნისტულმა და დოკუმენტალისტურმა ტენდენციებმა უკანა პლანზე ხომ არ გადასწიეს მხატვრული გამონაგონი?**
10. **რამდენად მოქმედებს ბაზრის კანონები რომანის ხარისხზე?**
11. **რომელი ქართული და საზღვარგარეთული რომანები წაიკითხეთ ბოლო ერთი წლის განმავლობაში?**
12. **დაასახელეთ თანამედროვე ქართველი რომანისტების სამეული.**

## ლია კუხიანიძე

**1.** ქართული რომანი მუდამ ასახავდა თავისი თანამედროვე საზოგადოების პრობლემებს იმ ცნობილი ფაქტიდან გამომდინარე, რომ ქართულმა ლიტერატურამ იკისრა სახელმწიფოებაწართმეული ქვეყნის ინტერესების დაცვა ისეთ რთულ პირობებში, რომელიც მწერლისგან, გარდა ნიჭისა, დიდ მოქალაქეობრივ გაბედულებასაც მოითხოვდა, რადგან საზოგადოების ნამდვილ პრობლემებზე წერა, ყველაფრის სასწორზე შეგდებას ნიშნავდა. ეს პიროვნების არჩევანი გახლდათ, საკუთარი ნებით რისკზე წასვლა, სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება უზარმაზარ იმპერიასთან, და რომ არა, მართლაც უზენაესი მისიის შეგრძნება, ამას იძულებით მათ ვერავინ გააკეთებინებდა. ხელისუფლება, კომუნიზმად წოდებული უტოპიურ-უკეთური მიზნისაკენ, „კომუნიზმის ღაჟღაჟა მწერვალებისაკენ რომ მიერეკებოდა ხალხს“ (ოთარ ჩხეიძე), ე.წ. სოციალისტურ საზოგადოებას, ყველასთვის მკაცრად დადგენილი სოცრეალიზმის პრინციპების, უგულებელყოფას არავის პატიობდა, ქართული ლიტერატურა, საერთოდ, მაგრამ განსაკუთრებით, რომანი იყო „საშუალება რუსული იდეოლოგიის საქადაგებლად. რჩეულნი მაინც ახერხებდნენ, ცხოვრებასა და მწერლობაში გამეფებული ტოტალური სიყალბის ხანაში ეწერათ ქართველი საზოგადოების ნამდვილ პრობლემებზე, კოლექტივში ჩაკარგულ ადამიანზე, მომავალი საქართველოს საზოგადოების დვრიტას რომ წარმოადგენდა. ამ მწერალთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის გათვალისწინების გარეშე ვერასოდს წარმოვიდგენთ სრულ და ნამდვილ სურათს თანამედროვე, 21-ე საუკუნის რომანისა, არა მარტო იმის გასახსენებლად, როგორი იყო „ხელოვანის ბედი დაპყრობილ საქართველოში“, არამედ იმისაც, თუ რა სიმაღლეზე აიყვანეს მათ ქართული რომანი, რომლის ფენომენის არსებობა, მიუხედავად, მავანთა სკეპტიკურ-ცინიკური დამოკიდებულებისა, უდავოა და რომლის შექმნაშიც ლომის წილი სწორედ რეალიზმის ერთგულთ მიუძღვით.

როცა ვსაუბრობთ ქართულ რომანზე და, მით უფრო, მისით ქართველი საზოგადოების პრობლემების წარმოჩენაზე, წარმოუდგენელია, გვერდი ავუაროთ ოთარ ჩხეიძის შემოქმედებას, რომელმაც წინამორბოდი დიდი კლასიკოსების მსგავსად შეძლო, თავისი მწერლური მემკვიდრეობით, ერთი მრწამსი რომ გასდევა; „მამული-თავისუფლება“, მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან („ბორიაყი“) „ვარდების რევოლუციის“ ჩათვლით („მორჩილი“) 24 რომანში მოექცია თითქმის საუკუნოვანი პრობლემები ქართველი საზოგადოებისა და, რაც მთავარია, ისე დიდმწერლურად ეთქვა მასზე, რაც ასე ნიშანდობლივია „მსოფლიო რომანისათვის“.

დღეს ქართული რომანი ავტორთა ნიჭისა და შეხედულებების შესაფერად, რა თქმა უნდა, გადმოსცემს ქართველი საზოგადოების პრობლემებს. ვინ როგორი ოსტატობით, ამის განმსჯელი ქართველი მკითხველია.

**2.** მიუხედავად იმისა, ქართული რომანიც განიცდის იმ რყევებს, რაც მსოფლიო ლიტერატურაში ხდება, მხედველობაში მაქვს დაუსრულებელი საუბრები რომანის, როგორც ჟანრის გაქრობაზე, რომელიც სინამდვილეში, საუკუნის წინაც აქტუალური იყო მაშინდელ ლიტერატურულ წრეებში, მუტაციაზე, თანამედროვე რომანის დეპრესიულობაზე, გმირის არ ყოლაზე და ა.შ. იგი მაინც ვითარდება და სათქმელის სხვადასხვაობის მიუხედავად ჰყავს მთავარი გმირი, ქართველი კაცი, რომლის ფსიქოლოგიისა და სულიერი სამყაროს ჩვენება მწერლის ნიჭზეა დამოკიდებული. თანამედროვე მწერალთაგან გვერდს ვერ ავუვლი აკა მორჩილაძის „სანტა-ესპარანსას’, როგორც ერთ-ერთ წარმატებულ ცდას ამ კუთხით. სერგო წურწუმიას „ცეცხლოვანი მამლის წელიწადს“, რომელშიც კარგად ჩანს ექსტრემალურ პირობებში ქართველი კაცის ფსიქოლოგიისა და სულიერი სამყაროს ჩვენება და, საერთოდ, მიმდინარე საუკუნის საუკეთესო რომანები დაწერას ელოდებიან და დარწმუნებული ვარ, მათი საუკეთესოობის ნიშანი, სწორედ ქართველი კაცის ფსიქოლოგიის უკეთ ჩვენება იქნება.

**3.** აისახა ძალიან კარგად, სწორად, ამ წლებზე იწერება დღესაც და დაიწერება მომავალშიც, რადგან სავალალო შედეგს იმ მასობრივი სიშლეგისა, როცა მტრის მიერ შექმნილი „მორალური ტემპერატურის“ (იპოლიტ ტენი) გამოისობით ქართველთა ზნე-ხასიათის ყველა ზადი ერთბაშად გაიფურჩქნა, დღესაც ვიმკით. მაშინდელი მოვლენების სრული განსჯა-განჩხრეკის გარეშე კი, საზოგადოება, ესე იგი, ქვეყანაც, წინ ვერ წაიწევს.

არ შემიძლია, გულისწყვეტა არ გამოვთქვა იმის გამო, რომ ქართველ მწერალთა ერთი ნაწილი, რომელიც თავსა და თავიანთი წრის წარმომადგენელ მწერლებს უკეთესებად, მოსაზრებებს კი უზენაესად მიიჩნევს, ნოდარ დუმბაძის ფრთიანი გამოთქმის, „მე მწერალი გახლავართ, მკითხველი კი არა“, განსხეულებაა. მხედველობაში მაქვს მათი შეხედულება აღნიშნულ წლებთან დაკავშირებით. ისინი მიიჩნევენ, „...თბილისში, რუსთაველზე გამართულ ომს საერთოდ არაფერი მოჰყოლია, არადა ყველა ქართველი კლასიკოსი, ჩვენი ლიტერტურის ყველა ბურჯი მაშინ ფორმაში იყო. - ფორმაში იყვნენ, მაგრამ ეს ჩამავალი მზის ილუზიაა, რომელიც საცაა ჩაესვენება... როგორც ჩანს, მათაც ვერ აუღეს ალღო მოვლენებს, 21-ე საუკუნის ავტორები კი ჯერ არ ჩანდნენ ასპარეზზე“(ჟურნალი „არილი“ 2011 წლის 20 იანვარი).

ამ დროს მოვლენების შეფასება არაჩვეულებრივი მხატვრულობით, სიღრმითა და ექსპრესიით გადმოცემული უკვე არსებობს ოთარ ჩხეიძის ტრილოგიის „არტისტული გადატრიალების“, „თეთრი დათვის“, „ბერმუდის სამკუთხედის“ სახით.

მძაფრად, საინტერესოდაა წარმოჩენილი 90-იანი წლები ჩემგან ზემოაღნიშნულ სერგო წურწუმიას რომანში „ცეცხლოვანი მამლის წელიწადი“, ბექა ქურხულის „თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერები ანუ დეშთი-ყიფჩაღი“, ნინო ხარატიშვილის „უკმარი სინათლე“.

**4.** მე-20 საუკუნის ქართულმა რომანმა შექმნა გმირებისა და ანტიგმირების დაუვიწყარი სახეები. დათა თუთაშხია და მუშნი ზარანდია, ზებულონი, ბექა ამილახვარი, ალექსანდროს უფროსი ძმა, როსტომ იტრიელი, ბექა არჯევნელი და ლეკო თათაშელი... თუ გავითვალისწინებთ ცნობილ ჭეშმარიტებას, რომ ავტორს ანტიგმირი სჭირდება საიმისოდ, უფრო მკვეთრად და მწვავედ წამოსწიოს ნაწარმოების ცენტრალური კონფლიქტი, მაქსიმლურად გვიჩვენოს სიმართლე, საზოგადოების პრობლემები, თავისი დროისა და თაობის სირთულეების საკვლევად, არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ მიუხედავად იმისა, ყველა რომანს თავისი გმირი და ანტიგმირი ჰყავს, ზოგადად თანამედროვე ქართული რომანის გმირი იმ გაგებით, მას იცნობდნენ, იხიბლებოდნენ, მასზე ფიქრობდნენ, ჯერ არ არსებობს, აქედან გამომდინარე, არც მისი საპირწონე ანტიგმირია, თუმცა, როგორც აღვნიშნე, ყველა რომანს თავისი გმირი და ანტიგმირი ჰყავს. სხვანაირად რომანის არსებობა წარმოუდგენელიცაა.

**5.** ენა არის არა მარტო მწერლის, არამედ ლიტერტურული პერსოჟანის ერთ-ერთი საუკეთესო დამახასიათებელი საშუალება. თანამაედროვე რომანის თანამედროვე გმირები გარემოსა და თავიანთი ინტელექტუალური (თუ გააჩნიათ) დონის შესაფერისად მეტყველებენ. იმის გათვალისწინებით, ცნობილ მიზეზთა გამო, რა მდგომარეობაშიცაა სამეტყველო ქართული ენა, ფრიად სავალალო სურათი იხატება, მით უფრო, რომ მედიაენის რომანში შეტანა პროგრესადაა ჩათვლილი. სამწუხაროდ, ლიტერტურული ტექსტები ვერ ჯობნიან და ვერც ჯაბნიან იმ შემღვრეულ ქართულს, რომლითაც დღეს რეალურ ყოფასა და რომანის ყოფაში მყოფნი საუბრობენ. ასევე დიდი გასავალი აქვს ბილწსიტყვაობას, რომელმაც ცხოვრებიდან რომანში გადაინაცვალა. თუმცა ენის თვალსაზრისით გამოვყოფდი ბაჩანა წოწონავას ფრიად საინტერესო რომანს „ჯერიკოს“.

**6.** როგორც ზემოაღნიშნულ ერთ-ერთ პასუხში ვთქვი, ათწლეულების განმავლობაში სასტიკმა ცენზურამ და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვამ ვერ აიძულა ნამდვილი მწერალი ნაკლული რომანი შეექმნა, პირიქით, ოთარ ჩხეიძემ თავისი არაჩვეულებრივი სტილიც კი, ენაში გამეფებული ერთნაირობისა და ერთფეროვნების წინააღმდეგ პროტესტად აქცია, ქმედება უკუქმედებას ზრდიდა, თუმცა 90-იანების დასაწყისში ცენზურის გაუქმებამ და სიტყვის თავისუფლებამ უფრო ვულგარულობა და უგემოვნება წაახალისა, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არ არიან მწერლები, რომლებსაც მშვენივრად მოეხსენებათ, შინაგანი ცენზორის არსებობა ლიტერტურული გემოვნებისა და წონასწორობისთვის აუცილებელია და იგი სულაც არ ზღუდავს მწერლისა და, მით უფრო, მკითხველის თავისუფლებას.

**7.** განსხვავდება იმით, რითაც მე-20 საუკუნე 21-ე საუკუნისგან. პრობლემებით, სხვა თაობათა სხვა მიზნებითა და მისწრაფებებით და ეს ყოველივე კანონზომიერია, მთავარია, თანამეროვე მწერალმა სწორად შეაფასოს თავისი წინამორბედების წვლილი ქართულ ლიტერტურაში, თავად მისი, როგორც მწერლის ჩამოყალიბებაში და არ დაიმართოს განუკურნებელი საყმაწვილო სენი იმისა, რომ არავისგან არაფრითაა დავალებული.

**8.** ამის გარეშე ქართული ლიტერატურის, როგორც ერთი მთლიანობის აღქმა, ძალიან გაგვიჭირდებოდა. გვინდა, არ გვინდა, აწმყო წარსულისგან იშობა.

**9.** ამაზე დღეს ძალიან ბევრს ბჭობენ და კამათობენ მსოფლიო ლიტერტურულ წრეებში. ახალი ტერმინი, მეტამოდერნიც კი დამკვიდრდა, სამყაროს აღქმის ახალ საშუალებას რომ აღნიშნავს. პოსტმოდერნისტულ და დოკუმენტალისტურ ტენეციებს, რომელსაც ქართულ ლიტერატურაში მასობრივად სულაც არ იყენებენ და ვერც გამოიყენებენ თავისი ადგილი აქვს და მათ არანაირი „ლიტერტურული რევოლუცია“ არ გამოუწვევიათ, იმის გამო, რომ აღნიშნული ქართული რომანისათვის სულაც არაა ახალი ხილი.

**10.** რა თქმა უნდა, მოქმედებს და ამის საუკეთესო მაგალითია ჩვენი წიგნის მაღაზიები, სადაც თვალში მოსახვედრ ადგილებში „წამოჭიმულან“ ე.წ. ბეტსელერები, პოპულარი, მასობრივი მკითხველისთვის განკუთვნილი წიგნები, რომლებიც ბაზრის კანონების სრული დაცვით გამხდარან „გაყიდვადი“, ხოლო ჭეშმარიტი ლიტარატურა მორიდებით, მოფარებულში ელოდება თავის მცირერიცხოვან მკითხველს. თუ ამას დავუმატებთ ჩვენი ტელევიზიების მხრიდან გაფიარებულ ე.წ. მწერლებსა და მათ მომწონებელ ასევე ე.წ. ლიტერატურმცოდნეებს, რომლებიც მშვენიერ რეკლამას უკეთებენ თავიანთი სულიერი ძმების ლიტერატურას, მაშინ აღარ გაგვიკვირდება, რატომ სჭარბობს ნამდვილ, გემოვნებიან მკითხველს ფსევდო მკითხველი.

**11.** წაკითხვით ბევრი რამ წავიკითხე, ზოგი გასახსენებლადაც არ ღირს. გამოვარჩევდი, ფოლკნერის „ველურ პალმებსა“ და „გარდამოვედ, მოსეს,“ მიშელ უილბეკის „ელემენტარულ ნაწილაკებსა“ და „სეროტონინს“, ჟოზე სარამაგუს „იესოს სახარებასა“ და „კაენს“, ანა გავალდას, დელია ოუენისა და ელიფ შაფაქის გასულ წელს გამოსულ რომანებს. მურასაკი შიკიბუს „ამბავი უფლისწული გენჯისა“ და კაზუო იშიგუროს „დაფლულ გოლიათს“, ქართველებიდან: როსტომ ჩხეიძის ბოლო რომანებს, ნინო ხარატიშვილის „უკმარ სინათლეს“, ბაჩანა წოწონავას „ჯერიკოს“, ბექა ქურხულის „თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერებს“, ავთანდილ ყურაშვილის „ცდომილთა დღესასწაულს“ და სხვა...

**12.** დასახელებისგან თავს შევიკავებდი, რადგან ჯერჯერობით არ ვიცნობ იმ მწერლებს (რამდენიმე მათგანის წიგნი აგერ მიდევს და მელოდება წასაკითხად), რომლებიც შეიძლება იმათზე არანაკლები არიან, ვისაც დავასახელებდი.

▶▶ დასასრული. დასაწყისი “ლს„№1

დავით ანდრიაძე

# ჰამბურგის ანგარიშზედ

## II

## „ქარი არა სჩანს“

უცნაური კაცი იყო ვიქტორ შკლოვსკი.

ნამდვილი Arbiter elegantiarum - გემოვნების კანონმდებელი!

ლეგენდები უყვარდა; ლეგენდები და მისტიფიკაციები...

ერთმა ასეთი ლეგენდა - ლეგენდა ე.წ. „ჰამბურგის ანგარიშზე“ დღემდე ცოცხლობს...

ცოცხლობს და აქეზებს ლიტერატურას, თვითტკბობის „ლანდებთან ლაციცში“ სულმთლად არ მიიძინოს...

მერე რაღა გამოაფხიზლებს?!

სხვათა შორის, „ლანდებთან ლაციცის“ ავტორს დიდად არ ეპიტნავებოდა შკლოვსკი.

ერთ დროს დუელიანტის ხელთათმანიც კი გადაუგდო.

მოგვიანებით, ერთ თბილისურ ლიტერატურულ თავყრილობაზე დაიქადნა, მე როცა საჭირო იყო, ისეთი გავულაწუნე შკლოვსკის, მთელ საბჭოთა კავშირში გაისმა მისი ტკაცანიო...

უხდებოდა დიდ კონსტანტინეს ლანდებთან ლაციციცა და დონ-კიხოტური ბატალიებიც... მწერალი იყო და იმიტომ... ნაციონალური მეტანარატივების მთხზველიც იყო და უებრო „ავტოდიზაინერიც“...

შკლოვსკი რამდენად განიცდიდა კონსტანტინეს მომდურებას, მაგას აღარ ჩავძიებივარ.

რომან იაკობსონთან „განწვალებაც“ ეყოფოდა დარდად...

ეს ისე, სხვათა შორის...

მაინც, რა იყო ეს „ჰამბურგის ანგარიში“?

წელიწადში ერთხელ ჰამბურგის ერთ დუქანში იკრიბებოდნენ მოჭიდავენი.

იკრიბებოდნენ და ჭიდაობდნენ ჩაკეტილ კარებსა და ფარდებით დახშულ გარემოში.

ერკინებოდნენ დიდხანს, მძიმედ და შეუხრელად...

აქ „ხალტურა“ გამორიცხული იყო. ბერძნული „ხალტურაცა“ და თათრული „ხალტურაც“.

ამ ორ ტიპს გამოჰყოფდა შკლოვსკი.

პირველი ტიპის „მეხალტურენი“ ნიჭიერებით „სცოდავენ“; მეორენი - წესიერებითა და მართებულობით.

არადა, უცნაურია:

„ხალტურის“ ხელოვნება ცალკე საქმეა. ცალკე პოიესისი და ცალკე პრაქსისი.

„ხალტურის“ შერეული ტიპიც ეგულებოდა შკლოვსკის - „ბერძნულ-თათრული“... რაღაც „ბერძნულ-რომაული“ ჭიდაობასავითაა. ანტერპრენიორის ნებით მოგება და წაგებაც „არ მოსულიყო“.

აი, ამ ჰამბურგის ანგარიშით:

სერაფიმოვიში და ვერესაევი არ არსებობენ.

ჰამბურგის ხალიჩაზე ბულგაკოვის ადგილია.

ბაბელი მჩატე წონაში თუ ივარგებს.

გორკიც საეჭვოა (ხშირად ვერაა ფორმაშიო...).

ხლებნიკოვია ჩემპიონი.

დიდი ველიმირი - აი, ვინ იყო შკლოვსკის ფავორიტი!

თავად გამოთქმა - „ჰამბურგის ანგარიში“ კი „ტეტივას“ ავტორს პირველად ლეგენდარული „გერცენის სახლის“ რესტორანში გაუგია.

„გერცენის სახლი“ ბულგაკოვისეული „გრიბოედოვის სახლის“ ერთი პროტოტიპთაგანია. ტვერის ბულვარის 25 ნომერში...

თავად ლეგენდა კი 1924 წელს ჩაისახება და იქიდან მოედინება...

***

ჩვენი ჰამბურგი ახლა ჩვენი ფრანკფურტია;

საყვარელი ფრანკფურტი...

ფრანკფურტი, ვითარცა ჰამბურგის სიმულაცია.

ოღონდ, სანამ ამ სიმულაციის მექანიზმებს გადავწვდებოდეთ, იქნებ, ჯერ 1990-იანი წლების შემდგომი ქართული პროზის დისკურსული ჰორიზონტი დაგვესახა.

ეს ჰორიზონტი საბჭოური მეტანარატივით იყო კონსტიტუირებული და შემპარავად გარდაისახა „ტექნეში“, ნარატიულ ფოკალიზაციას რომ უხმობენ განდობილნი.

ესაა თხრობითი მზერა, ერთგვარი „კამერა-ობსკურა“ ანუ შიდატექსტუალური კომუნიკაციის ორმაგ პერსპექტივაზე გაანგარიშებული (ოჰ, ეს „ანგარიში“!) ფორმა.

ერთი მხრივ - დიეგეზისი ანუ თხრობის დისკურსიული პლანი, მეორე მხრივ, მეტამიმეზისი ანუ კომუნიკაციის (გნებავთ, ინტერაქციის ) ვიზუალური პლანი.

ნურც კომუნიკაციური ბინომი დაგვავიწყდება:

„ფოკალიზატორი“ - „იმპლიციტური მაყურებელი“.

ახლა სიტუაციური მოდელიც გავიკითხოთ.

თუნდაც ასეთი: როდესაც „დამწყები რომანისტი“ თავად ხდება „სხვისი ისტორიის“, როგორც ნარატივის „დასაკუთრების“,როგორც სერიული პროცესის მოწმეც, შემსწრეცა და დამსწრეც...

„დამწყები“ ესაა მგზავრი, რომელიც განასახიერებს „ცარიელ ადგილს“. დელიოზისეული „მგზავრი ადგილის გარეშე“. ანდა „ნონსენსად ყოფნა“.

ეს სულ სხვა „პროცესია“.

სხვა „ხსნადი კაფკააა“...

სიტყვა-ტან-ჯვანი ასეთ ტექსტუალურ ლაბირინთებში გზას ვერასოდეს გაიგნებენ.

და რა რჩება? პერეფორმატიული გა-მოთქმანი, არაარტიკულირებული ტონიკური მნიშვნელობების ფარღალალა კარებში მუდმივად მოზუზუნე ორპირით...

მით უფრო, რომ „ქარი არა სჩანს“...

***

მონიშნული პერიოდის (თუ მიკროპერიოდის) ნარატივში დაილანდება ვიზუალურ-იკონიკური ფიგურების მოძალება და სიტყვიერ ქსოვილში დაბანდება ანუ ვერბალური ინვესტიცია.

ამასობაში ძლიერდება ისეთი ნარატიული კატეგორია, როგორიცაა „ხმა“.

კითხვას - „ვინ ლაპარაკობს“ ჩაენაცვლება საკითხი - „ვისი ხმა არის“ („ეს საკვირველი“?).

სხვაგვარად იტვირთება (თუ გადაიტვირთება) ბინარული ოპოზიცია: „სურათოვანი“-„დრამატული“.

ეს მოდუსები მსჭვალავს XX-XXI საუკუნეთა მიჯნის მწერლობის ნარატიულ ველს.

ლიმინალობის თეორია აქაც ზედმიწევნით „მუშაობს“.

ჩესტერტონისა არ იყოს, მიჯნებზე მართლაც გასაოცარ საგნებს ხედავენ.

ყველა დიდი კულტურული აქტი ზღურბლებზე ხდება. და ამაშია მათი დიადი სერიოზულობაო... ეს უკვე-ბახტინია.

დიადი სერიოზულობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ დიადი არასერიოზულობა ხომ პოსტმოდერნის ექსკლუზივია?!

საჯილდაო ქვა მაინც რეპრეზენტაციის ხარისხია.

ოღონდ, ეს „ხარისხი“ ანუ თვისებრიობა არ უნდა გავაიგივოთ წმინდა ესთეტიკურ-აქსიოლოგიურ სტატუსთან.

„კარგი ცუდი ლიტერატურა“ და „ცუდი კარგი ლიტერატურა“ - ეს პოსტმოდერნული ოქსიუმორონიც ფარდობითობის ლიტერატურულ თეორემებში იჩემებს ლეგიტიმაციის უფლებას.

ნურც იმას დავუხუჭავთ თვალს, რომ „თანამედროვეებს ხშირად საკუთრივ ცუდი ლიტერატურა მოსწონთ“.

ლიტერატურის სოციოლოგიიდან ისევ ნარატოლოგიაში ვცადოთ თეორიული კულბიტი:

„ჩვენების“ პრევალენტობა მო-თხრობასთან მიმართებით.

სახელდობრ: ლაპარაკია მო-ნა-თხრობის ჩვენებასა და ტექსტუალურ ქრონოტოპში მისი დასწრებულობის ეფექტზე.

შემდეგი სერია:

მძაფრდება თავად ნარატიული ხდომილობის თეატრალურობის, ანდა სპექტაკულირების ეფექტი.

მწერალი-ნარატორი „ვითომცდა“ მკითხველი-მაყურებლის წინაშე განასახიერებს როლებს... როლებს არა იმდენად სცენურ-სემიოტიკური, რამდენადაც სოციოდრამატული გაგებით...

პროზაულ ტექსტს სხვადასხვა ხმაზე მოსინჯავს და ასე ამოწმებს ამ ხმის „ტესიტურას“.

ასე ხდება ტექსტი არა ოდენ თვალით, არამედ ხმით საკითხავიც... ავტორის „ხმით“ საკითხავი...

მერაბ მამარდაშვილისა არ იყოს, თეატრი ყოველთვის ნიშნავს „თეატრში დასწრებას; და ამაშია თეატრალურობის ეფექტი.

პროზა და პროზის სპექტაკულაციის ნარატივიც ტექსტში დასწრებას უნდა მოასწავებდეს...

და კიდევ (კიდევ, კიდევ!):

განუწყვეტლივ ენაცვლებიან ერთურთს „ავტორი“ და „მკითხველი“; „მთხრობელი“ და „იმპლიციტური მკითხველი“; „ფოკალიზატორი“ და „იმპლიციტური მაყურებელი“...

ახლა უკვე „თხა და გიგომაც“ გაცვალეს პოზიციები, გადაცვალეს მახვილები და კითხვის ახალი სტრატეგიების „ფასილიტატორებად“ მოგვევლინნენ.

ამ ორი ტიპის „აქტორთა“ გადაკვეთის ხაზზე უნდა დაიბადოს მოქმედი მო-თხრობა-თხრობითი წარმო-დგენა;

და საკუთრივ ამგვარი „წარმოდგენის“ კომუნიკაციური ველი განივრცობა დისკურსებზე. მერე ეს დისკურსები მთხრობლისა და პერსონაჟ-აქტორების მეოხებით გა-მოითქმება...

აი, ამ „უკანასკნელთა“ სიტყვებია, ნარატორის მიერ რომ ციტირდება.

და და-მოწმების ეს აქტი ავლენს თხრობის, როგორც ასახვის, დასახვისა და კვალადსახვის იმაგინაციურ ტემპორალობასაც და თავად ნარაციის, როგორც რეპრეზენტაციული ხდომილობის პერფორმატიულ სტრუქტურასაც.

წარმოდგენილი(სიც) უნივერსალიები და ინსტრუმენტარიები ფონია იმ საგნობრივი რეალიებისთვის ,,რომელთა გა(და)თამაშებაც „მისი უდიდებულესობა“-ლიტერატურული პროცესისა და მისი „ჰამბურგული ანგარიშის“ კონტექსტში უნდა დაკონკრეტდეს.

რაც შეეხება ამ პროცესის ფიგურანტთა იმპერსონალიზაციას, ესეც ინტრიგაა, რათა მათ მიერ ჩადენილი „ლინგვისტური კატასტროფები“ (ესეც ა. ბონიტო ოლივასეული სტრატეგიაა!) სოციოკულტურული ტექსტის მეტაკრიტიკულმა მთხრობელმა ან/თუ „სუბსტიტუირებადმა მოლაპარაკემ“ იკისროს.

„საქმის ნამდვილი ვითარება“ კი უცვლელია: „ქარი არა სჩანს“...

***

იყო ასეთი ქალბატონი XIX საუკუნეში - მელანია მამაცაშვილი-ბადრიძისა; მეგობარ ქალს წერდა - თვითგანვითარებისთვის რომანი დავწერეო... ასეა ახლაც; ძირითად „თვითგანვითარებისთვის მწერლები“ გვყავს. გენდერული მიკერძოებისგან შორს ვარ, მაგრამ გადაივსო ქართული ლიტერატურა ჩვენებური და გაევროპელებული „მელანია მამაცაშვილებით“ ისევ.

ქართული მიკრონარატივი ვერ ბედავს, გადაჭრით გამოვიდეს რეალობის ველიდან და ლიტერატურის ველის ავტონომიაში ეძებოს დაკარგული დრო; თმობს და ვერც თმობს მკითხველს, როგორც სოციალურ-ანტერაქტიულ აგენტს; თმობს და ვერც თმობს ლიტერატურის ველის გარდასულ სისტემას;

ქართული პროზა ნაფიცი „პოსტმოდერნისტებიდანაც“ ძნელად დაიტრაბახებს ნაწარმოებებით, როგორც ასეთით;

თუნდაც ერთფეროვანი წარმატებით „გაკეთებული“ ტექსტებით.

ენა ანემიურია, პლასტიკურ-ვერბალური სახეები - ულიმღამო...

ძველმოდური „მხატვრული სახეების“ დაუსწრებლობა ვერ მიეთვლება იდეათა „გახსნის“ ოპტიმალურ ინსტრუმენტარიას, რომლებიც დრომ თან წაიყოლა, როგორც ცოდვით აღვსილი სამყაროს ხატი...

ეს არც ის კაზუსია, როდესაც „გადლაბნილი ნაწერისადმი“ აპელაცია, როგორც გამიზნული დისკურსი, როცა ავტორი თავის სიმპათია-ანტიპათიებს „ბრჭყალებში სვამს“; ანდა „სხვისი“ მეტყველების შიგნით, „სხვისი“ ინტონაციის წიაღში, მინუს-ხერხით გამო-ავლენს საკუთარ ინდივიდუალობას... ამ ინდივიდუალობის მსხვერპლად წირავს ახალ არტისტულ საქციელს; საქციელს, რომელმაც ნარატორს უნდა მიაკუთვნოს ახალი ესთეტიკური ვალენტობით აღჭურვილი სტატუსი; სტატუსი, რომლის ძალითაც იქნება დაშვებული ბიუროკრატიული ლიტერატურული ინსტიტუციების რეზერვაცია.

ეგებ, ჩვენი სამამულო პროზის ალტერნატიული ნარატივი ქართულ ლიტერატურულ ქრონოტოპსში ამიტომაც ვერ გაფორმდა, როგორც ტოტალიტარული დისკურსის ერთგვარი გაგება.

ვერ იქცა უწინდელი ინსტიტუციონალიზებული ტექსტუალობის ჰერმენევტიკად;

თუნდაც გაგებად იმისა, თუ როგორ შესწევს ძალა, აღიაროს, რომ აღარ ძალუძს „თავისი თავის“ გაგება.

ჯერხნობით ქართულმა ალტერნატიულმა მწერლობამ ვერ შეძლო შეესრულებინა ის ფუნქცია, რაც შეძლო, ე.წ. „მოსკოვურმა კონცეპტუალიზმმა“;

ვერ იკისრა საბჭოური იდეოლოგიური დისკურსის კრიტიკული ანალიზისა თუ რევიზიის, დეზავუირებისა თუ დეიდენტიფიკაციის ოპერაციის თავის თავზე აღება;

ვერ აღმოაჩინა თავად ენის მექანიზმები იმაში, რაშიც უწინ აცხადებდა ჭეშმარიტების, უკეთ - უსიტყვო ჭეშმარიტების სტატუსზე პრეტენზიას.

ამიტომაცაა, რომ ამ ალტერნატიული დისკურსის გამომხატველმა, კვაზილიტერატურული ყაიდის მას(ტ)ურბანიზებულმა ეგზერსისებმა ვერ მოიპოვეს ლეგიტიმაცია; არტისტული ლეგიტიმაცია... და ამდენადვე, ვერ მიანიჭეს წინამორბედ ლიტერატურასაც (ამ ლიტერატურის მაპრეზენტირებელ ინსტიტუციებსაც) სიმბოლური კაპიტალი; ვერ შეძლეს, გაემჟღავნებინათ ორი ტიპის ლიტერატურულ დისკურსთა სიმბოლური კაპიტალის გაცვლის ენერგეტიკა; ვერ ჩადეს სათანადო ინვესტიციები „ჰამბურგელ მკითხველთა“ ყურადღების მოსაზიდად.

არადა, მთელი ეს „ეკონომიკური“ მექანიზმებია ასამოქმედებელი, რათა ავტორმა ნებაყოფლობით „მოიკლას“ თავი (ამასთან, მოიკლას „წარსულ დღეებზე დარდი“), წარმოადგინოს მსხვერპლშეწირვის ერთგვარი აქტი, ინდივიდუალობის, არტისტული თვითმყოფადობის სხვა ამგვარ სიმულაკრთა მსხვერპლშეწირვის აქტი, რომელიც ამ „მსხვერპლის“ რეპრეზენტაციითვე მოახდენს სიმბოლურ აღსვლას ძალაუფლების ბიოროკრატიულ სიმაღლეზე და ნებას დართავს, ტექსტებით ბიუროკრატიული მანიპულაციის სანაცვლოდ, თავად შეძლოს მანიპულაციის საკუთარი სტრატეგიებით ჩანაცვლება.

ასე მივიღეთ (თუ ვიღებთ) პოსტმოდერნული ეპოქის ქართული პროზის დისკურსი, რომელიც არც ნორმალური ადამიანის მოთხრობაა და არც შიზოიდის ნაბოდვარი, არც სოვოკის ტიპის აფირმატიული „თვითნასწავლის“ თხრობაა და არც კულტურის დილეტანტი ფილოსოფოსის რეფლექსია; არც „ჩვენი სოფლის“ ეტიუდებია და არც „სხვისი ქალაქის“ სურათები...

ჩვენი 90-იანელების ქართული პროზის ერთ-ერთი ფიგურანტის მოთხრობის სათაურს თუ გამოვიყენებთ, ქართულ ალტერნატიულ ნარატივს ნელ-თბილი ირონიით, შეიძლება ვუწოდოთ „გაფრინდინელა“.

მოკლედ, ამ დისკურსში ჯერაც არ ჩანს ტოტალიტარულად ინსპექტირებული არტისტული იდეებისა და საერთოდ, ესთეტიკურად თვითკმარ ესენციათა) დახსნის გინა „ნარტყუენის“ ინტენცია („წარმოსტყუენს ნატყუენავი მათი“).

სამაგიეროდ, ჩვენს პოსტმოდერნულ ლიტაქტივშია „ტყ“-კომპლექსებით პუანტირებული ტექსტები და პლატონ სამანიშვილისა არ იყოს, „ამაზედაც გმადლობ უფალო“!

პოსტთანამედროვე ნარატიული ტექსტების დიაპაზონი ერთობ ფართოა და იმავე პროზაულ დისკურსში, თუნდაც რომანულ ნაწერში, რას აღარ იტევს: გნოსოგენურ ტექსტსაც და კოპერსონალურ ტექსტსაც, ერგოტროპულ ტექსტსაც და კალოგენურსაც, რელიგიოტროპულსაც და ლუდოფილურსაც...

ცხადია, ამგვარი „აპენდიქსებით“ შეკმაზული ტექსტები უკცე დიდი სიმდიდრეა. და მათი „ახლოით განჩხრეკვაც“ დიდი საქმეა... თუნცაღა (ეს „ღა“ რაღა იყო!) ჩვენთვის, ამჯერად გაცილებით მნიშვნელოვანია ამ „მიკროეპოქის“ ქართული მწერლობის ინსტიტუციური ველის მოხაზვა, ვიდრე ცალკეული ტექსტების საფუძველზე რაღაც ნეიტრალური მოზაიკის დახატვა და თავად ლიტერატურული პროცესის ბანალური რედუცირება.

აი, როგორც იქნა, გაველი ტექსტის ბოლოში და შეძლებისამებრ, აღვასრულე მიზანი ჩემი: ზოგად-დისკურსული პროექტების გამოყოფა და ჩვენება იმისა, თუ რამდენად „მუშაობს“ ეს პროექტები 90-იანი წლების ქართულ ლიტერატურულ ველში, წარმოდგენა იმისა, თუ რამდენად ძალუძს 90-იანი წლების ქართველ მწერალს, როგორც კრეატიულ სუბიექტს, საკუთარი თავის ინტერტექსტუალური მსხვერპლშეწირვა, რამდენად შეუძლია გააუქმოს სხვა „მე“-ს საკუთარ თავზე უპირატესობანი, რამდენად აქვს უნარი, დაასამაროს რეალურად მოქმედი „გმირი“ და მის ნაცვლად შემოგვთავაზოს ფიქციური პროტაგონისტი, როგორც არა ძალაუფლების დისკურსის ემბლემა, არამედ როგორც ემბლემა დისკურსის ძალაუფლებისა ანუ კარნავალური „გადაცმის“ მიმეტური ფოკუსი, ძალაუფლების სიმულაკრის (თუ სიმულაკრების) ეს რეპრეზენტანტი...

90-იანი წლებიდან „აბსოლუტური ჭეშმარიტების“ მადელეგირებელი ლიტერატურულ-იდეოლოგიური ფანტომები იფანტება. ამგვარ „აბსოლუტურ ჭეშმარიტებას“ ავლენდა „საბჭოთა ენა“; ენა, რომელიც ქმნიდა ტექსტებს, რომელთაც, დერიდასი არ იყოს, არ ახსოვდათ თავიანთი დასაწყისი. თუმცა, ეს იყო ტექსტები, რომელთაც ჰყავდათ თავიანთი ორეული, მიუხედავად იმისა, არსებობდნენ ისინი, როგორც ტექსტები, თუ - არა.

ესე იტყოდა პოლ დე მანი.

თანამედროვე სოციოკრატიკის თანახმად, ტექსტის დასაწყისად არასოდეს გვევლინება მისი პირველი ფრაზა.

კლოდ დიუშესი არ იყოს, ტექსტი არასდროს იწყება, რადგანაც სხვადასხვა ჯერობაზე იგი უკვე დაიწყო; ადრე დაიწყო...

დასასრული თუ აქვს ტექსტს?

ეტყობა, არც დასასრული აქვს...

ყოველ შემთხვევაში, წინამდებარე ტექსტს ჯერ-ჯერობით არა აქვს დასასრული, მით უფრო, რომ 90-იანი წლები ისევ გრძელდება.

ოცდამესამე წელია, ახალ ათასწლეულში ვცხოვრობთ.

ახალი ლიტერატურული მილენიუმი კი ჯერაც არ დაწყებულა...

მაშ, ამ ტექსტის გაგრძელებაც ოდესმე იქნება!

*ამ უმნიშვნელოვანეს მოსაზრებას არაერთგზის გაიმეორებს ჩემთან საუბარში დღეს საქართველოში და არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში კარგად ცნობილი და აღიარებული მხატვარი ჯემალ კუხალაშვილი. მისი ჯილდოებისა და რეგალიების მოკლე ჩამონათვალი ასეთია: საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ქართული კულტურის რაინდის წოდება, საერთაშორისო გამოფენებსა და კონკურსებში არაერთგზის გამარჯვებული, წლის საუკეთესო მხატვრად აღიარებული. მას მხატვრულად გაფორმებული აქვს ბევრი რამ, მათ შორის, ელდარ შენგელაიას ფილმი „სამანიშვილის დედინაცვალი“. სულ ახლახანს მიენიჭა დავით აღმაშენებლის პრემია და ოქროს მედალი ღონისძიებაზე, რომელიც თბილისში, საკრებულოს თამარ მეფის სახელობის დიდ დარბაზში გაიმართა სამი მნიშვნელოვანი ნაწილით: ნახატების გამოფენა, მისი საავტორო წიგნის — „მე კუხალა“-ს პრეზენტაცია და დაბადებიდან 70-ე წლისთავის იუბილეს აღნიშვნა. საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 70-ზე მეტი პერსონალური გამოფენა აქვს მოწყობილი, მათ შორის თბილისში — ორმოცდაათზე მეტი, ნიუ-იორკში, ჩიკაგოში, სიეტლში, ტაგონაში. 1990 წელს პარიზში „დრუოს“ აუქციონზე მისი 10 ნამუშევარი გაიყიდა, არის „იუნესკოს“ წევრი. მხატვრის ნამუშევრები დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეაში, ქალაქ ტომსკში, სანკტ-პეტერბურგში. იტალიის, უნგრეთის, აშშ-ს, პოლონეთის, ჩეხეთის, გერმანიის, რუსეთის, ინგლისის კერძო მფლობელთა კოლექციებში. მათ შორის, სტენდი ტალკოტის, ქეთევან ბაგრატიონის, ლევან იოსელიანის, გია ჯოხთაბერიძის, დიმიტრი ბერკუტოვის, ბიძინა ივანიშვილის, თემურ იაკობაშვილის, ბილი ჯოელის და სხვათა პირად კოლექციებში.*

*ჯემალ კუხალაშვილი არის საქართველოს მხატვართა კავშირისა და მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, მას თბილისში თანამედროვე სახვითი ხელოვნების მუზეუმში პერსონალურად დიდი საგამოფენო დარბაზი აქვს დათმობილი მუდმივმოქმედი გამოფენისთვის. ჰყავს მეუღლე და ხუთი ვაჟი, მათგან ოთხი – პროფესიონალი მხატვარია.*

*მაშ, ასე, გვესაუბრება მხატვარი ჯემალ კუხალაშვილი.*



# ჯემალ კუხალაშვილი: „მე შევიცანი ადამიანი“

**– ბატონო ჯემალ, რას ნიშნავს თქვენთვის გამოფენა, ზოგადად?**

– ყველა გამოფენა ჩემთვის გამოცდაა. მე სიყვარულს მიმჟღავნებენ ადამიანები და დამთვალიერებელთა აღფრთოვანებული რეაქცია ახალ იმპულსს მაძლევს დაუღალავი შემოქმედებითი შრომისათვის. ასეთი გამოფენების დროს ახლებურად შევიცნობ ადამიანებს. ყოფილა შემთხვევა, რომ გამოფენაზე, ან გზად შეხვედრისას, დაინტერესებულთ ჩემი ხელები მოუქცევიათ კადრში... არადა, მეღიმება, ხელოვანებს ხშირად დიდი, გრძელი თითები აქვთ, მე კი, საშინლად ტლანქი და უხეში, ბეჭედს განგებ ვიკეთებ სამშვენისად.

– ქართველი მხატვრებიდან ვისთან გრძნობთ ყველაზე მეტად შემოქმედებით კავშირს?

– ფიროსმანთან. ის ხომ თავისუფალი და ლაღია ფერწერაში. მაგრამ მე მისგან განვსხვავდები კიდეც, ის არ შლიდა, იწყებდა, ხატავდა და ამთავრებდა. მე კი დაუსრულებლად ვშლი და ვხატავ. პიკასოს მსოფლმხედველობა ჩემი სამოქმედო დევიზია: მთავარი ის კი არ არის, რას ხატავ, არამედ ის, რას შლი... მსოფლიოს მხატვრებიდან — მოდილიანი, ვან გოგი, სეზანი, როდენი, მაგრიტი, სალვადორ დალი... შემოქმედებითი კავშირები მხატვრობაში მრავალმხრივია.

**– რა მოგცათ სამხატვრო აკადემიამ?**

– აკადემიური ხატვის უნარი, რაშიც მე ბოლომდე არ ვიყავი დარწმუნებული. იყო მარცხიც. სტუდენტობიდანვე უარვყავი სოციალისტური რეალიზმი, ზოგჯერ ვისჯებოდი კიდეც. სწავლის 8 წლის განმავლობაში ერთი თვეც არ ამიღია სტიპენდია. თეატრისა და კინოს ფაკულტეტზე თითქმის იძულებით გადაყვანამ სამი წლით გამიხანგრძლივა აკადემიაში სწავლის პერიოდი. ეს ჩემთვის ძლიერ სასარგებლო გამოდგა.

**– როგორ იტანთ მარცხს ხელოვნებასა და ცხოვრებაში?**

– მარცხი ხელოვნებაში არსებობს, ამაშია შემოქმედებითი რისკი და სიამოვნება, აღტაცება და კმაყოფილება, ახალი სიმაღლეების დაძლევის სურვილების აღმოჩენა საკუთარ თავში და მუდმივი ძიება ერთი მიზნის მისაღწევად — კიდევ უფრო ღრმად შევიცნო ადამიანი და ჩემი შესაძლებლობები ფერწერაში, რაც ალბათ გენეტიკურად მებოძა.

რაც შეეხება ცხოვრებისეულ წარუმატებლობებს, არცთუ ისე მაწუხებს, ადამიანი ხომ აზროვნებისა და ქმედებისთვისაა შექმნილი, მარცხი და გამარჯვებაც, ჩემი აზრით, და-ძმასავით არიან. ერთი რამ ვიცი, იღბლიანი მხატვარი ვარ...

**– და მაინც, როგორ იტანთ ცხოვრებისეულ ტკივილებს?**

– ჩემი წილი პური, წყალი და ღვინო, ღვთის მადლით, მუდამ მაქვს. ვინც ჩემი მხატვრობა იცის, თვითმყოფად, ნიჭიერ მხატვრად მთვლიან, ჩემს ნამუშევრებს ყიდულობენ, ჩემდამი ინტერესი და კეთილშობილი დამოკიდებულება საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ ყოველდღიურად იგრძნობა და იზრდება.

**– როგორ აღიქვამთ 70 წლის ასაკს?**

– მე არ მრცხვენია განვლილი გზისა. ჩემი ნახატები უამრავ მუზეუმშია გამოფენილი. შარშან უკრაინის მიერ საერთაშორისო მასშტაბით გამართულ კონკურსში, ომის თემას რომ ეხებოდა, მივიღე მონაწილეობა, გავიმარჯვე ფერწერული ნამუშევრით ,,ლტოლვილები“. ამ ქვეყანამ თავისი გინესის წიგნში შემიყვანა თანამედროვე რეალობის თემაზე შექმნილი ნახატით, რომელიც უკრაინის უსაშინლესი ისტორიის ამსახველი ფრაგმენტული ნაწილია, ადამიანებს ომზე უარის თქმას რომ ასწავლის.

**– რა თემები გაღელვებთ ამჟამად?**

– ჩემთვის თემა წინასწარ არც გარკვეულია, არც გაქვავებული, მე ვხატავ მსოფლიო მოვლენებს, ადამიანებს, მათ ბიოგრაფიებს, პეიზაჟებს, ნატურმორტებს, კოლაჟს. ვხატავ ჩემს საქართველოს და ქართველობას... ეს არის რეალური და სიმბოლური აზროვნება, სამშობლო, რელიგია, ჩემი სალოცავი ტაძრები, უსაყვარლესი თემებია.

– თუ გაქვთ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა? ოცნებათა განუხორციელებლობის განცდა?

– არ მრცხვენია ჩემი თავის. ტყუილად არ მიცნობენ შერქმეული მოკლე სახელით — კუხალა. ეს კაცი თავდაჯერებული, ექსცენტრული და მუდამ ღირსების მატარებელი ადამიანია, რომელიც შექმნა ქართულმა მენტალიტეტმა, ქართველი ხალხის ნიჭიერებამ... მე ამ ხალხის გენეტიკური ნაწილი ვარ, მათი გამოგონილი გახლავარ. ვცხოვრობ ოცნებებით, ოცნებებში და ძალიან მიხარია...

**– დედამიწა კაცობრიობის საერთო სახლია, რას ფიქრობთ, ასეა?**

– ჩემთვის დედამიწა ჩემი ქვეყანაა, მეტი არაფერი მსურს ვიფიქრო. სხვათა შორის, ჩემს ერთ მხატვრულ ნააზრევში ასე მიწერია:

,,ეზო და სახლია ჩემი დედამიწა,
მსოფლიო კიდევ — ეზოს ყურე და სამეზობლო.“

**– რა არის თქვენი ორიგინალურობის მთავარი ნიშანი?**

– ადამიანში და ხელოვნებაში ვეძებო სიმართლე და სამართლიანობა. მთელი ჩემი ხელოვნება სამართლიანობასა და გულწრფელობაზეა გათვლილი, ხელოვნებით გამოვხატავ ჩემი ქვეყნისა და ჩემი ხალხის ჭირსა და ლხინს, ამ ხალხის მისხალი ნაწილი ვარ მეც. ამ გადასახედიდან ვხედავ მთელ მსოფლიოსაც.

**– ნებისმიერ ადამიანს, თუნდაც დიდ შემოქმედს, მუდამ სჭირდება საიმედო ადამიანის გვერდში დგომა, ვინ არის თქვენთვის ასეთი?**

– ჩემი შემოქმედების მოყურიადე და მუდმივად გვერდში მდგომი ადამიანი ჩემი მეუღლე, ცნობილი ქართველი პოეტი, მარინე ცხვედიაშვილია, რომელსაც ჩემი ნებისმიერი გამარჯვების თანამონაწილედ აღვიქვამ და მისი გვერდში დგომა ნამდვილად მეამაყება. ასევე ჩემი ვაჟები, ისინი მუდამ გვერდში მიდგანან, მგულშემატკივრობენ და მაფასებენ. ზოგადად ოჯახი, ჩემთვის ულალატო და სათუთი ღირებულებაა, ის ჩემთვის მთავარია.

**– მიგაჩნიათ, რომ ღმერთით ხართ ხელდასმული?**

– ...ჩემი მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ, ბავშვობიდანვე ტკივილებით გავიზარდე, მწარედ განვიცდიდი ყოველდღიურობას, სხვის კარზე ყოფნას, სანათესაოს მისახედი ვიყავი. ბავშვობის ამგვარმა გზამ შემქმნა ასეთ ადამიანად, ტანჯვა, შიში, სიმარტოვე ჩემი თანამგზავრი იყო. ღვთის ნებით, ყველაფერი გადავიტანე, არასოდეს მივუტოვებივარ უფალს, ხატვის ნიჭიც მისგან მაქვს ბოძებული.

**– მისტიკური ხილვები გქონიათ?**

– ხილვები — არა, გამოცხადება — კი. წლების წინ, ერთ-ერთ დაუმთავრებლად მიჩნეულ სურათში, სადაც მაცხოვრის თვალები ბოლომდე დაუხატავი მეგონა, გაფიქრებაც ვერ მოვასწარი, რომ მოხდა სასწაული და სურათიდან ხმა მომესმა ,,შენი თვალები მე ვარ“. ყურთასმენად ვიქეცი, ეს იყო კიდევ ერთი საჩუქარი ღვთისა, იმდენად დიდია სურათიდან გადმოსული უფლის ხმის ძალა, რომ ყველა კრიტიკოსს და ხელოვნებათმცოდნეს აღემატება.

ჰო, მე ღმერთის ხელდასმულად ვგრძნობ თავს, მე არ ვხატავ, ღმერთი მახატვინებს.

**– გულისწყვეტა თუ სიხარული, რა ჭარბობს ამჟამად თქვენში?**

– ყოველი ნახატის სახლიდან წაღება გულს მწყვეტს, ჩემს ნახატთან, ზოგჯერ თვეობით რომ ვმუშაობ, განშორება მიმძიმს, მაგრამ მაგონდება პიკასო — მე ისე არ გავმდიდრებულვარ, რომ ყველა ჩემი ნახატი სახლში მქონდესო... ეს ჩემი სათქმელიცაა.

**– თქვენი ნახატების ერთი ნაწილი თბილისში, საქართველოს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის დარბაზშია გამოფენილი სპეციალურად თქვენთვის გამოყოფილ დიდ საგამოფენო სივრცეში, რა გრძნობას გიჩენთ ეს ფაქტი?**

– დიახ, თბილისის ცენტრში, მაგთიკომის გენერალური დირექტორის, გია ჯოხთაბერიძის თაოსნობით აშენებულ თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში დიდი საგამოფენო დარბაზი მაქვს დათმობილი. ვსარგებლობ შემთხვევით და თქვენი გაზეთით კიდევ ერთხელ ვუხდი მას მადლობას თანადგომისა და დაფასებისათვის, ეს ჩემთვის განსაკუთრებული ბედნიერებაა.

**– რომ გითხრან, მხატვრობა დათმეთო, რას იზამთ?**

– სიცოცხლეს დავთმობ, მხატვრობას — ვერა.

**– სიყმაწვილის ერთი დღე რომ დაგიბრუნდეთ, რას ინატრებდით?**

– ამ ასაკში ძალიან მომწონს ჩემი თავი, სიყმაწვილეში ბევრ შეცდომას ვუშვებდი, აღარ მინდა, რომ დაბრუნდეს ის პერიოდი. ეს ასაკი, ქალაქ ხონში გატარებული, უკავშირდება ჩემი და დედაჩემის შიშს, როცა ღამით ჩვენს ეზოში შემოსული ტურები საშინლად კიოდნენ და გვაშინებდნენ.

**– დედა თქვენს შემოქმედებასა და ცხოვრებაში...**

– ლექსად გეტყვით:

,,...გზა ზენიტისკენ მე მეგონა დედის ნაწნავი,
ანდა სიკეთე, გაღებული სიცოცხლის ფასად...“

დედა ჩემი შემოქმედების შთაგონებაა.

– გიფიქრიათ, რა შეიცანით ყველაზე მთავარი ცხოვრებაში?

– არაერთგზის. მე შევიცანი ადამიანი და დრო სამ განზომილებაში. უფრო კონკრეტულად, მე უარი ვუთხარი სოციალისტურ რეალიზმს, ერთთავად მშვენიერი, ბედნიერი ადამიანებით და აწმყოს ყოველდღიური ტაშ-ფანდურით. მე მთელი ჩემი შემოქმედებით შევქმენი ერთი დიდი კომპოზიცია — მიწიერი ადამიანი თავისი დრამატიზმით, საკუთარი წარსულით, აწმყოთი და მომავლით, და ეს ყველაფერი მე-20 და 21-ე საუკუნის მიჯნაზე...

– კურიოზი თქვენი ცხოვრებიდან...

– წლების წინ, აშშ-ში, ქალაქ ტაკონაში, სამ ქართველ მხატვარს პერსონალური გამოფენის წინ საოცრად დიდი სურვილი გვქონდა, რაც შეიძლება მეტად გვესახელებინა ჩვენი სამშობლო.

მიუხედავად იმისა, რომ ერთი სახლის ჭერქვეშ ვცხოვრობდით, ჩვენმა დილერმა პერსონალურად წარგვადგინა. ცალ-ცალკე აშენებულ შენობებს, ერთი საერთო კედელი აერთიანებდა. გამოფენის დაწყების სანატრელმა საათმაც ჩამოჰკრა, ხალხმა ნელ-ნელა იწყო დარბაზში მოსვლა, ის იყო ამერიკის დროშა უნდა აეფრიალებინათ რუსულ დროშასთან ერთად, რომ ჩვენ პროტესტი გამოვთქვით და კატეგორიულად მოვითხოვეთ ქართული დროშის აღმართვა. ეს მაინცდამაინც არ მოეწონათ ჩვენს მასპინძლებს, მაგრამ იმხელა იყო წინააღმდეგობის ძალა, რომ იძულებული გახდნენ, 40 წუთში შეეკერათ ქართული ეროვნული დროშა, რომელიც 50 ვარსკვლავით დამშვენებულ ამერიკის დროშას ამოუყენეს გვერდით და საპატიოდ აღმართეს. გულით ვხარობდი, ყოჩაღ, მცირეხელფასიანი თერძის შვილო, დედაშენი მაინც გიყურებდეს-მეთქი, ვუთხარი ჩემს თავს, შეიძლება ფერწერისა და ხელოვნების ჩემეულმა ძახილმა მამაჩემის ფეხზე წარწერილი, მიწაში ჩაყოლილი, ერთ დროს ციხეში ამოტვიფრული ჩემი სახელი გაამაგროს-მეთქი. დიახ, მე ვირწმუნე, რომ ვარ ოსტატი, უსტაბაში კი ჩემთვის დიდი ქართველი მწერალი, დღეს გარდაცვლილი და მარადისობას შეკედლებული დიდი მერაბ ელიოზიშვილია. მომეჩვენა, რომ ქართულ დროშასთან ერთად მეც მივიწევდი ცისკენ.

**– თქვენი მოღვაწეობის მანძილზე ალბათ ბევრ პოლიტიკოსს და საინტერესო ადამიანს შეხვედრიხართ. ვის გაიხსენებთ?**

– არათუ შევხვედრივარ, ვიცნობდი კიდეც.

არასოდეს დამავიწყდება შეხვედრა მარგარეტ ტეტჩერთან. გასული საუკუნის 80-იანი წლებია, საქართველოში წვეული საპატიო სტუმარი ახალგაზრდა თბილისელ მხატვრებს შეახვედრეს. ამ შეხვედრის დასამახსოვრებელი მომენტები დღემდე მომყვება, ,,რკინის ლედიმ“ ხელის ჩამორთმევისას ჩემს გაწვდილ მარჯვენას მარცხენა ხელიც დაადო და ყველას ძალიან გულთბილად მოგვესალმა. ჩემი მზერა წამიერად მის თვალებს მისწვდა, შევიგრძენი დიდი პოლიტიკოსის გამჭოლი და ერთდროულად ძალიან ლამაზი, თბილი მზერა, ის მომხიბვლელი ქალბატონი იყო, რომელმაც იმ წუთებში ქართველი მხატვრების შემოქმედების მიმართ არამხოლოდ ყურადღება, დიდი ცნობისმოყვარეობაც გამოავლინა...

**ესაუბრა**
**ლია მარტაშვილი**

▶▶ გაგრძელება. დასაწყისი "ლს„№1

მაყვალა გონაშვილი

## წიგნიდან

# უმძრახი წყალი

## ობლის კვერი ცხვაო...

ვის არ გინახავთ ერთი მსახიობის თეატრი.

ის თავად იყო თეატრიც და ამ თეატრის მსახიობიც, დრამატურგიც, სცენის მუშაც და გამნათებელიც... სცენა კი, ო, სცენა მთელი სამყარო იყო. სამყარო თა-



ვისი ქარ-ტეხილებით, სიკეთე-ბოროტებით, ტყუილ-მართლით, სიხარულით თუ ტკივილით..

ოტია იოსელიანს ვიხსენებ.

მუდამ მაოცებდა ხალხურ ზღაპარში ობლის კვერის ჯადოსნურობა. დედინაცვალი რომ მისცემდა შიმშილით გულმოკლულ და ზრუნვამონატრებულ გერს და ეტყოდა, აჰა, შენ ეს კვერი, წადი მომწყემსე საქონელი, ეს კვერი გამვლელსაც აჭამე, გამომვლელსაც, შენც დანაყრდი და შინ ისევ მთელი მოიტანე, მთელი და უხინჯოო.

წლები რომ გავიდა, მერეღა მივხვდი, ზღაპრის დედინაცვალი ცხოვრება იყო, ობლის კვერი კი ის ღვთიური ნიჭი, მხოლოდ რჩეულთ რომ ერგებათ, რაგინდ ბევრი გასცენ და დაიხარჯონ, ამ ნიჭს არარა აკლდება, აი, ისეთ ნიჭზე ვსაუბრობ, ოტია იოსელიანს რომ უბოძა არსთგამრიგემ.

პირველად ტელეეკრანიდან გავიცანი, მოსწავლე ვიყავი, მწარე, გაუხარელ ბავშვობაზე საუბრობდა, მწერლის ხვედრზე. ის გადაცემა დღემდე შემორჩა ჩემს მეხსიერებას. მისი ხმის ტემბრი იმ დღიდან დამამახსოვრდა. მერე მის ზღაპრებს, რომანებს, პიესებსაც გავეცანი. 21 წლის ვიყავი, როცა პირადად შევხვდი.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში გამორჩეულად უწყობდნენ ხელს ახალგაზრდა ხელოვანებს. იყო მრავალი ფესტივალი, სემინარი, პოეზიის საღამო თუ შეხვედრა. ამას ისიც ემატებოდა, რომ 17 წლის ასაკიდან ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციაში ვმუშაობდი, არაერთი გადაცემის ავტორი და წამყვანი ვიყავი, ამიტომაც მერგო სრულიად ახალგაზრდას უფროსი კოლეგებისგან პატივი და სითბო.

წყალტუბოში ჩემი პოეზიის საღამო დაიგეგმა. თან სანატორიუმში დასვენებაც შემომთავაზეს, მე ჩემს გამზრდელ დედილასთან (ასე ვეძახდი კახელ ბებოს) ერთად წავედი.

საღამო წყალტუბოს კულტურის სახლში გაიმართა, რომელიც ბატონმა ოტია იოსელიანმა გახსნა.

ზის ჩემი თავსაფრიანი დედილო დარბაზში (ვინ იცის, გულში სიხარულის რა ცეცხლი უტრიალებს) სიტყვას უქებენ მის გაზრდილს, კითხულობენ მის ლექსებს და უცებ ერთ-ერთმა წამყვანმა ბებოს მიმართა: იქნებ გვიამბოთ, მაყვალა როგორი ბავშვი იყოო.

დედილა, ცრემლივით გალეული, სიფრიფანა დედილა, ფეხზე არც კი წამომდგარა, ვიფიქრე, სიხარულისგან გული აუჩუყდა და საქებარ სიტყვებს ეძებს-მეთქი.

მან კი ბრძანა: – მადლობის მეტი რა მეთქმის ხალხო, მაგრამ დიდი არგასაზრდელი და არსაითი ბავშვი იყო, მაგისმა დევნამ დამაბერაო.

-ამიტომ მიყვარს კახეთი, მართალ სიტყვაში გენაცვალე დედიო. ჩიბუხი ტუჩებს მოსწყვიტა ბატონმა ოტიამ. იმერელი ბებია რომ ყოფილიყო, იტყოდა ბაღნობიდან გენიოსი მყავდაო.

სუფრის თამადაც ბატონი ოტია ბრძანდებოდა. კაი ბაღანა ხარ შენ, კაი ბაღანაო, მეძახდა... მერეც, ათეული წლების მერეც ასე მომმართავდა, ასეთად დავრჩი მისთვის.

სუფრაზე ვიღაცამ ლექსი წაიკითხა: „სამშობლო, დედის ძუძუი"... ეს სიტყვა ეხამუშა, რა კარგი ლექსია, ოღონდ ეგ სიტყვა არ უნდა დაეწერაო... ამ წმინდა ლექსმაც შეუქმნა უხერხულობა ჭეშმარიტ მწერალს, დღეს კი, დღეს უხამსობა თანამედროვე მწერლობის ნორმად იქცა.

როცა მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ ამირჩიეს, ყოფილი თავმჯდომარის მომხრე რამდენიმე ცნობილმა მწერალმა კავშირი დატოვა. ეს ჩემთვის გულში ლახვარივით იყო. ისედაც უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ორგანიზაცია იბზარებოდა, ამაოდ ვიმეორებდი ყველა წერილში კავშირის პირველი თავმჯდომარის კოტე მაყაშვილის სიტყვებს: „ვერიდნეთ დანაწილების, დაქსაქსულობის შხამს! ნუ შევუშინდებით ჩენში არსებულ ლიტერატურულ მიმართულებათა სხვადასხვაობას. ჩვენ ყველანი ძიების ხანაში ვართ. ვეძებთ ჭეშმარიტებასა და მშვენიერების მწვერვალებს. მიზანი ერთი გვაქვს. მხოლოდ მივდივართ საძებრად სხვადასხვა გზით. ეს მიზანი გვაერთიანებს ჩვენ".

საბედნიეროდ, ამ დროს დაუბრუნდნენ მწერალთა კავშირს წინა წლებში ორგანიზაციიდან გასული მწერლები: ოტია იოსელიანი, მიშა ქვლივიძე, მერაბ ელიოზიშვილი, ნოდარ ჯალაღონია და სხვები. ეს ჩემთვის დიდი მხარდაჭერა იყო.

ერთხელ მე, ჩემი მეუღლე და რევაზ მიშველაძე ვესტუმრეთ იმერეთს ნიკო ლორთქიფანიძის საიუბილეო ღონისძიებაზე. მეგზურობა ბატონმა ოტია იოსელიანმა გაგვიწია. ჯერ სახლში მიგვიწვია.

ვისაც ოტია იოსელიანის სახლ-მუზეუმი უნახავს, მინდა ვუთხრა, რომ ეს მუზეუმი მწერლის სიცოცხლეშივე იყო ასეთი სრულყოფილი, ეს არ იყო მწერლის საცხოვრებელი ბინა, არამედ სწორედაც მუზეუმი წიგნებით, კედლებზე აფიშებით, მწერლის პორტრეტებით, ერთადერთი, რამაც ეს მუზეუმი დაასრულა და საბოლოო სახე მისცა ეზოში თავად ბატონი ოტიას ძვალთშესალაგი და მემორიალური დაფაა.

ბატონმა ოტიამ ჯანჯუხა, არაყი და ყავა მოგვართვა. უცხოელების ერთდერთი რაც მომწონს ისაა, ყავას რომ მიართმევ სტუმარს და ფაცი-ფუცს ასცდებიო. „შენ კარგი თაფლიც გექნებაო", – არ ეშვებოდა ბატონი რეზო. ოტიამ ყურიც არ ათხოვა.

სიტყვამ მოიტანა და ოტიას ძაღლიც გაიხსენეს, ბოხოია. ოტიამ ღრმად ამოიოხრა და ბრძანა. ერთხელ გავუწყერი და დარდისგან გული გაუსკდა, აი, როგორი თავმოყვარე იყო. რაც მე ამ მთავრობას ვლანძღავ, როგორ არიან ცოცხლებიო.

სიტყვის დიდოსტატები, ბატონი რეზო და ბატონი ოტია იმ დღეს არაერთ საჭირბოროტო საკითხს შეეხნენ, განსაკუთრებით იმაზე წუხდნენ, „დედა-ენა" რომ განდევნეს სკოლებიდან.

ბატონმა ოტიამ ბრძანა: ერთ საავტორო სკოლაში მიმიწვიეს, დირექტორმა თვისი შედგენილი „დედა-ენა" მომართვა, წიგნს თვალი გადავავლე და გულმოსულმა დავხურე, ბოლომდე ნახეთო, არ მეშვებოდა ავტორი, „ღვინო რომ დააგემოვნო, თხლემდე ჩასვლა სულაც არაა საჭიროო, ვუთხარი".

თუ იცით, რას ნიშნავს საავტორო „დედა-ენა"? მრავალისმეყტველად გადმოგვხედა ბატონმა ოტიამ. დედა-ენას რომ შენს ჭკვაზე გააცამტვერებ, აი, ის ყოფილა.

პირველ გვერდზე ეწერა „აი-ია". გამიხარდა პატივი უციათ იაკობისთვის-მეთქი, მეორე გვერდზე აი თხაო, რეიზა გადმოახტუნეს ეს თხა სხვა გვერდებიდან, არ ვიცი, მესამე გვერდზე ეწერა: აი ასოო. ვიფიქრე ასო-ბგერას გულისხმობს-მეთქი. ასი ასოო... სა გვაქვს ჩვენ ანბანში ასი ასო.... ეტყობა სხვა რამეს გულისხმობდა იაკობ გოგებაშვილის დამწუნებელი, კიდო კაი, შიგ ასო არ ჩამიხატეს."

ვიცინოდით, თუმც არ ვიცი, საცინლად გვქონდა საქმე თუ სატირლად.

ბევრი ივიშვიშეს, ბევრი იბრძოლეს, ქართველმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა, სკოლებს იაკობ გოგებაშვილის დედა-ენა დაუბრუნეთო, ამ ორი წლის წინ გვაუწყა განათლების სამინისტრომ, ნატვრა აგიხდათო, მაგრამ რად გინდა, გამოხდნენ ყოვლის მცოდნე ვაი ლიბერალები და არასამთავრობოები და ლამის სახელმწიფო დანაშაულად ჩაუთვალეს მინისტრს ეს ქმედება. ის კი არა და, ჩაჭრილი მოწაფესავით ბოდიშიც მოახდევინეს ტელეეკრანიდან, ჩვენ იაკობის დედა ენა ერთ-ერთ ალტერნატივად შევთავაზეთ სკოლებს, რას აირჩევენ, მათი ნებააო.

და განმკითხავიც აღარავინაა.

ისევ ბატონი ოტია მინდა გავიხსენო.

გავიგე, მძიმე სენითაა დაავადებული და დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერიაო. გადავწყვიტა, სასწრაფოდ გადამეღო მასზე დოკუმენტური ფილმი და საიუბილეო საღამოც ჩამეტარებინა. „ოტია იოსელიანის ათი მცნება" – ასე ჰქვია დოკუმენტურ ფილმს, რომლის ავტორიც თავად გახლავართ. რეჟისორი კი გიორგი კახაბრიშვილი ბრძანდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ სულ რაღც სამ დღეში მოვამზადეთ და მოვიწვიეთ სტუმრები ოტია იოსელიანის იუბილეზე, ხორავას თეატრის დარბაზი გადაჭედილი იყო, როგორც ამბობენ, ნემსიც არ ჩავარდებოდა.

სცენაზე მე და ბატონო ოტია ვიჯექით, საღამო მე მიმყავდა. შუა საღამოს მსვლელობისას სცენაზე ვიღაც შუა ხნის კაცი ამობრძანდა, ხან მე მაჩვენებს ოტიას ფოტოებს, ხან იუბილარს ეჩურჩულება. ვიფიქრე ბატონი ოტიას ახლობელია, იმიტომ თამამობს-მეთქი.

სუფრაზე ორმოცამდე სტუმარი მივიწვიეთ. რესტორან „კრწანისში" მასპინძელი სერგი კაკალაშვილია თავისი განთქმული ღვინით. ის, სცენაზე უბოდიშოდ მონავარდე უცხო კაცი ბატონ ოტიას გვერდიდან არ სცილდება. სტუმარი იუბილართან დაბრძანდა.

შუა ქეიფისას იყვირა ოტიამ, ვინაა აი კაცი, რა შემჭამა, მე აქ გამჩერებელი არ ვარო, თქვენი ახლობელი მეგონა-მეთქი, ვიმართლე თავი. გარბის ოტია ხელების ქნევით და უკან ის უცნობი მიჰყვება, როგორც ჩანს, რაღაცას უხსნის, ან ებოდიშება. ცოტა კი შეჩოჩქოლდნენ იუბილარის გარეშე დარჩენილი საიუბილეო სუფრის წევრები, მაგრამ რა უნდა გვექნა, პურ-მარილს ხომ არ მივატოვებდით. თამადამ მიმტანი მოიხმო, ღვინო შემოგვაკლდაო.

თქვენი მოტანილი „კახური" ბატონ ოტიას რომ კაცი აცილებდა, იმან წაიღო, ასე გვითხრა, მე და ოტია პანთეონში მივდივართ, მწერლების საფლავზე უნდა ავწიოთ ჭიქაო.

ლხინი რესტორნის წყალწყალა ღვინით გავაგრძელეთ.

## ქართველ ქალთა ვნახე კრება

2003 წელია, ქალბატონ მარიკა ბარათაშვილს, სიბრძნით, ნიჭიერებით, სიკეთით სავსე ბანოვანს 95 წელი შეუსრულდა. ვფიქრობდი, რა გამეკეთებინა მისთვის ისეთი, რაც მრავალ ჭირსა თუ ლხინგამოვლილ მწერალს გაახარებდა. გადავწყვიტე მისი პიესის მიხედვით გადაღებული ფილმის „ჭრიჭინას" მთავარი როლის შემსრულებელი, ლეგენდარული მსახიობები, ლეილა აბაშიძე, მედეა ჩახავა და დოდო ჭიჭინაძე მომეწვია მასთან.



ქალბატონებს ლეილას და დოდოს კარგად ვიცნობდი, ქალბატონი მედეა კი პირადად პირველად ვნახე. ჩვენმა ლეგენდარულმა ქალბატონებმა მთხოვეს, ყვავილების ბაზარში გაგვატარეთო. სამი უსაყვარლესი მსახიობის დანახვამ ყვავილების გამყიდველები ისე გაახარა, ყველამ საკუთარი დახლი მიატოვა, ვინ ვარდების თაიგულს ჩუქნიდა მათ, ვინ მიხაკების, ვინ მინდვრის ყვავილების. ასეთი უსაზღვრო, სახალხო სიყვარული და პატივისცემა იშვიათად მინახავს. ჩემმა მეუღლემ ლიფტით ძლივს ამოიტანა მარიკას ბინამდე ნახევარი ბაზრის ნობათი.

ქალბატონი მარიკა ღიმილით შეგვეგება და ყავარჯენზე მიგვითითა, აი, გოგოებო, იცნობდეთ, ჩემი უკანასკნელი კავალერიო.

საოცარი დაბადების დღის მერე სტუმრები მე და მერაბმა გავაცილეთ. მანქანაში წინა სავარძელზე ქალბატონი მედეა ჩახავა დაბრძანდა, უკანა სალონში კი დოდო, ლეილა და მე. ლეილა მედეას გაეხუმრა – რა ბედი გაქვს ჩემო მედეა, სიმპათიური ახალგაზრდის გვერდით ზიხარო. მანქანიდან ჩასვლისას მედეამ ლეილას უთხრა: აჰა, საყვარელო, ამ ახალგაზრდა კაცს ახლა შენ გითმობო.

– შენი დათმობილი რად მინდა, სოფიკო ჭიაურელი კი არა ვარო, – მწარედ გაეხუმრა ლეილა და ოცი წლის გოგოსავით უდარდელად გადაიკისკისა. მედეას უკან აღარ მოუხედავს.

მე კი იმ დღეს რომ ვიხსენებ, აკაკი წერეთლისეული განწყობა მეუფლება:

*ერთხელ მხოლოდ, – ისიც ძილში, –*
*ქართველ ქალთა ვნახე კრება,*
*გეფიცებით, მისი ნახვა,*
*ახლაც ისევ მენატრება...*

## მეგრელის ცოლობის „ტვირთი"

ერთხელ მანანა დუმბაძე მესტუმრა უცხოელ მხატვართან ერთად. ჩემი თუ უფროსი თაობის არაერთი მხატვრის ნაჩუქარი ნახატები უხვად მაქვს სახლში, შეიძლება ითქვას, სტუმარი თანამედროვე ქართველ მხატვართა გალერეაში მოხვდა. განსაკუთრებით აღფრთოვანდა ჯონი გოგიბერაშვილის ნამუშევრით „სიპ ქვაზე", რა თქმა უნდა, ვაჩუქე, ხომ უნდა გამემართლებინა „სტუმარი ღვთისაა"-ს უკვდავი დევიზი.

ვკითხე, თქვენ რა ჟანრში მოღვაწეობთ-მეთქი. მე სილას ვყრი, მერე მასზე დავდივარ, ხელით ვეხები, ასე გამოვხატავ ჩემს დამოკიდებულებას სამყაროსთანო. ხომ არ ვეტყოდი, ჩემი შვილებიც ასე ერთობოდნენ სილაშიო, მრავალმნიშვნელოვნად გავუღიმე. ჩვენთვის, ქართველებისთვის ხომ სიტყვები საუცხოო და ბრწყინვალე სინონიმებია და თურაშაულის პატრონნი ტყეში ვეძებთ პანტას.

2005 წელი იქნებოდა, ახალი არჩეული ვარ მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ. ეს ის პერიოდია, ცალკე პრეზიდენტი „ჩარეცხილებს" რომ გვეძახის, ცალკე ჩვენი „ძვირფასი ხელისუფლება" რომ ცდილობს მწერალთა კავშირის შენობის (ივ. მაჩაბლის ქ. 13) წართმევა-პრივატიზაციას, რევოლუციური რუსთავი2 ღლიცინებს და ცდილობს, იმიჯი შემილახოს, კავშირს ყოველგვარი დაფინანსება შეუწყდა, შენობაში პროკურატურაა შემოსული, ვითომ წარსული საქმეების შესასწავლად (ისე კი ჩვენს დასაშინებლად) ყოველივე ამას კი ემატება კავშირის თავმჯდომარეობისათვის ზოგიერთი მწერლის უკადრებელი ხერხებით ბრძოლა. ერთმა ისიც კი დაწერა გაზეთში, ყრილობაზე ხმა მაყვალა გონაშვილს მივეცი, მაგრამ არ ვაპირებდი, სიტყვით როცა გამოვიდა, ჰიპნოზი გამიკეთაო.

ერთი სიტყვით, ყოველმხრივ შავ დღეში ვარ.

მანანას გარემოც მოეწონა და ქმარ-შვილიც, სიცილით მეკითხება, – რა ჯანდაბა გინდა, დაანებე მაგ თავმჯდომარეობას თავი, მშვენიერი ოჯახი გქონია, იცხოვრე შენთვის, მშვიდად და ბედნიერადო.

მეც ხუმრობითვე ვუპასუხე: – ჩემო მანანა, განა არ ვიცი, რა ყულფში შევყავი თავი, მაგრამ რა ვქნა, ჩემი მეუღლე მეგრელია და თავმჯდომარეზე ნაკლებ ქალთან არ წვება-მეთქი.

მერე მანანას „მთელი ინგლისურის" დახარჯვა დასჭირდა, სტუმრისთვის რომ აეხსნა, რას ნიშნავს მეგრელის ცოლობა.

▶▶ დასასრული იქნება



## იური აბზიანიძე

### რა ყრია

ჟამი გასაჭირს მიბევრებს,
ზურგი მაქცია იღბალმა,
ჩემი დუხჭირი სიბერე
სასაფლაოსკენ მიბღავა.

აღარ მიტოვებს არჩევანს,
ბედის ყორანი ავყია,
არ მიხერხდება დარჩენა,
თუმც დარჩენაშიც რა ყრია?

### თენგიზ წივწივაძის გახსენება

ეს საწუთრო გადათქერე ერთი ამომღერებით,
კვალი ტოვე მოხატული ცისარტყელას ფერებით,
შორით მოგეფერებით.

მრავალთაგან განსხვავებით არ გიყვარდა ხმაური,
გარეშემყოფთ იზიდავდი დახვეწილი აურით,
სხარტი ქათინაურით.

გახარებდა მოყვასისთვის სუფთა გულის ჩვენება,
ჟამი გედგა , ნაღდად იყავ სამეგობროს მშვენება,
უფალს ასე ენება.

ნიჭისა და მონდომების უსასრულოდ მაქებარს,
რუდუნებით აწყობილი გწამდა შენი საქმე და
საქმე გაქანდაკებდა.

ამაყობდი კარგი ძმებით - თამაზით და მურადით,
მათმა ადრე გამოკლებამ სეგძრა სულის სულამდი,
გატყდი კაცი გულადი.

სული კიდე, ვითა ქარი ასხლეტილი აფრიდან,
ცათა შინა გაგეპარა, სამეგობრო დაფიდან
სამოთხეში გაფრინდა.

გარდაცვლილთა გახსენება დარჩენილთა ვალია,
გულში დარდი, თვალზე ცრემლი, მონატრების ბრალია
გვენანები ძალიან.

### ესა ვარ

ბედმა მიმუხთლა, აუგმა,
დარდი მეხივით დამცა - რა,
სიბერემ მხარი აუბა,
თითქმის ბოლომდე დამცალა.

დრომ მძიმე ტვირთი ამკიდა,
გამწირა სიტყვათ მლესავად,
სულის გაბზარულ სარკიდან
რასაც მიცქერით, ესა ვარ.

### ნიღაბი

(ტარიელ ჭანტურიასებურად)

ასე განსაჯა ზენამ, ცხოვრება არის სცენა,
არის ნიღბების ცვენა და ნიღბით დადის ყველა.

არის ნიღაბი თეთრი, არის ნიღაბი შავი,
თუ გაქვს ნიღაბი მეფის, მაშინ ქუდში გაქვს თავი.

არის ნიღაბი კარგი, არის ნიღაბი ცუდი,
არის ნიღაბების თარგი, არის ამ თარგის ქურდიც.

არის ნიღაბი ფორა, არის ნიღაბი შარმის,
არის ნიღაბიც ჰო - რა, თუმც არ უხდება არვის.

მრავალს აწვალებს ფიქრი, ცნობისწადილით კვდება,
ვინ არის ნიღბის იქით, ნეტავი, იქ რა ხდება?

სახე - ნიღბიდან არ ჩანს და არც შიშველი ნერვი,
როცა უნიღბოდ დარჩა, იგი ვერ იცნო ვერვინ.

არის ნიღბების ხორა, განსხვავებული არსით,
სხვადასხვა არის წონა, სხვადასხვა არის ფასიც.

ყველა, ვინც ირგებს ნიღაბს, საკუთარ ეგოს ნიღბავს,
თანაც უმადლის იღბალს, რომ არ ჩანს ნიღბის მიღმა.

### დღე მიტევების

ჩვენ, ყველამ ვიცით, გვსმენია ასჯერ,
არვინ არისო შეუცოდველი,
ვიღაცა მცოდველს უწესებს სასჯელს,
რომელიც ხვალ - ზეგ თავადვე ელის.

განმსჯელი ცოდვილს მორალს უკითხავს,
შემდეგ იმ ცოდვას თვით იმეორებს
და არასოდეს არვის უკითხავს -
რითი სჯობია ერთი მეორეს.

ვეღარ გავმართეთ ცხოვრება ერის,
ცოდვის მორევში ვტრიალებთ ყველა,
მკაცრი კანონი არაფერს შველის,
ცოდვა მრავლდება, ვით სარეველა.

ვინ დიდს, ვინ მცირეს - ყველანი ვცოდავთ,
მერე, ეს ცოდვა შობს ახალ ცოდვას,
ჯაჭვს დასასრული არა აქვს, ჰოდა
ერთად დავფიქრდეთ ყველა, ვინც ვცოდავთ.

გვერდზე გადავდოთ, (მოგმართავთ კრძალვით,)
ანტიპატია - სიმპატიები
და დავაწესოთ ერთიან ძალით
დღე მიტევების და პატიების.

---



## ჯემალ ინჯია

***

კაცისთვის უთქვამს უცხოპლანეტელს -
მდელო გიყვავით კიბოს წამლითო.
რადგან მზაკვრობას ასე ამეტებთ,
მის ამოცნობას არ გასწავლითო.
არა და თურმე ყოველ დღე ვხვდებით,
იმ ბალახს ალბათ რაღაცა ჰქვია.
გაელვიძება ჩემს ჯიბრზე დებილ
კაცობრიობას ძალიან გვიან.
ჩავრთავ ბეთჰოვენს, რომ კლასიკურმა
ჰანგმა მიმგვაროს ღვთაებრივ მირქმას,
ეს მიჯობს, ვიდრე მომკლას იმ მკურნალ
და უსახელო ბალახზე ფიქრმა.

### პოეტო, რანგით მთავარო

„ბალახს ქალის სუნი ჰქონდა“
მ. ლებანიძე

გემოვნებაზე დავა რომ
უაზრობაა გვესმის.
პოეტო, რანგით მთავარო,
ქალის სუნს უძღვენ ლექსი.
ლექსს, მკითხველისთვის გამიზნულს,
ტაშის დამკვრელნი ჰყვანან.
თურმე გამოსცემს ქალის სუნს
ბალახი, მდელო, ყანა.
ქალზე ვერ ვიტყვი - რა სუნი
ასდის და იმით ვთვრები.
მე სულ მათრობდა ასულის
სურნელოვანი თმები.

### ნაძალადევი

ხან უნდა მოწიო. არა და - არ ეწევი,
ისეთ ქალს აკოცო, რომელიც არ გიზიდავს.
ხან უნდა შეაქო შობიდან გარეწრები,
ხან სიტკბო მოწუწნო უსუნო ნარგიზიდან.

ამგვარად ცდილობდენ მშობლები, რათა მესვა
მე ძალის-ძალათი მსუყე რამ - თევზისქონი,
რაიც ჯერ მაქცევდა გამბედავ რადამესად
მერე კი ოლიმპზე დამსვამ ზევსის ღონით.

ქაოსში არავინ სულდგმულობს თავისუფლად
ძმობილო, სუყველას რაღაცა უჩუჩუნებს.
ცხოვრების მოდელი რომ არის მთვრალი სუფრა,
ცეკვის დროს საყვარელ მეწყვილეს უჩურჩულე.

### რას გეტყვი

მე რომ არ ვიცი, იმისთვის ვწვალობ -
რას გეტყვი იმ დროს, ქალღმერთის ნაგრამს,
როცა დამხედავ, ლამაზო ქალო.
სამარადისოდ მიყვარდი, მაგრამ ...
ბედნიერება როგორ დაგვემსხვრა
უკუქცეული ზღვის ტალღასავით.
და ღალატიან სიჭარმაგეს ვხრავ
ბასრი ოცნებით ცის დამხაზავი.
ჩანან ღრუბლები საავდროები,
წვიმა ჩამომდის ... ლპება ფიცრები.
არ მყვარებიხარ, ქალო, დეროებით,
მაგ ოხერ მძიმე ქვას გეფიცები.

### ტოლობა

სტალინს აკნინებს მონტეფიერო -
სისხლის კვალზე დგას ერთი მწევარიც.
„ბოლერო, -ამბობს პროკოფიევი, -
სახელოვნებო არის მწვერვალი“.
სხვა დიდს როდესაც დიდი აფასებს
ამ შეფასებას მართლა ფასი აქვს.
ვინც ჰკითხავს ომის საქმეს ხაბაზებს,
ის უეჭველად მატრაბაზია.
ჭეშმარიტება დასადგენია
განა ბუმბულში - ცეცხლზე, ეკლებში.
ილიამ იცნო ვაჟას გენია,
ფრიდრიხ მეორემ სცნო ერეკლესი.
მიკიტნის გარჯას სცნობს მიკიტანი,
მთა ვერ დაბეჭდავს წამალს ბარისას.
ტიტანის ნაქნარს განსჯის ტიტანი.
ელენე გიყვარს?! მოკვდი პარისად!

თითქმის შეშლილი პოეტის მონოლოგი
დათესეთ ჩემი ნაწამები ხორცის ნაფლეთი,
დაადასტურებს ან უარყოფს კიბოს უჯრედებს
და გამოაცხეთ ნეკროლოგის მსგავსი პამფლეტი,
ისე დამბნედი, მკითხველს სუნთქვა რომ შეუჩერდეს.
ჟურნალ-გაზეთებს შეათესეთ ჩემი ლირიკა,
ამდენი ლექსი რად მინდა, რომ შემრჩეს შინ ობლად, -
ბიბლიოთეკა - წიგნიერი ხალხის კლინიკა
დაადასტურებს ან უარყოფს ჩემს შეშლილობას.

### სიზმრად - ლხინი წინანდალში

მეც ალექსანდრე,
ჭავჭავაძის სტუმარი ვარ და
საჩუქრის ნაცვლად
ბოღმის გუდა უნდა მივართვა
და რომ ავხადო
რუსი სტუმრის განზრახვის ფარდა,
ასე დავიწყე ჩემი მიმართვა:
ეგ აბეზარი
მოიცილე ბუგრი, პოეტო
და გამოფხიზლდი -
გადამალე გოგო ჭალაში.
რად უნდა მისცე
ანგელოზი ბუ გრიბოედოვს,
ანუ ქართულად სოკოჭამაშვილს?!
ის კი არა - მე
გამოვფხიზლდი, თვით მე - პირადად,
თვალების ფშვნეტით
წამოვიჭერ მერე უცებ ზე -
რომ უპასუხოდ
დარჩენილი ჩემი ტირადა
გადამეტანა ლექსად ფურცელზე.

***

მისია ჩემი მე შევასრულე -
ღვთის გაჩენილმა როგორც არსებამ,
ვუტოვებ მამულს ვაჟებს, ასულებს
განმეორებად და ჩემს არსებად.
სრულფასოვანი კაცის გაჩენის
გამართლებისთვის კმარა ბადიში.
ალბათ ახდება სხვა დანარჩენიც,
რაც მიწერია კარაბადინში.

### მწვერვალიდან

თვალს და ხელს შუა გაიფრინა სამოცმა წელმა,
პირველი ლექსი რაც დავბეჭდე, იმ ივნისიდან.
ვინ განმიზიდა, ვუფრთხილდები, ვინ მიმიზიდა,
როგორც ამბობენ დავეუფლე გარკვეულ მწვერვალს.
ძნელდება სუნთქვა, არც თუ ფაფუკ ღრუბლებზე ვწევარ,
უჟანგბადობას, ვინც უსულო გახლავთ, ის იტანს.
მე არ მჩვევია გადახვევა ჩემი მიზნიდან
და ისევ უკვდავ სიყვარულზე ვაგრძელებ წერას.

ეგება კიდეც შემადარონ ოჩან სახედარს,
არ მენაღვლება უსუსური მათგან აუგი.
ბევრი დევ-გმირი ქონდრისკაცად მოჩანს აქედან,

ვისაც თავაზი ვუწილადებ მოწყალე ამბობს.
მათში ბევრია, ვერასოდეს რომ ვერ გაუგებ
ისეთი, ვინც ბევრს ლაპარაკობს და ცოტას ამბობს.

### გავრცელებული მიკრობი

მე ეს ბატონი მაგონებს მიკრობს,
მეცნიერთათვის საკმაოდ ნაცნობს.
ერთს ამბობს, მაგრამ მეორეს ფიქრობს,
მე ეს ბატონი მაგონებს მიკრობს.
ჩემს თვალში მისმა წონამაც იკლო,
თავადაც ცელქი ბიჭივით ანცობს.
მე ეს ბატონი მაგონებს მიკრობს,
მეცნიერთათვის საკმაოდ ნაცნობს.

***

გადავუხვიეთ მთავარ მაგისტრალს,
ედემს მივედით, გაჰქრა მირაჟი.
ცვარი დამეცა დაბა მანგლისთან
ერთ ხეივანში.
და დავინახე: უცნობი მხატვრის
მიერ შექმნილი ნაზი ტილოდან
გადმოდოდა ღვთიური მადლი -
ვაზი ტიროდა.

## ბაბა შურღაია

*დაიბადა 1969 წელს. დაამთავრა თბილისის 48-ე საშუალო სკოლა, შემდეგ — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომის პაპის აღმოსავლური ინსტიტუტის ლიცენციატურა და დოქტორანტურა. არის საეკლესიო მეცნიერებათა დოქტორი, ნეაპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტ „l' orientales“ პროფესორი, რომის პაპის აღმოსავლური ინსტიტუტისა და ვენეციის წმინდა ბერნარდის სახელობის ეკუმენიკური ინსტიტუტის მოწვეული პროფესორი. გამოქვეყნებული აქვს ანტონ ჩეხოვის, ჟან-პოლ სარტრისა და დინო ბუცატის ნოველების თარგმანები, აგრეთვე, მხატვრული ნაწარმოებების კრებული „ნოსტალგია“ (თბ., გამომცემლობა „არტანუჯი“, 2015), რომელსაც მაღალი შეფასება მისცა ლიტერატურულმა კრიტიკამ.*



# მირაჟი

### *მვყვნ*

*„ცერცვს უკვანძო ღერო აქვს –*
*პირდაპირ აკავშირებს ჰადესს მზიურთან;*
*შეუძლია, გარდაცვლილთა სულები*
*ცოცხლებში გადმოასახლოს“.*
**უსახელო პითაგორელი**

მწვანე აინთო და სამზოლიანი გზატკეცილის ორ უკიდურეს მარჯვენა ზოლში მდგარი ორი პირველი ავტომობილი ერთდროულად დაიძრა. შინდისფერმა, რომელიც შუათანა ზოლში მოძრაობდა, მარჯვენა ხაზი გადაკვეთა და მარჯვენა ზოლში მიმავალ სალათისფერს გვერდიდან შეასკდა. დავამუხრუჭე. უსაფრთხოების დისტანციას კარგად ვიცავდი და ჩემი სატვირთო მანქანა უმალ შეჩერდა.

მოძრაობა ორივე ზოლში შეწყდა. მძღოლები ცდილობდნენ, მარცხენა ზოლში გადასულიყვნენ, სადაც ავტომობილთა მდინარემ ჩვეულებრივ განაგრძო დინება.

ყველას თავისი საზრუნავი აქვს, მე კი ადგილიდან არ ვიძვრი. სეირს ვუყურებ.

– წყალი არ გაუვა, ქალია! – ვიფიქრე.

ორივე ავტომობილიდან გადმოხტა ორივე მძღოლი.

– შენი ბრალია!

– არა, შენი! მარჯვენა ზოლიდან გადასწრება არ შეიძლება!

– არა, შენი! მე ჩემს ზოლში ვმოძრაობდი!

ქალია, ცხადია! ტანკენარი, კოხტა, კუპრივით შავთმიანი. ტანს შემოტკეცილი შავი შარვალი აცვია. ისეთი კოხტაა, ცვილისაგან გამოძერწილი გეგონება, მაგრამ ისე გაავებულა, ჩემს მტერს! მეორე, რასაკვირველია, მამაკაცია. ცდილობს, დაამშვიდოს ვეფხი პირგამეხებული, მაგრამ თან გონზეც მოიყვანოს, აზროვნება დააწყებინოს.

მერე საიდანღაც, თითქოს, ზღაპრიდანო, გზატკეცილის რკინის ზღუდეს ჩვენი მეკარე, ამბროჯო გადმოკვეთს. საიდან? როგორ? მაგრამ კიდევ უფრო საოცარი ისაა, რომ ეს არ მაოცებს.

ქალის ავტომობილს ცხვირის წინ უჩერდება. მერე ქალს მზერას უსწორებს და ამბობს:

– მე დავინახე. მოაჯირის მეორე მხარეს ვიყავი. ამ ბატონს თქვენი გასწრება არც კი უცდია, თავის ზოლში მოძრაობდა. თქვენ გადმოჭერით ხაზი და თქვენ შეასკდით.

ტანკენარი აშკარად ცბება.

– რას ბრძანებთ, ბატონო?! ჩემს გასწრებას შეეცადა!

– კეთილი, ქალბატონო. რა პრობლემაა?! დაველოდოთ პოლიციას. ახლავე მოვა, სად წაგვივა?! მე კი მზად ვარ, მოწმედ დავუდგე.

სეირი მორჩა. მალე საგზაო პოლიცია მოვა და აქტს შეადგენს. სად წაუვლენ?! სეირი მორჩა.

მარცხენა მიმართულების მაჩვენებელი ჩავრთე, მარცხენა ზოლში, როგორც იქნა, სადღაც ჩავეკვეხე და გზა განვაგრძე. მერე გზატკეცილიდან გადავუხვიე და ჩემს გზას გავუყევი.

მალე გზის გასწვრივ ფეხით მიმავალ ქალს ვკიდებ მზერას. წამოვეწევი. ტანკენარია, კოხტა, კუპრივით შავთმიანი. შვენის ნაღებისფერი გრძელი ლაბადა, კიდევ უფრო მაღალს და შველივით მოქნილს ხდის. მარცხენა მხარზე ოქროსფერბალთიანი შავი ჩანთა გადაუკიდებია. უკანიდან ტყუპის ცალივით ჰგავს იმას, ვინც შვიდიოდე წუთის წინათ გზატკეცილზე დავტოვე.

სატვირთოს ვაჩერებ, მგზავრის სავარძლისკენ წავიწევ, ბოლომდე დავიხრები და მანქანის კარს ვაღებ:

– ქალიშვილო, საით გაგიწევიათ? ხომ არ გნებავთ, თან გაგიყოლოთ?

შემომხედა და მარჯვენა ხელით შავი სათვალე მოიხსნა. შავგვრემანია, სახეზე ზეთისხილისფერი გადაჰკრავს. შავი ფერ-უმარილი კიდევ უფრო უკეთებს ცეცხლს უშავეს თვალებს, რომლებშიც ეგვიპტური მზესავით მწველი ღამეები უცეკვავენ. შაგვრემან სახეზე ელვარებენ თეთრი კბილები. ისე ელავენ, თვალს გჭრიან. ასე გგონია, მზე იცინის, როცა იცინის. ჯერ თვალებში უდგება იდუმალი სხივი, მისსავე თვალებში რომ შეგიძლვება თავად, მერე იხსნება სქელი, ვნებიანი რომაული ტუჩები და კბილთა ელვარება თოვლზე გასრიალებული მზესავით უკრთის და უელვარებს კუპრისფერ თვალებში. ისაა!

– არ ვიცი, თქვენ საით გაგიწევიათ. არ მინდა, ზედმეტად შეგაწუხოთ. მე აი, იქით, იმ გორაკისკენ მივდივარ, – ხელს მარჯვნივ იშვერს, იმ ხელს, რომლითაც შავი სათვალე უჭირავს.

ის-ისაა, უნდა ვუთხრა, მე სულ სხვაგან მიძევს გზა, აი, ორასიოდე მეტრის შემდეგ, ხელმარცხნივ, ქვემოთ რომ უხვევს-მეთქი, რომ სიტყვები ტუჩებზე მეყინება. თვითონვე მეხიდება:

– შორს სულაც არაა. სულ აქვეა, იმ გორაკს უკან, – ხელს ახლახან ამოწვერილი მზისკენ იშვერს. – ის სულელი რომ არ შემომსკდომოდა ამ ალიონზე, ახლა უკვე შინ ვიქნებოდი.

ისაა! მაგრამ ეს რომ არ მიკვირს, ის უფრო მაცვიფრებს.

– მობრძანდით, – მანქანის კარს ყურთამდე ვუღებ. – მობრძანდით! მეც სწორედ იქით მივდივარ. სიამოვნებით გაგიყოლებთ. შინამდეც მიგიყვანთ.

– დიდი მადლობა! – ერთი წუთითაც არ ყოვნდება. სხარტად, კეკლუცად, მოხდენილად ამოდის სატვირთო მანქანაზე, თითქოს, საგანგებოდ ევარჯიშოს. კაბინაში რომ შემოვა, კარს უმალვე მოიჯახუნებს და შავ, ოქროსფერბალთიან ჩანთას მარცხნივ მოიდებს. მერე თვალს მისწორებს, სულ ერთი წამით. ფსკერუპოვნელი კუპრის ზღვაში მალავს ძახილს და მზერა ჩემი შავი თვალების ფსკერზე, სადღაც, მზის სხივმიუწვდომელ სიღრმეში შეუჩერდება.

თავისით ფიქრობს ფიქრი, მიტაატებს.

– წავედით? – როდის-როდის მეუბნება.

გონს მოვდივარ. გადაბმულობის სატერფულს ბოლომდე ვაწვები, სიჩქარის ბერკეტს პირველში ვაგდებ და გაზს ვაძლევ. მანქანა ასფალტზე ნელა გასრიალდება.

– პოლიციის მოსვლას არ დაუცადეთ? – ვეკითხები.

– ვიდრე მოვიდოდნენ და აქტს შეადგენდნენ, ცხოვრება გავიდოდა მანამდე.

– ასე გეჩქარებათ? სად მიგეჩქარებათ ასე?

– თანაც ის გამოთაყვანებული გამოტყვრა, მოწმედ დავუდგებიო, ხომ წარმოგიდგენიათ?! წყალი არ გაუვა, გამამტყუვნებდნენ! რა აზრი ჰქონდა?! დავუტოვე მანქანა. ჰქონდეთ, ბატონო, და იყვნენ! რაც უნდათ, ის ქნან!

– მერე, იმათაც გამოგიშვეს? არაფერი გითხრეს, ასე რომ წამოხვედით?

– მანქანა ჩემი მაინც არაა. ვერსად მომაგნებენ.

ერთადერთ, თანაც გაუხმოვანებელ კითხვას უპასუხა. უპასუხოდ კი დამიტოვა ყველაზე მთავარი, თუმცა, ისიც ფიქრში ჩარჩენილი: როგორ დამეწია ფეხით და გამისწრო?

ავტომობილი აღმართს შეუყვა. ტანგაძარცვული ასწლოვანი ხეები გზას აქეთ-იქით დარაჯებად დასდგომოდნენ. ასე მეგონა, ქარვისფერ ოკეანეში მივიკვლევდით გზას.

შინ მიდის. რატომღაც ერთი სული აქვს, მივიდეს. პატრიცია ჰქვია. ეგვიპტოლოგია, მაგრამ უნივერსიტეტში სამუშაოდ ვერ მოეწყო, ვერც – მეცნიერული კვლევის ეროვნულ ცენტრში და ვია დელ კორსოზე ანტიკვარული ნივთების მაღაზია გახსნა. ჰყიდის გამოსახულებებს: ქანდაკებებს, სურათებს, ქსოვილებზე ამოქარგულ ხატებებს, ლითონის ფირფიტებსა და ნივთებზე ამოტვიფრულ სახოვან სახეებს; ასლებს, რომლებმაც პირველქმნილ დედანსახეს მოსტაცეს სული და თავად ჩაიდგეს. არც ჰყიდის, რადგან ფასი არ აქვთ სახოვან სახეებს. მყიდველთაგან ერთადერთი აღმოჩნდა მხოლოდ, ვისაც ლომსახიანი ქვის სეხმეთი[1] საკუთარი ფეხით გაჰყვა უკან.

ერთმანეთისთვის სიტყვაც არ გვითქვამს. ფიქრები ბზუიან და ერთმანეთს ეჯახებიან.

– პატრიცია, – ვუთხარი.

უმალ შემაჩერა:

– თქვენ იცით ჩემი სახელი?

– ბედი ვცადე და, როგორც ჩანს, გამოვიცანი, – ვიცრუე.

რა ნაზები არიან იტალიელი გოგოები, როდესაც თვალები კითხვით ევსებათ, როცა შენს პასუხს ელიან! თითქოს, გიწვევენ, გეთამაშებიან, უსიერ ტევრში გიტყუებენ და გეჩვენება, თითქოს, შენს პასუხზე იყოს დამოკიდებული დედამიწის გარშემო მზის ტრიალი. რა ნაზები არიან იტალიელი გოგოები, როდესაც თვალები შეკითხვით ევსებათ!..

მაგრამ სიტყვას ბანზე ვუგდებ. ვეუბნები:

– ბავშვობიდან ვოცნებობდი, სატვირთო მანქანა მეტარებინა. დავდგომოდი ერთ დიდ, დაუსრულებელ გზას, მარჯვენა ფეხი სისწრაფის სატერფულიდან არ ამეღო და ღამესთან ერთად, გიშრისფერ კაეშანში გახვეულს წყვდიადში მედევნა ჩემი ფიქრისთვის, ხშირად მერეხობაში აქა-იქ ნათლის სხივად რომ ელავდა. მაგრამ ცხოვრებამ სულ სხვა გზებით მატარა მერე. სად აღარ ვიყავი, რა საქმეს აღარ მოვკიდე ხელი?! და აი, ახლა სიცოცხლის მიმწუხრისას, ოცნებაც ამიხდა. აი, ჩემი სატვირთო მანქანა! ერთიმეორის მიყოლებით ვკეცე და ვკეცე გზანი უნაპირონი. გზათა დევნა ჩემთვის მოგზაურობა არ არის, ფიქრია! წლებია, ავტომობილიდან ფეხი არ ჩამომიდგამს.

– მე კითხვა მიყვარს, – მძიმედ თქვა ქალმა. – უამრავი წიგნი მაქვს ნაყიდი. ბევრი მათგანი ჯერ არ წამიკითხავს. თუმცა, ვიცი, რომ უნდა წავიკითხო. ჰოდა, ერთად ვაგროვებ. არა, ვკითხულობ კიდეც. თუმცა, კითხვაზე მეტად მოგზაურობა მიყვარს. დიდი ხნის წინათ ერთი ქვეყნიდან მეორეში ვმოგზაურობდი, ვეცნობოდი ხალხებს, მათი ცხოვრების წესს, ენას. მწყუროდა, რაც შეიძლება, მეტის ნახვა მომესწრო, ვიდრე საბოლოოდ მივეჯაჭვებოდი სამუშაოს და უფერულ, ყოველდღიურ იტალიურ ცხოვრებას დავიწყებდი. მერე ცხოვრებამ უცნაური გეზი აიღო. მოგზაურობისას ვხვდებოდი ადამიანებს, – შეჩერდა. შემომხედა, მაგრამ მე ჩემკენ მომავალ გზას ვუსწორებდი თვალს. – არ ვიცი, გამიგებთ, თუ არა, უცნაურ ხალხს. თითქოს, ჩემს ფიქრებს კითხულობდნენ. მეგზურობას მიწევდნენ და უცნაურ საგნებამდე მივყავდი.

– უცნაურ საგნებამდე? – ვკითხე, აფრიალებული გულის ქოშინი რომ დამეფარა.

– არ ვიცი, გამიგებთ, თუ - არა. არიან საგნები, რომლებსაც სულის მიტაცების უნარი აქვთ. უფრო სწორად, მათი შემქმნელნი, ვინც მათ არარადან გამოიხმობენ, დედნის ხატებად ქმნიან მათ და დედნისავე სულს შთაბერავენ. ასლი სულს წარჰგვრის დედანს და თავად ენაცვლება მას. ამ საგნებამდე მივყავდი ამ ხალხს ეგვიპტის მეფეთა ველზე, პატივაყრილი პირამიდების მიწისქვეშეთში, იქ, სადაც შესვენებულთა ამქვეყნიურ ნარჩენთა მპარავს აზრადაც არ მოსვლოდა, ან ვერ გაებედა ფეხის შედგმა. მივყავდი ნეხენში, ზემო ეგვიპტის წმინდა ქალაქში, ნილოსის შენაკადების ზემო წელში, მათ თავამდე, სადაც წყალი ისეთი ანკარაა, ვით - კასანდრას ცრემლი, ჰექტორი რომ დაიტირა. მივყავდი მეჰას წმინდა მთაზე, ძველ იპსამბულზე, სადაც ბორას, წითელ ძერას დაედო ბინა. ეგვიპტის მიწაზე ეთერივით მსუბუქნი იყვნენ ეს საგნები და იოლად მომქონდა რომში, ჩვენს მიწაზე კი ანტეოსივით მიმძიმდებოდნენ ხელში. ასე გადავწყვიტე ვია დელ კორსოზე მაღაზიის გახსნა.

– მინახავს თქვენი მაღაზია. პირველ სართულზეა. დიდი ხნის წინათ მინახავს. კარლო გოლდონის მცირე მოედანსა და პიაცა დელ პოპოლოს შორის.

– ჰო, იქ იყო.

– მერე, მყიდველები?

– სულიერს ვერ გაჰყიდი. ფასი არ აქვს სულს. თავს არ გაგაყიდვინებს. თავად თუ შეიძლება, გაჰყვეს ვინმეს, თავისი ნებით, შენ რომ არ დაგეკითხება, ისე.

– მერე?

– მერე არაფერი. ჩემი მაღაზია მაღაზია კი არა, მუდმივი გამოფენა-მუზეუმია. არასოდეს არაფერი იყიდება. ერთადერთხელ მიმატოვა ქანდაკებამ. მეჰას მთიდან ჩამოტანილი ლოდისგან გამოკვეთილი სეხმეთი იყო. დიდი ხნის წინათ მოხდა. მყიდველი შემოვიდა. ორმოციოდე წლის მამაკაცი. მაღალი, ხმელ-ხმელი, შავგვრემანი, ტალღოვანი თმა აქა-იქ შევერცხლოდა. მზის შავი, გაზიმზიმებული, გაუმჭვირვალი სათვალე შემოსვლისას არ მოუხსნია. პირდაპირ სეხმეთს მიაშურა. სხვისთვის არავისთვის შეუხედავს. თავზე ხელი დაადო. ძალიან გავჯავრდი და ვუთხარი, ექსპონატებს ხელით ნუ შეეხებით-მეთქი. ბოდიშის მოხდის ნაცვლად, უცნაურმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე და ხელი უკან წაიღო. მერე იქაურობა მიათვალიერ-მოათვალიერა, ნახვამდისო, მითხრა, ხელზე მაკოცა და წავიდა.

დადუმდა. შევხედე. კუპრისფერ თვალებში სევდა ჩაჰგუბებოდა. სადღაც მენახა ეს სევდა; სადღაც და ვერ გამეხსენებინა. მერე დასძინა:

– საღამოს, გამოსახულებებს რომ ვემშვიდობებოდი, ეგვიპტური ქვის სეხმეთი ვეღარსად ვნახე. ცამ ჩაყლაპა, თუ - მიწამ, ვერ გამეგო. მერე მივხვდი, რომ იმ იდუმალ შავსათვალიან მამაკაცს თავისით უკან გაჰყოლოდა. სიცოცხლე გაილია მას შემდეგ. დავბერდი. ჰოდა, თავს ვეკითხები ახლა, რა გავაკეთე, რა შევქმენი, რას დავტოვებ ამქვეყნად?! ერთადერთი, რაც მთელ ჩემს ცხოვრებაში ვაკეთე, მოგზაურობა იყო. ვიმოგზაურე, სხვადასხვა ხალხსა და მიწა-წყალს ვეწვიე, ესაა და ეს, მეტი არაფერი! ჰო, კიდევ ჩემი გამოფენა-მუზეუმი შევქმენი. ესაა და ეს!

სევდა, ისევ სევდა კუპრისფერ თვალებში, სევდა, რომელიც ოდესღაც სადღაც მენახა. სევდა... რა ლამაზი სიტყვაა „სევდა“!..

„დავბერდი“. როგორ მიხრიდა თავადაც მხრებს განვლილი წლების სიმძიმე! როგორ დავტოვე ჩემი ბავშვობა და ყრმობის სიზმრები იმ ძველთაძველი რკინიგზის ბაქანზე, სადაც მშობლები და თვისნი ჩემნი გამითეთრდნენ ჩემს მოლოდინში; იქ, სადაც ვეღარ მოვახერხე დაბრუნება! სად დამრჩი, ჩემი ბავშვობის ძველთაძველო რკინიგზის ბაქანო? სად გაქრა შენკენ მომავალი საცალფეხო ბილიკი, რომელსაც ყრმობაში აგრერიგ ხშირად, სულშეგუბებული სულმოუთქმელად ამოვირბენდი?! რატომ დაგფარა ასე ულმობლად სარეველამ?! როგორ მოახერხა, ერთი ხელის მოსმით, ასე უგზო-უკვლოდ გაექრე, სიცოცხლის ნიშან-წყალი წაეშალა შენთვის?!.

ავტომობილი გზას მიუყვებოდა. სრიალით, ლაღად, სიკასკასით მიუყვებოდა ციცაბო აღმართს. მზის სხივები ცეკვავდნენ პატრიციას კუპრისფერ თვალებში, დაწალიკებულ ჯარისკაცთა წყებებად გარბოდნენ ხეები, თავს გვიკრავდნენ და სალამს გვიძღვნიდნენ.

არ ვიცი, რამდენი ხანი ვიარეთ ასე. ალბათ, მთელი დღე, რადგან მწუხრი დგებოდა, როდესაც გორაკის მწვერვალი გადავიარეთ და გორაკის იქითა მხარეს მივაღწიეთ, რომელიც ამ დილით გზიდან არ ჩანდა. გზა აქ დამთავრდა. ხეთა ტევრში კეკლუცად ჩამჯდარიყო კოხტა ერთსართულიანი, სამკუთხედსახურავიანი მანსარდიანი ხის კოტეჟი, ხოლო ნათელი, თითქოს, სამუდამოდ ეთხოვებოდა დედამიწას.

1 სეხმეთი — ომის ეგვიპტური ქალღმერთი. განასახიერებდა მზის ყოვლისმწველ სხივებს და უდაბნოს გავარვარებულ ქარებს, რომლებიც ცეცხლით სუნთქავდნენ.

ძრავა გამოვრთე, ხელის მუხრუჭი ამოვწიე, გადაბმულობის სატერფულს ბოლომდე დავაწექი და ბერკეტი უკუსვლის სიჩქარეში ჩავაგდე. გადმოვედი, ავტომობილს ცხვირიდან შემოვუარე და მგზავრის კარი გამოვაღე.

– ჩამობრძანდით, – ვუთხარი და მკლავი გავუწოდე. – დამეყრდენით.

შინაურულად, თითქოს, ერთი საუკუნე მიცნობდა, მკლავზე დამეყრდნო, შავი ჩანთა აიღო და მოხდენილად ჩამოხტა.

– რა მაღალი საფეხურია!

კარი მივხურე და იქაურობა მივათვალიერ-მოვათვალიერე. ტყე მესრად შემორტყმოდა კოტეჯს.

– არ გეშინიათ ტყის გულში უმესროდ, უჭიშკროდ?

– რისი უნდა მეშინოდეს?

– ან კაცის, ან მხეცის.

– კაცი აქ ვერ მომაგნებს, ხოლო ცხოველის რატომ უნდა მეშინოდეს?!

– ჰო, მაგრამ გზას ხომ აქეთ მოვყავართ?

სახეზე იდუმალი ღიმილი გაუკრთა. მერე მომიგო:

– მოვყავართ'? ყველას აქეთ მოუძღვება? ასე გგონიათ?

სახლის კარი გაიღო და ჩვენი მეკარე, ამბროჯო გამოვიდა.

– მობრძანდით, სინიორა! ხომ კარგად იმგზავრეთ?

– გმადლობთ, ამბროჯო. ეს ბატონი ამაღამ ღამეს ჩვენთან გაათევს. სინორ?.. – და ჩემი თვალების კარი შემოაღო.

– არ მინდა, ასე შეგაწუხოთ, – კითხვა უპასუხოდ დავუტოვე. – ხელ-პირს დავიბან, წყალს მოვსვამ და ჩემს გზას გავუყვები. წინ დიდი გზა მიძევს.

– ყველას დიდი გზა გვიძევს წინ, სინიორ, – მითხრა ქალმა. – მაგრამ ამ კუნაპეტ ღამეში, აქ რომ იცის და ეს-ესაა ჩამოდგება, ვერსად გაგიშვებთ. ხომ ხედავთ, გზა შუაგულ ტყეში მიიკვლევს გზას.

– აკი, ცხოველის რატომ უნდა მეშინოდესო?

– მარტო ცხოველს როდი დაუდვია ბინა უსიერ ტყეში! – მშვიდად მომიგებს. მერე დასძენს. – დამიჯერეთ, ვერ გაემგზავრებით. ამაღამ ჩვენთან გავათიოთ. მერე ყველას მაინც ერთად მოგვიწევს წასვლა.

არემარეს ვათვალიერებ. ბინდ-ბუნდია და შეიძლება, ვცდები, მაგრამ ფოთლებგაცვენილ ხეებს და მათზე შემორჩენილ წითელ და ქარვისფერ ფოთლებს, ასე მგონია, მოლურჯო ფერი გადაჰკრავს. ვერც ხეებს ვცნობ, რა ჯიშისანი არიან.

– კეთილი. რა გაეწყობა?! სიამოვნებით ვიღებ თქვენს თავაზიან შემოთავაზებას, – ვეუბნები და უკან, მანქანისკენ მივდივარ. გასაღებს მანქანაშივე ვტოვებ, ჩემს განუყრელ ხელჩანთას ვიღებ, ხოლო მგზავრის სავარძლის წინ მოთავსებული უჯრიდან – გაუთვალისწინებელი შემთხვევისთვის გადანახულ შვიდწლიან „ბაროლოს“[2], სწორედ ამ დილით, დილაუთენია ავტომობილის ძარიდან კაბინაში რომ შემოვიტანე, და ჩემს გულითად მასპინძლებს ვუბრუნდები.

– ღვინო? თანაც, „ბაროლო“? თანაც, შვიდი წლის წინანდელი? – იღიმის პატრიცია, მაგრამ ღიმილის სხივში აწინდელი სევდის მიმალვას ცდილობს და ამას ვამჩნევ.

– დიახ, – მივუგებ. – ცხოვრება ხელიდან კალმახივით გამისხლტა დედამიწის ზურგზე წოწიალში. ასე ვისწავლე, რომ კაცი ყველაფრისთვის უნდა იყო მზად.

ქალმა შემომხედა და მოჩვენებით დამტუქსა:

– ოჰ, ოჰ, ოდნავ ხომ არ ვაჭარბებთ თავის ქებას? – მერე ამბროჯოს მიუბრუნდა. – გაგვიძეხით სახლში! ჰო, მართლა, – უთხრა მერე, შავი ხელჩანთიდან თეთრი პლასტმასის პატარა კოლოფი ამოიღო და გაუწოდა. – გამომართვით! ცერცვის თესლია. ვახშმის წინ დათესეთ! როგორც იქნა, გამოიდარა და ხომ იცით, დღეს შვიდი ნოემბერია[3].

ამბროჯომ თავი მორჩილად დაუკრა, კოლოფი გამოართვა, მე ხელჩანთა და ღვინის ბოთლი ჩამომართვა და წინ გაგვიძღვა.

ქალს ჩემდა უნებურად მხრით ვეხებოდი. ხანდახან ნაზი სიო გადაგვირბენდა გზაზე, შავ კულულებზე გაეთამაშებოდა და მათი სურნელი ჩემთან მოჰქონდა. ნაცნობი, საყვარელი სურნელი! სირინოზის სიმღერასავით მიზიდავდა!

შინ ფეხი შევდგით თუ არა, ერთ დიდ სასტუმრო ოთახში აღმოვჩნდით. ჩვენ წინ ერთი დიდი, გრძელი პარალელიპიპედი იშლებოდა. ცენტრში გრძელ მაგიდაზე თეთრი, ქათქათა სუფრა გადაეფარებინათ, სუფრის ქვემოდან მაგიდას შინდისფერი ალუბლის ხისგან თლილი მაღალი, ოდნავ გამოზნექილი ფეხები მოუჩანდა, რომლებიც შინდისფერი ალუბლისსავე იატაკს ლომის ტორებით ეყრდნობოდა. სამ სტუმარს ელოდნენ.

მაგიდის უკან დიდ, თეთრი მარმარილოს ბუხარში გულღია ცეცხლი გიზგიზებდა. ბუხრის თავზე ოქროს ჩარჩოში ჩასმული ვეებერთელა სარკე ოდნავ წინ გადმოხრილიყო და გაშლილ მაგიდას ირეკლავდა. მაგიდის ცენტრში, ვერცხლის შანდალში შვიდი სანთლის თავზე ცეკვავდა ცეცხლი. იქვე, მბზინავი ვერცხლის სინზე აკურატულად დაეწყოთ პურის შვიდი ნაჭერი. მაგიდის მარჯვნივ, ოდნავ მოშორებით კედლის შუაგულში, მეორე სათავსში, როგორც ჩანს, სამზარეულოში გასასვლელად, საგანგებოდ გამოეკვეთათ თაღი, რომელიც მყარად ედგა კედლებში ჩატანებულ ორ სვეტზე შემომდგარ სფინქსის[4] თავებს. ბუხრის მხარეს, იქ, სადაც ორი კედელი ოთხმოცდაათგრადუსიან კუთხეს ქმნიდა, ორივე მხარეს იატაკიდან ჭერს სწვდებოდა წიგნის უკარო, ღია, მუხის კარადა. თაღიან კედელს მიყრდნობილი თაროს წინ შინდისფერ მაუდიანი დივანი იდგა, ხოლო მის წინ – დაბალი, მინის მოგრძო მაგიდა, მის აქეთ-იქით კი – შინდისფერი ტყავის ორი სავარძელი. შორიდან კარგად ვერ გავარჩიე, მაგრამ მომეჩვენა, თითქოს, ყველა წიგნი საგანგებოდ ჩაესვათ ყავისფერი ტყავის ხუთნერვიან ყდებში, რომლებსაც შუა საუკუნეებში ხელნაწერთა შესამოსად იყენებდნენ. მეორე კუთხეში, საიდანაც გარე სამყაროს მოსაზღვრე, მაღალფანჯრიანი კედელი სახლის კარისკენ მოიმართებოდა, ხის დიდ სათლში ვეებერთელა პალმა ჩაედგათ. მაგიდის მარცხნივ, მოპირდაპირე მხარე სიმეტრიულად ირეკლავდა მაგიდის მარჯვენა კედელს, მხოლოდ აქ, პალმის ნაცვლად, დიდი, ვეებერთელა, ნარინჯისფერი ნაყოფით დახუნძლული მწვანეფოთლიანი ლიმნის ხე იდგა, ხოლო მეორე სათავსში, არ ვიცი, სად, გასასვლელი თაღი უშუალოდ ორ გრიფონს[5] დაჰყრდნობოდა. ეს იყო და ეს. არსად ჩანდა არც ერთი ქანდაკება, რომლებზედაც ასე გატაცებით მიყვებოდა ავტომობილში.

უჩვეულოდ განათებული მეჩვენა ოთახი. ელექტრონის შუქი მასში მის აქეთ-იქით ორივე სათავსოდან თუ იღვრებოდა. მერეღა მივხვდი, როდესაც კედლებზე ერთ სიმაღლეზე, ერთმანეთიდან ერთნაირ მანძილზე დამაგრებული სამსანთლიანი შანდლები შევნიშნე. მაგრამ სინათლეს ოთახში მაინც შეჰპარვოდა ჩრდილი.

ოთახში საათების განუწყვეტელი წიკწიკი ისმოდა. დიდი, ოქროს საათი შემოედოთ ბუხრის თავზე და წიკწიკებდა. საათები იდგა წიგნის ოთხივე კარადის შუა თაროს შუაგულში. ორი დიდი კედლის საათი ეკიდა სასტუმრო ოთახიდან ორივე სათავსში გასასვლელი ორივე თაღის თავზე, სახლის კარის აქეთ-იქით ორივე ფანჯრის თავზე. ერთმანეთს შეხამებულად წიკწიკებდნენ, მაგრამ ყოველი მათგანი განსხვავებულ დროს აჩვენებდა. მეუცნაურა. სარკეს შევხედე. თითქმის, მთელ ოთახს ირეკლავდა და მის ცენტრში – თეთრ სუფრაგადაფარებულ გრძელ სასტუმრო მაგიდას. ირეკლავდა ბუხრის თავზე შემომდგარ საათსაც, მაგრამ არა – მის უკანა მხარეს, არამედ – ციფერბლატს. მეუცნაურა. ამ საათზე შვიდს რამდენიმე წუთი აკლდა.

ყურიდან არ გამოდიოდა საათების წიკწიკი. ტვინს ბურღავდა.

– ამბროჯო, წარუძეხით სტუმარს. ხელი დააბანინეთ!

სახლისკაცმა მორჩილად დაუკრა თავი, ხელჩანთა ფანჯრის რაფასთან მდგარ შინდის კომოდზე შემოდო, ღვინის ბოთლი მარცხენა ხელში გადაიტანა, მარჯვენა კი თავაზიანად გაიშვირა მარჯვენა თაღისაკენ და მითხრა:

– აქეთ მობრძანდით, სინიორ! ნება მიბოძეთ, გზა გაჩვენოთ, – და წინ გამიძღვა.

დიდ, ელექტრონის შუქით განათებულ სამზარეულოში ამოვყავით თავი, მაგრამ სახლისკაცმა თვალის შეკიდების დროც კი არ მომცა, ისე გამიყვანა სამზარეულოში ხელმარცხნივ კედელში გაჭრილ კარში და იქიდან – დერეფანში, რომელსაც საპირფარეშოში მივყავდით.

– აგერ, სინიორ! – მიმითითა და მორჩილად გადგა განზე. – ღვინოს მუცელგანიერ გრაფინში გადავიტან, ჟანგბადმა რომ მოჰკიდოს პირი და დაიჟანგოს, სული ჩაიდგას. მერე დავბრუნდები და აქვე დაგელოდებით. ნუ იჩქარებთ.

ამომრთველი მოვძებნე, სინათლე ავანთე, კარი გავაღე, შევედი და უკან მოვიხურე.

თეთრი, ქათქათა, მარმარილოთი მოპირკეთებული საპირფარეშო. ვენეციური თეთრი ფაიფურის პირსაბანი და აბაზანა. ორივეგან ოქროს, ჯვრის ფორმის სახელურიანი ორი სხვადასხვა ონკანი: ცხელი და ცივი წყლისთვის. პიჯაკი გავიხადე და ხალათი მოვიღელე. გვიანი შემოდგომა იდგა და ზღვის დონიდან, ალბათ, ათასი მეტრის სიმაღლეზე მაინც ვიქნებოდით, მაგრამ მაინც ხურვებას შეეპყრო ჩემი სხეული. დიდხანს, დიდხანს ვგრილდებოდი ყინულშეპარული ცივი წყლით.

– მობრძანდით, სინიორ, მიგაცილებთ. – მითხრა ამბროჯომ, საპირფარეშოდან გამოსული რომ დამინახა, ხოლო, როდესაც სასტუმრო ოთახში დაბრუნებულმა პატრიციას ვერსად ვკიდე თვალი, მომიგო. – სინიორა პატიებას ითხოვს, ორიოდე წუთში გეახლებათ. მანამდე ხომ არაფერს მიირთმევთ?

ერთ ჭიქა „პროსეკოს“[6]-მეთქი.

თავი დამიკრა და ოთახიდან გავიდა.

წიკწიკი, საათების ჯიუტი, განუწყვეტელი, ტვინის გამბურღველი წიკწიკი: Mემენტო მორი![7] ჯერ მათ ვაკვირდებოდი, მერე მზერა შანდლებზე გადავიტანე, მერე მარჯვნივ მდგარ წიგნების კარადებს შევავლე თვალი. იქით გავეშურე და თაროებს დავუწყე თვალიერება: „ეონთა დრამა“, „სოფია და ახამოთი“, „წიგნი ბარუქისა“, „ატისის საგალობელი“, რენე გენონის „საკრალური მეცნიერების სიმბოლოები“, ჟან რიშერის „ბერძნული ცივილიზაციის საკრალური გეოგრაფია“, შტაინერის „თეოსოფია“... სწორად დამინახავს: ყველა წიგნი საგანგებოდ შეემოსათ ტყავის ყდით. თვალი კურტ ზეთეს „ძველი ეგვიპტის პირამიდების ტექსტების“ ოთხტომეულზე შემიჩერდა. პირველი ტომი გადმოვიღე და გადავშალე. როგორც ჩანს, დეფექტური გვერდი შემხვდა: შუქ-ჩრდილში ცარიელი მეჩვენა ორივე გვერდი. ის-ის იყო, სხვა გვერდზე გადაშლას ვაპირებდი, რომ უხერხულად ჩახველების ხმა შემომესმა.

– ინებეთ, სინიორ! – ვერცხლის სინზე დადებულ ორი მაღალი ჭიქით „პროსეკოს“ მიწვდის.

– გმადლობთ! – შეცბუნებას არ ვიმჩნევ. წიგნს ვხურავ, თავის ადგილას ვაბრუნებ, ჭიქას ყუნწში ვკიდებ ხელს და ხელში ვიღებ.

ამბროჯო უხმოდ მიკრავს თავს, სინს დივნის წინ მაგიდაზე დებს და სამზარეულოსკენ მიემართება.

დივანზე ვჯდები, უფრო სწორად, ჩავეშვები. ჩემს ტანზე გამოჭრილი გეგონება. დივანი პირდაპირ უყურებს ფანჯარას. უკვე გვარიანად შებინდებულა, მაგრამ მაინც ვარჩევ, ახლაღა ვცნობ ტანმაღალ წიფელს, ოთახში შემოხედვას რომ ლამობს. ქარი ქრის. ისიც ირწევა, თითქოს, ეცეკვებოდეს საათების წიკწიკის ფონზე, მაგრამ – უფრო ხანგრძლივი შუალედებით. ჩემი ფიქრი ისევ დღევანდელ უცნაურ დღეს უბრუნდება და, ისევ და ისევ, განუყრელი საათების ჯიუტი, განუწყვეტელი, ტვინის გამბურღველი წიკწიკი ისმის...

ბუხრის თავზე შემომდგარი საათი შვიდს ჩამოჰკრავს, პატრიცია ოთახში რომ შემოდის.

– მომიტევეთ, მარტო რომ დაგტოვეთ!

ჭიქას სინს დავაყრდნობ და ფეხზე წამოვდგები.

ისევ ისაა, მაგრამ – რაღაცნაირად სხვანაირი. სახეზე კვლავინდებურად ზეთისხილისფერი გადაჰკრავს, ყოველ შემთხვევაში ასე ჩანს ბინდ-ბუნდში, მაგრამ თმაზე ოქროსფერი დასდებია და ქერა თმა კულულებად ჩამოშლია მხრებზე, თვალებში კი ოკეანის ფერი და სული ჩასდგომია. ტანთ საშინაოდ აცვია: გრძელი, თითქმის, გამჭვირვალე კაბა-ხალათი, კაცი რომ ვერ გაარჩევს, ლოგინში დასაწოლად რომ უნდა ჩაიცვას ქალმა, თუ – შინ სტუმრის შინაურულად მისაღებად, მხრებზე ოდნავ გამჭვირვალე, თეთრი, ჰაეროვანი მოსასხამი მოუსხამს. ასე კიდევ უფრო ცხადად იკვეთება მისი ჩამოსხმული, მკვრივი, გეგონება, ერთ კუნთად შეკრული სხეული. მზერა, ჩემდაუნებურად ფეხებზე გადამაქვს. სწორი, ქვისგან გამოთლილი, ნატიფი ფეხები. საშინაო, მაგრამ ტყავის, დაბალქუსლიანი შავი ფეხსაცმელი აცვია. რამდენიმე სანტიმეტრით დაბალი იქნება ჩემზე. ისაა!

– ჩემი თმის ფერი ნუ შეგაშინებთ, – მეუბნება, შეცბუნებას რომ კითხულობს ჩემს თვალებში. – რამდენიმე წელია, ასე დამჩემდა, შემწუხრებისას შინ ფეხის შემოდგმის შემდეგ თმა და თვალები თავისით იცვლიან ფერს. მე თვითონაც არ ვიცი, რატომ. ვერავინ - ვერც ექიმმა და ვერც მისანმა ვერაფერი მითხრა.

რაღაცას ჩავილუღლუღებ, მე თვითონაც რომ არ მესმის, რას, ისე.

მერე ჩემკენ მოემართება და მეუბნება:

– ვიმედოვნებ, არც იმაზე დამძრახავთ, საშინაოდ რომ გამოვეწყვე. თუ ნებას დამრთავთ, ამბროჯო თქვენც საშინაო ტანსაცმელს შემოგთავაზებთ. ასე უფრო თავისუფლად ვიქნებით. გრძელი საღამო გვიძევს წინ და სჯობს, თავი ისე ვიგრძნოთ, როგორ - შინ, საშინაო გარემოში, თქვენს საკუთარ სახლში, საკუთარ თავთან მარტოდმარტო დარჩენილმა. თუ გნებავთ, შეგიძლიათ, შხაპიც მიიღოთ.

ამბროჯო ისევ სამზარეულოს მხრიდან შემოდის და ოთახის ზღურბლზე ჩერდება.

– საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. პირიქით, დიდი სიამოვნებით, – ვეუბნები პატრიციას.

ამბროჯო ისევ საპირფარეშოსკენ მიმიძღვება. მარმარილოს ოთხკუთხა, მომცრო მაგიდაზე აკურატულად დაულაგებია ქათქათა საცვლები, საშინაო შარვალი, პერანგი და მოსასხმელი ხალათი.

– ნუ იჩქარებთ, სინიორ! მე ცერცვს დავთესავ, მერე ვახშამს მოვამზადებ. როდესაც მზად იქნებით, ზარს დარეკავთ, – კარის ხელმარჯვნივ ჩამოკიდებულ თეთრი აბრეშუმის ზონარზე მიმითითებს. – და უმალვე გეახლებით, რათა სასტუმრო ოთახამდე მიგაცილოთ, – მერე დასძენს. – ჰო, მართლა! იქვე დატოვეთ თქვენი ტანსაცმელი. ხვალ ახალ ტანსაცმელს მოგართმევთ.

„რა უცნაური წესები შემოუღიათ ამ სახლში!“, – ვფიქრობ ჩემთვის, ხოლო ამბროჯო, თითქოს, ჩემს აზრებს კითხულობსო, მეუბნება:

– სინიორა არავის იღებს შინ. თქვენ გამონაკლისი ბრძანდებით, სინიორ.

ამჯერად ცხელ აბაზანაში ვწვები, სადაც, თითქმის, მდუღარე წყალს სული ამოსდის ორთქლად. არ ვიცი, რამდენ ხანს ვნებივრობ წყალში, რომელსაც პირზე იის სურნელოვანი ქაფი მოსდგომია. მერე, წყლითა და სხეულის წმენდით გულს რომ ვიჯერებ, დიდხანს, დიდხანს ვივლებ კრიალა კანზე ყინულშეპარულ ცივ წყალს. სხეული ქვასავით მიკაჟდება და ყნოსვის მომჭრელი სიქათქათით სუნთქავს.

პატრიცია დივანზე მხვდება. ხელში „პროსეკო“ უჭირავს და დაბინდული თვალებით ესაუბრება ფანჯრის იქით მღელვარე ტანმაღალ წიფელს.

– მერე იტყვით, რომ ჩვენ, ქალებს გვიყვარს წყალში ნებივრობა! ჩემზე შვიდჯერ მეტი დრო დაგჭირდათ, – მოჩვენებით, თავშესაქცევ საყვედურს გაურევს ხმაში. მერე სხივჩადგმული თვალებით მათვალიერებს და აშკარა აღტაცებით მეუბნება. – ოჰ, როგორ უხდებით ამ სახლს! გეგონება, თქვენზე მოერგოს იგი არქიტექტორს, თქვენ კი მთელი ცხოვრება გაგეტარებინოთ აქ. მობრძანდით, დაბრძანდით, ჩემო ძვირფასო! – მიწვევს.

მისკენ მივდივარ და მისგან მარჯვნივ მდგარ სავარძელში ჩავესვენები.

ამბროჯო შემოდის და ვერცხლის სინით შემოაქვს ორი ცარიელი ჭიქა და ყინულით სავსე, ჩითის ქათქათა ხელსახოცგადაფარებულ ლითონის ვაზაში ჩადებული „პროსეკო“ ბოთლით. მაგიდაზე დგამს, ჭიქებს შეავსებს, პატრიციასა და ჩემ წინ დგამს, ბოთლს ვაზაში აბრუნებს, თავს გვიკრავს და სამზარეულოს მიაშურებს.

►► დასასრული იქნება

2 პიემონტური წითელი ღვინო.

3 უძველესი იტალიკური მისტიკური რიტუალის თანახმად, თუ დარი იდგა, ცერცვს თესდნენ ორ ნოემბერს, წინააღმდეგ შემთხვევაში — შვიდ, ჩვიდმეტ, ან ოცდაშვიდ ნოემბერს.

4 სფინქსი — ცენტრალურ და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთის უძველ კულტურებში მითოლოგიური, ხშირად ფრთოსანი არსება, რომელსაც ლომის ტანი და ადამიანის (ან შავარდნის, ანდა თხის) თავი ჰქონდა.

5 გრიფონი — მითოლოგიური არსება, რომელსაც ლომის ტანი და ფრინველის თავი ჰქონდა. გამოსახავდნენ წინა აზიურ, ეგვიპტურსა და კრეტულ, ხოლო მოგვიანებით — ბერძნულ ხელოვნების ძეგლებშიც. გრიფონებს მინდობილი აქვთ ჩრდილოეთის მითოლოგიური ხალხის, არიებისაგან, აპოლონის საგანძურის დაცვა.

6 შუშხუნა თეთრი, ასევე, ვარდისფერი, ჩრდილოიტალიური (ვენეტოსა და ფრიულის რეგიონებში) ღვინო.

7 გახსოვდეს სიკვდილი! (ლათ.).

# თამაზ ბარჯაძე



ცნობილ პოეტს, ჩვენი გაზეთის ძველ ავტორსა და ერთგულ მეგობარს **თამაზ ბარჯაძეს** დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ ძვირფას მეგობარს ღირსშესანიშნავ იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და შემოქმედებით წარმატებებს – კვლავაც ჩვეული სიმაღლეებით, სიწრფელითა და სიყვარულით!

## რამ გამახსენა წუხელი გაგრა

ამ სასახლეში სხივები ჩაქრა,
მიწას დააკვდა ჩემი ედემი!
რამ გამახსენა წუხელი გაგრა,
დღეები- ჟრჟოლვის მოიმედენი...

მბორგავ ტალღებით დამსხვრეულ მთვარეს
ზღვა, გულდამწვარი, სულში მაყრიდა
და დილა ისე ახელდა თვალებს
არ გადიოდა სუნთქვა სახლიდან...

იყო სიზმარი. მაგრამ ეს რაა,
სისხლი რომ სხეულს ჰბუგავს, მდუღარი!
ჩემი სოხუმი, ჩემი გაგრაა,
ჩემი ტკივილი და საწუხარი!

## ამ კაკალს ფოთლები გასცვენია

ამ კაკალს ფოთლები გასცვენია,
ო, რა საბრალოა შესახედად.
ქარს ხმაში სიცივე დასტყობია
შენი ეზო-კარის შესახვევთან.

ფოთლის გიშრებს ველარ ეფერება,
იმათ სინორჩეს და სიმწვანეს,
რატომღაც გუნება შემეცვალა-
ყველაფრის დასასრული ვიწამე!

ცას თეთრი ღრუბლები დაფარავენ,
როგორც ძვირფას კუბოს ზეწარი.
მერე ატირდება შემოდგომა,
ატირდება და ეგ არი...

წამოვა ნისლების ქარავანი,
ქარი ისევ ცივად იქროლებს
და გაინაბება არემარე,
თითქოს მიწა სიკვდილს იგონებს!

ჩავუვლი შესახვევს და გზას ვაგრძელებ,
ფიქრები ფოთოლივით მამჩატებს,
ო, რა გემრიელად ვიტირებდი
ქუდი მეხუროს და არ ვჩანდე!

## ახლა დილაა

ახლა დილაა
თუ საღამოა,
ქარს ავიწყდება ჩითის კაბები;
ეს სტრიქონებიც სიზმრის გამოა,
ფილოსოფია არ უნდა ახსნას!
ახლა დილაა,
თუ საღამოა,
დარია, თოვს თუ წვიმაა თავსხმა...

ვეთამაშები გაყინულ ფიფქებს-
ლაწვის ჩუქურთმას თუ სულის ამბოხს...
შემოიპარა აპრილი იქნებ
სავსე ტყემლების თეთრი ქარიშხლით...
მე წავალ!-
დარჩით საკუთარ თავთან,
მე წავალ!
აღარ მოგთხოვთ: გამიშვით!

გაცივდა მზე და გათავდა უკვე
უკანასკნელი პანაშვიდები...
ის ალმაფრენა და სიჭაბუკე,
დღეები- სავსე ჟრჟოლვის ბინდებით...
სიცოცხლევ, როგორ მტანჯე და მბუგე,
ახლა მაცილებ ცაში დიდებით...

## ზღვამ მთები გადმოიგორა

ზღვამ მთები გადმოიგორა
თავის ქვაძქცეულ ზვირთებად...
ცამ წვიმა გამოიგონა,
მზემ- სითბო დაუშრეტელი,
ჟრჟოლვა- ნატანჯმა სტრიქონმა,
ადამიანმა- ედემი!
დრომ აფეთქებულ გაზაფხულს
დაუთმო სივრცე საგულე...
მკერდზე ყაყაჩო ნაზად ხურს
და ეს სინაზე მახელებს...
მეტი რა უნდა გაზაფხულს
თავის ენაზე მამღერებს!

## პალმის ტოტებზე მიყუჩდა ქარი

პალმის ტოტებზე მიყუჩდა ქარი,
ტალღებად იწვა ზღვა მოცელილი
და ტორტმანებდა აპრილით მთვრალი
ნისლი- ცვარ-ნამად ჩამოცრემლილი...

ყოჩივარდების დამფრთხალი რიგი
ძლივს ამოზიდა მიწამ წვალებით...
ჩვენ მივდიოდით ჰორიზონტს იქით,
მივდიოდით თუ მივწანწალებდით...

ქუჩის კუთხეში მათხოვრის ხელი
ეკიდა, როგორც თოკის ნარჩენი.
მზე იყო ცივი, მზე იყო ბნელი-
ცაზე ხელახლა ალმოსაჩენი.

ქარი მიყუჩდა ტოტებზე პალმის,
ტალღებად იწვა ზღვა მოცელილი
და მე ვიხილე ვედრება ქალის-
დილის ცვარ-ნამად ჩამოცრემლილი.

***

სივრცემ ისე დაიმორცხვა,
მთვარე ხტება ზღვაში ნებით..
ვით პირველი ტკბილი კოცნა,
ცა ბრდღვიალებს დაჟინებით.

მთვარის შუქზე იმსხვრევიან
აქ ჭორობის ალმასები.
მთებს ნისლები მისევიან
გულსაკლავად ლამაზები...

გალმა, ტაოს ტრამალებზე
მარტოსული ჩიტი გალობს.
ჩემო ღამევ, დამალე მზე,
რომ სტრიქონი აბრიალოს...
რომ შენს ტკივილს უხმოს სისხლმა,
ჩაკრულმა ლოდის ხავსებს...
ზღვამ ტალღები გამოსხა
ვარსკვლავების დანახვაზე...

ცის ნაცრისფერ კამარაში
ღრუბლებს, როგორც დევებს, სძინავთ
და ნისლების სამალავში
არტანუჯის კალთა ბრწყინავს!

## ჩემია ღამე

ჩემია ღამე! მთვარე გამეფდა!
ცას ვარსკვლავების შანთები ეწვის.
მე ისევ ვდგავარ ღია კარებთან,
დამწყდარან ჩემი ხიდებიც ბეწვის!

ჩემია ღამის ფსკერიც, კენჭებიც,
თითქოს ვილაცა მიმზერს მთვარიდნ...
და მე ვჩურჩულებ: გულო, შეჩერდი!..
და გულმა ცოდვას გამომარიდა.

თითქოს ღამესთან დავისთვის ვიშვი,
სადაც, ოდესღაც, მთვარე გამეფდა...
და ფარდასავით დაეშვა შიში
გაურკვევლობის ღია კარებთან!

## ნიყვზე

ჯერ ისევ ბნელა. მე და შენ, ორნი
მივდივართ ნიყვზე წნული კალათით.
მონაცრისფერო ნისლების ბორნით,
მორცხვი ღიმილით და ლაპარაკით...

ნიყვმაც ადგილი იცის თავისი,
თავისებურად მაინც ციოდა.
თითქოს გამწყრალი სიტყვა: „გამიშვი“
ყელიდან სითბოდ ამოგდიოდა...

ჩემს უნებურად უცებ გაკოცე,
ტოტიდან ჩიტი მოგვეხალისა...
არ გაგიშვებდა ბებო სოკოზე
ჩემს გარდა, ალბათ, სხვა არავისთან...

ცეცხლი, რომელიც გულის გულს ჩარჩა,
სუნთქვა, ფრთებად რომ ესხა ბარათებს...
დღესაც იმ დილის ალმური მტანჯავს,
ბებოს ნდობა რომ ვერ გავამართლე.

***

სულს მივანდობ აშლილ ქარებს,
ბებერ ფესვებს- ნიადაგებს.
ამ ქაოსს ხომ მაზიარე,
ახლა გინდაც მიალაგე...
დალაგებულს ცხოვრებაში
რა ფასი აქვს, ერთი მითხარ,
შენთან ელთად მინდა ცაში!
მეტყვი- ისე კეთილი ხარ.

მე მიწაზე მსურდა შენთან,
ჩემს უნებურ სულ თან გდევდი...
ჩვენი კოშკი არ აშენდა,
თუ აშენდა, მხოლოდ შენთვის!

## იბადებოდა დღე ისე მშვიდი

იბადებოდა დღე ისე მშვიდი,
ჩიტები ღრუბლებს კირით ლესავდნენ...
ცაში მზე იყო და იყო ღმერთი,
დედამიწაზე იყო მესამე...

რა კარგი იყო აპრილის ლოცვა
ჩამოლვარული ტყემლის ფიფქებად.
დამსკდარ კვირტებზე პეპლების კოცნა
და გაზაფხულის ჩალიკლიკება...

# ტრაგიკომედია საბჭოურად

## ერთი არჩევნების ამბავი. პავლე ინგოროყვა

▶▶ გაგრძელება. დასაწყისი "ლს„№1

მამუკა შელეგია

დასასრულ, დიდ სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად პ. ინგოროყვა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწევა. პ. ინგოროყვა არის საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი მისი დაარსებიდან ვიდრე დღემდე. იგი იყო რედაქტორი მწერალთა კავშირის სალიტერატურო ორგანოებისა /„კავკასიონი", „ახალი კავკასიონი"/. პ. ინგოროყვა იყო ერთ-ერთი მთავარი დამაარსებელი გამომცემლობისა „ქართული წიგნი", მთავარი რედაქტორი ამ გამომცემლობისა 1925-1930 წლებში, ხოლო 1928 1930 წლებში გამომცემლობის გამგეობის თავმჯდომარე. პ. ინგოროყვა 1929-1939 წლებში მუშაობს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. მისი უშუალო მოთავეობითა და მონაწილეობით მოეწყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ხელნაწერების განყოფილება, რომელიც ქართული კლასიკური მწერლობის შესწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენს. პ. ინგოროყვა იყო სახელმწიფო მუზეუმის ამ განყოფილების პირველი გამგე ათი წლის მანძილზე /1929-1939 წლებში /."

ეს არის შემოკლებული ამონაწერი ამ ვრცელი „პავლე ინგოროყვას სამეცნიერო მოღვაწეობიდან", რომლის ბოლოსაც ოთხი მწერალი აკადემიკოსი ერთხმად აცხადებს: „ვღებულობთ რა მხედველობაში პავლე ინგოროყვას დიდ სამეცნიერო დამსახურებას ქართული მწერლობის საქმეში, ჩვენ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები, ამით ვაყენებთ პავლე ინგოროყვას კანდიდატურას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრობაზე ქართული ლიტერატურის ისტორიის დარგში. 29 ივნისი, 1955 წ.

გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონ ტაბიძე. ი. გრიშაშვილი."

„პავლე ინგოროყვას სამეცნიერო მოღვაწეობის" გაცნობის შემდეგ, მწერლებმა მეცნიერებათა აკადემიის წევრობის კანდიდატის შესახებ თავიანთი აზრი გამოთქვეს. მივყვეთ ოქმს:

**„კ. გამსახურდია** – ახასიათებს პავლე ინგოროყვას დიდ სამეცნიერო დამსახურებას ქართული მწერლობის შესწავლის საქმეში და მხარს უჭერს ამხ. პავლე ინგოროყვას კანდიდატურას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევისათვის;

**გ. ტაბიძე –** სრული შეგნებით და პასუხისმგებლობით მოვაწერე ხელი ჩვენს საერთო განცხადებას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად ჩვენი ცნობილი მწერლისა და მკვლევარის პავლე ინგოროყვას კანდიდატურის წაყენების თაობაზე;

**ლ. ქიაჩელი –** მწერალ პ. ინგოროყვას ვიცნობ მისი ლიტერატურული მუშაობის დღიდან. იგი არის ფენომენალური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი. გაოცებას იწვევს, რომ ერთმა კაცმა ამდენი შესანიშნავი ნაშრომის შექმნა შეძლო;

**გრ. აბაშიძე** – ყოველი ჩვენგანი სიხარულით დაუჭერს მხარს პავლე ინგოროყვას ნამდვილ წევრად არჩევის შესახებ. ეს არის აუცილებელი კანდიდატი. ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო მარის შემდეგ ფილოლოგიაში მომუშავეებს რომ გადავხედავთ, ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ პავლე ინგოროყვა ამ დარგის ბრწყინვალე მუშაკია. იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად უფრო ადრე უნდა ყოფილიყო არჩეული;

**კ. ლორთქიფანიძე –** მე არა ვარ ქართული ლიტერატურის ისტორიის სპეციალისტი, მაგრამ ვარ პ. ინგოროყვას მკითხველი და შემიძლია მტკიცედ განვაცხადო, იგი არის შესანიშნავი მწერალი... პ. ინგოროყვას „მერჩულე" ისეთი სიამოვნებით იკითხება, როგორც უსპენსკის ბიზანტიის ისტორია. მე დარწმუნებული ვარ, რომ პრეზიდიუმი ერთხმად დაუჭერს მხარს პ. ინგოროყვას;

**ს. ჩიქოვანი –** ოთხი აკადემიკოსი მწერლის განცხადებას პ. ინგოროყვას კანდიდატურის წამოყენების თაობაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევისათვის, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრებმა ერთსულოვნად უნდა დავუჭიროთ მხარი. პავლე ინგოროყვა არის ნამდვილი მეცნიერი, პატრიოტი, მის წიგნებში ჩანს მისი დიდი ხასიათი, იგი თავგანწირული ადამიანია ჩვენი ლიტერატურისა და კულტურისათვის, დიდი მცოდნეა ჩვენი წარსული ლიტერატურისა, მაგრამ ამასთანავე იგი ასევე დიდი მცოდნეა თანამედროვე საბჭოთა მწერლობისა;

**ირ. აბაშიძე –** მე მხარს ვუჭერ ოთხი აკადემიკოსი მწერლის განცხადებას იმის თაობაზე, რომ პავლე ინგოროყვას კანდიდატურა წაყენებულ იქნას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევისთვის...

დაბოლოს, ბესარიონ ჟღენტის გამოსვლის შესახებ (ამ შემთხვევაში სხდომის ქრონოლოგია შეგნებულად არის დარღვეული, იგი ბოლოში გადავიტანეთ. დავიმახსოვროთ მისი სიტყვები, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ შემთხვევაში ის გულწრფელია, პატივს სცემს პავლეს ცოდნასა და ავტორიტეტს. ეს მისი სიტყვებიდან ჩანს, როდესაც მან თქვა: „თქვენ იცით, რომ იგი ავტორია იმ მოხსენებისა, რომელიც გაკეთებულ იქნა მწერალთა საკავშირო პირველ ყრილობაზე. მას ეკუთვნის მოხსენების ის ნაწილი, რომელიც



ჩვენს მრავალსუკუნოვან კლასიკურ მწერლობას ეხება... ამ მოხსენებას დიდი რეზონანსი ჰქონდა. მთელი მსოფლიო ამ მოხსენებით გაეცნო ჩვენს მდიდარ ლიტერატურას."

ბ. ჟღენტის ეს სიტყვები მნიშვნელოვანი იყო იმიტომაც, რომ მისი პირით, ხშირად საბჭოური ოფიციოზის პოზიცია ხმოვანდებოდა.

ახლა კი სრულად გავეცნოთ ბ. ჟღენტის ოქმში დაფიქსირებულ სიტყვებს: „პ. ინგოროყვა ყველასთვის ცნობილია, როგორც ჩვენი ლიტერატურის წარსულის სერიოზული მკვლევარი. მისი კანდიდატურის წაყენებას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევისთვის, დიდი კმაყოფილებით შეხვდება, როგორც მწერლობა, ისე ხალხი. დაუშვებელია, რომ ასეთი ღრმა ერუდიციის მკვლევარი, როგორიცაა პ. ინგოროყვა, არ მუშაობდეს მეცნიერებათა აკადემიაში. გარდა იმ მნიშვნელოვანი გამოკვლევებისა, რომლებიც მას გამოქვეყნებული აქვს, თქვენ იცით, რომ იგი ავტორია იმ მოხსენებისა, რომელიც გაკეთებულ იქნა მწერალთა საკავშირო პირველ ყრილობაზე. მას ეკუთვნის მოხსენების ის ნაწილი, რომელიც ჩვენს მრავალსუკუნოვან კლასიკურ მწერლობას ეხებას.. ამ მოხსენებას დიდი რეზონანსი ჰქონდა. მთელი მსოფლიო ამ მოხსენებით გაეცნო ჩვენს მდიდარ ლიტერატურას. ჩვენ შევასრულებთ საბჭოთა მოქალაქის, მწერლისა და პატრიოტის მოვალეობას, თუ ხელს შევუწყობთ, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩეულ იქნას ისეთი დიდი მკვლევარი და მწერალი, როგორიც პ. ინგოროყვაა. მე მხარს ვუჭერ მის კანდიდატურას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევის შესახებ..."

დასასრულ, მწერლებმა ერთხმად **დაადგინეს:** ოთხი აკადემიკოსი მწერლის განცხადების საფუძველზე წარდგენილ იქნას საქართველოს საბჭოთა მწერლების პრეზიდიუმის მიერ პავლე იესეს ძე ინგოროყვას კანდიდატურა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევისთვის ქართული ლიტერატურის დარგში. თავმჯდომარე – ირ. აბაშიძე, მდივანი – ირ. ქავჟარაძე".

ამგვარად, ქართველი მწერლები ერთსულოვნები იყვნენ. ამას ადასტურებს ზემოთ მოტანილი სხდომის ოქმი, რომლის ასლიც აკადემიაში გაიგზავნა. მაგრამ, სულ მალე ყველაფერი კარდინალურად შეიცვალა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გალაკტიონის დღიურის 1955 წლის 8 სექტემბრის ჩანაწერი: „კიბეზე შემხვდა ირაკლი. მითხრა, რომ პირველ საათზე შევხვდეთ ერთმანეთს... მასთან... და არა ჩემთან... (თავმჯდომარესთან). მაშასადამე, რაღაც სერიოზული საქმეა... თურმე საქმე სულ სხვაში ყოფილა. ჩვენ რომ აკადემიის წევრობის კანდიდატათ პავლე ინგოროყვა წარვადგინეთ (მწერალთა კავშირმა), ეს არ მოსწონებიათ მაღლა, დაუბარებიათ სამივე მდივანი და უბრძანებიათ: უკანვე წაიღეთ თქვენი წარმოდგენაო. ირაკლიმ გამომიცხადა ეს ამბავი. განგებ კარლო წაეჩხუბა. ე. ი. მე უნდა უკანვე წამეღო, მაღლიდან დაძალებით – ჩვენი კანდიდატურა. იმარჯვებს ბარამიძე რაღა. იმ 10 დღეს რამაც შესძრა კაცობრიობა, ეს ამბავი არ ეკუთვნის, მაგრამ აჰაა."

მოგვიანებით ყველაფერი გაირკვა. მწერალთა პრეზიდიუმის 30 ივნისის სხდომის მონაწილენი, რომელთაც გულწრფელად გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება პავლე ინგოროყვას კანდიდატურისადმი, ორიოდ თვეში ისევ შეკრიბეს და ახალი დადგენილება მიაღებინეს. აი, ამონაწერი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის 1955 წლის 8 სეტემბრის (N 16) სხდომისა, რომელიც სასწრაფოდ გაიგზავნა მეცნიერებათა აკადემიაში: „თავმჯდომარე: ირ. აბაშიძე მდივანი: ირ. ქავჟარაძე. **მოისმინეს:** ამხ. გ. ლეონიძის ინფორმაცია საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის მიერ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევისათვის წაყენებული კანდიდატურის შესახებ /იხ. ოქმი სსმკ გამგეობის პრეზიდიუმის სხდომისა N14, 1955 წლის 30 ივნისი/.

**დაადგინეს:** საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი იღებს რა მხედველობაში, რომ პ. ინგოროყვას ნაშრომი „გიორგი მერჩულე" ჯერ კიდევ საფუძვლიანად არ არის შესწავლილი, შეფასებული ჩვენი მეცნიერებისა და ლიტერატურის მუშაკების მიერ, ხოლო ამ წამოყენებაში, როგორც მწერალი აკადემიკოსები თავიანთ წერილობით წარდგინებაში აღნიშნავდნენ, ცენტრალური ადგილი უჭირავს ამ ნაშრომს, ერთხმად **ადგენს:** გამოითხოვოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიდან პრეზიდიუმის წარდგინება პ. ინგოროყვას აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევისათვის."

აი, ასეთი უსუსური არგუმენტით დაასაბუთა ხელისუფლებამ თავისი გადაწყვეტილება. არადა, ოთხი აკადემიკოსი მწერლის ხელმოწერილ წარდგინებაში გამოწვლილვით და ნათლად იყო გადმოცემული პ. ინგოროყვას დამსახურება მშობლიური ლიტერატურისა და ისტორიის წინაშე, რომელსაც თან ახლდა შრომების შთამბეჭდავი სია, რომელიც რამდენიმე კანდიდატს ეყოფოდა. თუმცა, ის, რომ „ზევით" მისი კანდიდატურა არ მოეწონათ, ეს გასაკვირიც არ იყო, რადგან ბოლშევიკურ ხელისუფლებას ეს ეროვნული მოღვაწე თავიდანვე გულზე არ ეხატებოდა, იგი ერთხანს მწერალთა კავშირიდანაც იყო გარიცხული: „როგორც აშკარა რეაქციონერი და შოვინისტი მწერალი, რომელმაც ჯერ კიდევ ანტისაბჭოთა ჟურნალის, „კავკასიონის" რედაქტორობის დროს ნათლად გამოამჟღავნა თავისი რეაქციონური და ნაციონალისტური სახე... პავლე ინგოროყვა იყო ქართული მწერლების რეაქციონური და შოვინისტური ნაწილის ორგანიზატორი და ხელმძღვანელობდა რეაქციონურ „ქართული წიგნის" გამომცემლობას, რომელიც წარმოადგენდა მისი ხელმძღვანელობის დროს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილ მწერალთა თავშესაფარს"...

მაგრამ ყველასთვის ცხადი იყო, რომ პავლე ინგოროყვა ლიტერატურის ისტორიის კომპეტენტური და ღრმა მკვლევარი იყო. ამბობენ, 30-იან წლებში, როდესაც გადაწყდა, მოსკოვში ქართული კულტურის დღეების ჩატარება. მაშინდელი მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მიერ მომზადებული ქართული მწერლობის ისტორია სტალინს არ მოეწონა და მისი დაწერა პ. ინგოროყვას დაევალა და მან ღირსეულად წარმოაჩინა უძველესი ქართული ლიტერატურა.

და აი, ახლა, 1955 წელს თითქოს სამართალს პური უნდა ეჭამა, საქმეც აქეთკენ მიდიოდა. არჩევნებისთვის აკადემიის საექსპერტო კომისიებიც დამტკიცდა. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, სადაც კენჭს იყრიდა პავლე ინგოროყვა, პატიოსანი და კომპეტენტური წევრებით იყო დაკომპლექტებული: ნიკო ბერძენიშვილი (თავმჯდომარე), წევრები: კორნელი კეკელიძე, გიორგი ჩუბინაშვილი და გიორგი წერეთელი. მაგრამ... საქმე აქამდე არ მისულა. ხელისუფლებისათვის განსაკუთრებით ზარდამცემი აღმოჩნდა პავლე ინგოროყვას უკანასკნელი ნაშრომი. მისი შთამბეჭდავი მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ეს, ათასგვერდიანი ნაღვაწი: „გიორგი მერჩულე" (ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან)", რომელიც 1954 წელს დაისტამბა და მას დიდი ხმაური მოჰყვა. განსაკუთრებით ამ მონოგრაფიის ერთ-ერთი თავს, აფხაზეთის სამეფოს რომ ეხებოდა.

ავტორმა ისტორიული წყაროებისა და ტოპონიმების ზედმიწევნით შესწავლის შედეგად დაასკვნა: დასავლეთ საქართველოს ის ნაწილი, რომელსაც აფხაზეთს უწოდებენ, მოიცავდა ტერიტორიას კელასურიდან ძველ ლაზიკამდე. რომ აფხაზეთი ოდითგანვე ძირძველი ქართული მიწა იყო, რომ იქ სახლობდა ქართველთა სამი შტო: მესხები (იგივე აფხაზები), კოლხები (მეგრელ-ლაზები) და სვანები. თქმა არ უნდა – პავლე ინგოროყვას ასეთი დასკვნები მეტისმეტად მიუღებელი და გამაღიზიანებელი აღმოჩნდა არა მარტო სეპარატისტებისათვის, აფხაზეთის პარტაქტივისათვის, არამედ, რაც მთავარია, მოსკოვისათვის, რომელსაც აფხაზეთთან დაკავშირებით თავისი გეგმები ჰქონდა. რასაკვირველია, ეს ეროვნული, მტკიცე არგუმენტებით გამყარებული ნაშრომი საბჭოთა ხელისუფლებისთვის მიუღებელი იყო და ყველანაირად ებრძოდა მის ავტორს, მას სხვადასხვა ისტორიკოსები დაუპირისპირეს. არადა პავლე ინგოროყვა პირუთვნელი კვლევა ძიებით ობიექტური სურათის აღდგენას ცდილობდა, ის ანტიკური თუ ქართული ისტორიული წყაროებისა და გეოგრაფიულ სახელწოდებათა ყოველმხრივ ანალიზზე დაყრდნობით ამტკიცებდა, დღევანდელი აფხაზეთის მხარე ოდითგანვე ძირეული ქართული ქვეყანაა, მერვე საუკუნის მეორე ნახევარში აქ შემნილი სამეფო ქართული სამეფო გახლდათ, ხოლო, რაც მთავარია, აფხაზები ქართული მოდგმის ტომი იყო და ეს სახელი მოგვიანებით დაერქვა ჩრდილო კავკასიიდან თანდათანობით ჩამოსახლებულ ჩერქეზული წარმოშობის ხალხს, ვინც ამჟამად მკვიდრ მოსახლეობად ითვლებაო...

დიახ, ეს მტკიცებანი შეადგენდა ერთიან მეცნიერულ კონცეფციას, რასაც არავითარი საერთო არ გააჩნდა პოლიტიკასთან (როსტომ ჩხეიძე). მაგრამ... ვითარება განსაკუთრებით გამწვავდა, 1955 წლის ივლისში, გაზეთ „Заря востока"-ში, ამ წიგნის შესახებ აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის რეცენზიიის გამოქვეყნების შემდეგ, რომელშიც ავტორმა მხარი დაუჭირა პ. ინგოროყვას თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ თანამედროვე აფხაზები არ არიან გვიანანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეების „აბაზგ"-აფსილთა" და „აფხაზების" შთამომავალნი და რომ ადრინდელი აფხაზები ეთნიკურად ქართველურ სამყაროს განეკუთვნებოდნენ.

ამ რეცენზიამ სეპარატისტულად განწყობილი ინტელიგენციის წარმომადგენლების აღშფოთება გამოიწვია. 1957 წლის 11 აპრილს სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნიკიტა ხრუშჩოვის სახელზე გაიგზავნა დეპეშები, რომელთაც აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად ხელს აწერდნენ პარტიული მუშაკებიც. მათ ულტიმატუმი წაუყენეს საქართველოს ხელისუფლებას და კატეგორიულად მოითხოვეს პ. ინგოროყვას წიგნის აკრძალვა. სიტუაცია ვერ განმუხტა ქართული ისტორიოგრაფიული სკოლის მაშინდელი ლიდერის აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილისა და ცნობილი აფხაზმცოდნე-ფილოლოგის ქეთევან ლომთათიძის სტატიებმა ( ზურაბ პაპასკირი).

▶▶ დასასრული იქნება

# ლიბროკუბიკულარისტის შთანაწერები

პაატა ნაცვლიშვილი

## იაშვილი-ბაქრაძის იხვებისა და მიქელაძე-ხვედელიძის იხვის ტოლმისა

პრესაში ამა თუ იმ მიზნით დაბეჭდილ ცრუ ინფორმაციას დღეს,ინგლისურის გავლენით, ფეიკნიუსს ეძახიან. ადრე ამას, რუსულის გავლენით, საგაზეთო იხვი – გაზეტნაია უტკა ან უბრალოდ იხვი ერქვა. ასე მოიხსენიებოდა და რუსეთში დღესაც ასე მოიხსენიება არა მარტო დეზინფორმაცია, არამედ იაფფასიანი საგაზეთო სენსაციაც თუ სარეკლამო სატყუარაც. ეს გამოთქმა რუსულის გზით კი შემოვიდა ჩვენში, მაგრამ სინამდვილეში ფრანგულიდან ან გერმანულიდან მომდინარეობს. საგაზეთო იხვის წარმომავლობის შესახებ რამდენიმე სხვადასხვა ვერსია არსებობს.

პირველის თანახმად, XVI საუკუნის ევროპაში ფართოდ გავრცელებული ყოფილა უცხოეთში ნამყოფი ხალხის – მეზღვაურებისა თუ მისიონერთა – მოთხრობილი ამბები რომელიღაც შორეულ ქვეყანაზე, სადაც თითქოს იმდენი იხვი იყო, ხეებიც კი იხვებით იყო დახუნძლული და საკმარისი იყო ხე შეგერხია, რომ მსუქან-მსუქანი დამფრთხალი იხვები მწიფე ხილივით ცვიოდნენ ძირს. ითვლება, რომ სიტყვა „იხვი“ ამის მერე დაუკავშირდა, გამოგონილ, არარეალურ ამბებს. და როცა საფრანგეთში პირველი გაზეთები გამოვიდა, იქ დაბეჭდილ ნაკლებ დასაჯერებელ, საეჭვო ცნობებს, ირონიულად „იხვები“ შეარქვეს.

იმავე პერიოდისაა მეორე ვერსიაც: XVI საუკუნის საფრანგეთში გაბრიყვების, მოტყუების გამოსახატავად გავრცელებული იყო გამოთქმა „vendre des canards à moitié“ – რაც სიტყვა-სიტყვით იხვების სანახევროდ გაყიდვას ნიშნავს (canard ფრანგულად იხვია). მერე ფრანგული იხვი პირდაპირ თარგმნეს ინგლისურად და ეს ფრანგულ-ინგლისური იხვი მოგვიანებით მტკიცედ დამკვიდრდა ჟურნალისტურ ჟარგონში.

მესამე ვერსიით, XVII საუკუნის გერმანულ გაზეთებში რედაქტორები იმ ახალ ამბებს, რომლებიც შეუმოწმებელი იყო და ნდობას არ იმსახურებდა, ქვემოთ ორ ლათინურ ასოს – NT-ს მიაწერდნენ ხოლმე, რაც შემოკლებული ვარიანტი იყო ლათინური გამოთქმისა - non testantur (ქართულად – შეუმოწმებელია). ხოლო აბრევიატურა NT ჟღერს როგორც ენტე – ზუსტად ისე, როგორც წარმოითქმის გერმანულად სიტყვა „ენტე“ – იხვი.

არის სხვა ვერსიაც, რამდენადმე უფრო გვიანდელი – რომ თითქოს XVIII საუკუნის რომელიღაც ფრანგულ გაზეთში, რომელიც სოფლის მეურნეობის საკითხებს აშუქებდა, ერთ მშვენიერ დღეს დაბეჭდეს გარეული იხვის დაჭერის რაღაც სახალისო ხერხი, რომლის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ძაფმობმული რკო საფალარათე სითხეში ამოევლოთ და იხვი რომ ამას გადაყლაპავდა, კუჭი აეშლებოდა და სკინტლს ძაფიან რკოს გამოაყოლებდა, რომელსაც ახლა უკვე სხვა იხვი გადაყლაპავდა და ახლა იმას აეშლებოდა კუჭი იმის მოსკინტლულ რკოს მესამე იხვი გადაყლაპავდა და ამ გზით ძაფზე იხვების მთელი მწკრივი წამოეგებოდა ბარონ მიუნჰაუზენის იმ ცნობილი ამბის მსგავსად. მაგალითად მოჰყავდათ სასამართლოს მავანი მოხელე, რომელმაც ამ ხერხით თითქოს ოცი გარეული იხვი დაიჭირა ერთ ჯერზე. მკითხველმა ეს ხუმრობა დაიჯერა და მას მერე ასეთი სენსაციური, ნაკლებსარწმუნო ამბები საგაზეთო იხვებად მოინათლა. ეს ვერსია დაწვრილებით არის აღწერილი პიატიგორსკში გამომავალი რუსული იუმორისტული ჟურნალის „კურორტნაია იგლას“ (Курортная Игла – საკურორტო ნემსი) 1914 წლის მე-4 ნომერში.

კიდევ ერთი ვერსიით, თითქოს მარტინ ლუთერს ერთ-ერთი გამოსვლისას მოწინააღმდეგეთა სიცრუეში სამხილებლად „ლეგენდის“ ნაცვლად „ლიუგენდე“ ეთქვა – რაც ჟღერადობით ძალიან ჰგავს ლუგენტეს, რომელიც შეიძლება ითარგმნოს, როგორც მატყუარა იხვი ან ტყუილების იხვი (Lüge – ტყუილი, გამონაგონი; Ente – იხვი).

ცნობილი ლინგვისტის, აკადემიკოს ვიქტორ ვინოგრადოვის გამოკვლევის თანახმად, ტერმინი „საგაზეთო იხვი“ მიეწერება ნაპოლეონის პერიოდის ბელგიელ ჟურნალისტს და იუმორისტს რობერ კორნელისენს, რომელმაც გულუბრყვილო მკითხველის გამასხარავება მოიწადინა. მან დაწერა პატარა შენიშვნა, სადაც აღწერა მავანი მეცნიერის ცდა, რომელმაც თითქოს ერთი იხვი – ბუნებრივად საკმაოდ ღორმუცელა ფრინველი – ნაკუწ-ნაკუწ აქნილი სხვა ცხრამეტი იხვით დააპურა, უფრო ზუსტად – დააიხვა. ჯერ ერთი იხვი დაანაკუწეს და დარჩენილ 19-ს შეაჭამეს, მერე მეორით გაუმასპინძლდნენ დარჩენილ 18-ს და ასე ანაკუწეს იხვები, სანამ ის ერთადერთი არ დარჩა, რომელსაც ყველა 19 თანამოძმე გადაესანსლა და მოენელებინა. ამ შენიშვნას დიდი რეზონანსი მოჰყვა და მკითხველებს იგი მანამდე სჯეროდათ, სანამ თავად კორნელისენმა არ თქვა, რომ უბრალოდ იღადავა. ამის შემდეგ ამგვარ ყალბ და საგანგებოდ მოფიქრებულ ცრუ ამბებს საგაზეთო იხვები უწოდეს, თუმცა










თავად იხვებმა ამის შესახებ დღემდე, რასაკვირველია, არაფერი უწყიან.

რუსეთის იმპერიაში საგაზეთო თუ საჟურნალო იხვის მეტაფორა XIX საუკუნის შუა წლებიდან, რუსული პრესის აღმავლობის ხანიდან გაჩნდა. 1864 წელს ჟურნალში „ოსა“ (Оса – ბზიკი) დაიბეჭდა აფორიზმები, რომელთაგან ერთ-ერთი ასე ჟღერს: „საჟურნალო იხვი ორნაირია – შინაური და გარეული“.

საფრანგეთში დღესაც გამოდის ინტელექტუალურ წრეებში საკმაოდ პოპულარული გაზეთი „კანარ ანშენე“ (Canard enchaînée – მიჯაჭვული/დაბმული იხვი), რომლის პირველი ნომერი 1915 წელს დაიბეჭდა.

თითქოს მოულოდნელია, მაგრამ ეს ყველაფერი გამახსენა ამ ცოტა ხნის წინათ გამოცემულმა წიგნმა „ტექსტი და ავტორი“, რომელიც პაოლო იაშვილის დარიანული ლექსების ავტორობისა თუ თანაავტორობის საკითხს ეძღვნება. „ლიბროკუბიკულარისტის შთანაწერების“ მკითხველმა იცის, რომ პროფესორ გიორგი ჯავახიშვილის ვერსია, – თითქოს ლექსების ეს ციკლი არა პაოლო იაშვილს, არამედ მის მეგობარ ქალს ელენე ბაქრაძე-ბერიშვილ-ქართველიშვილს ეკუთვნის, ამ ბოლო პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური გახდა, იმდენად, რომ დისკუსია მის გარშემო კარგა გვარიანად გასცდა ლიტერატურის სფეროს. ამის დასტური იყო ისიც, რომ ამ წიგნის პრეზენტაციას, რომელიც 2 თებერვალს მწერალთა სახლში გაიმართა, საქართველოს კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანიც დაესწრო და საკმაოდ ვრცელი სიტყვაც წარმოთქვა.

ჩემი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი მე ჩემს სამ ლიბროკუბიკულარისტულ შთანაწერში ჩამოვაყალიბე, რომლებიც „ლიტერატურული საქართველოს“ 2022 წლის 17 და 24 ივნისისა და 1 ივლისის ნომრებში დაიბეჭდა. სხვათა შორის, სამივე ეს შთანაწერი ამ წიგნშიც შეიტანეს მისმა შემდგენლებმა გარკვეული სარედაქციო შემცირებებით.

დიახ, ვთვლი, რომ დარიანული ციკლის ყველა ლექსი პაოლოს ეკუთვნის, რომ ეს არის ერთი ყველაზე გააზრებული და საუკეთესო მისტიფიკაცია ქართულ ლიტერატურაში და ელენე ბაქრაძემაც და გიორგი ჯავახიშვილმაც ნებსით თუ უნებურად პაოლოს ამ თითქმის უკვე მინავლებულ მისტიფიკაციას ახალი სიცოცხლე შთაჰბერეს და ამით თითქოს პაოლოს თანამოაზრეებად იქცნენ. სწორედ ამის შესახებ ვწერ იმ ჩემს შთანაწერებში.

დიახაც ვთვლი, რომ დარიანული ციკლის ყველა ლექსი პაოლოს დაწერილია, ხოლო ელენე დარიანი პაოლოსა და ელენე ბაქრაძის ერთობლივი პროექტია, სადაც ბაქრაძეს თუ ელენე დარიანს სავარაუდო პროტოტიპის ან პროექტის ერთგვარი ქოლგისა თუ შირმისა ფუნქცია ეკისრებოდა.

დიახაც, დარწმუნებული ვარ, რომ დარიანულ ლექსებს ერთი ავტორი ჰყავთ, დარიანულ მისტიფიკაციას კი – ორი!

ახლა ამ წიგნის წაკითხვისას, კიდევ ერთხელ გადავიკითხე თოთხმეტივე დარიანული ლექსი და ჩემი ყურადღება სწორედ ქოლგამ მიიპყრო, უფრო ზუსტად – „ცისფერმა ქოლგამ“, კიდევ უფრო ზუსტად – ერთმა სტრიქონმა დარიანული ციკლის ქრონოლოგიურად ამ მე-11 ლექსიდან, რომელიც აქამდე როგორღაც შეუმჩნეველი მრჩებოდა ხბო(რ)ების, მტრედებისა თუ ამ ლექსში ნახსენები სხვა ცოცხალი არსებებისა და მცენარეულის ფონზე. „ცისფერი ქოლგის“ პირველსავე სტროფში პაოლო იაშვილი წერს:

*„მე სოფლის ამბავს შენს მოგიყვები:*
*(შენ რომ ჰკოცნიდი ტუჩების კიდეს;)*
*ისე გაზრდილან ჩვენი იხვები,*
*რომ პეპლაობა დაიწყეს კიდეც.“*

ხომ არ არის აქ ნახსენები იხვები იმ საგაზეთო თუ საჟურნალო იხვების ერთგვარი გამოძახილი, გამოგონილ ამბებს რომ ნიშნავს? ეს გამოთქმა პაოლო იაშვილს კარგად უნდა სცოდნოდა ცალკე რუსული თუ ცალკე ფრანგული პრესიდან. ის კი არა, ცნობილი ფრანგული გაზეთი „დაბმული იხვიც“ უნდა სცოდნოდა, თუმცა ამ დღემდე უაღრესად პოპულარული გაზეთის პირველი ნომერი უკვე პაოლოს წამოსვლის შემდეგ გამოვიდა პარიზში.

ხომ შეიძლება დავუშვათ, რომ პაოლო ამ იხვებში, მისი და ელენეს მიერ ასე კოხტად გააზრებულ მისტიფიკაციას – გამოგონილ ამბავს (იხვს) გულისხმობდეს, რომელიც დროის გასვლის კვალობაზე („ისე გაზრდილან ჩვენი იხვები“) ესოდენ დამაჯერებელი და რეალური გამხდარა – „რომ პეპლაობა (სხვა ვარიანტში – კვერცხის დება) დაიწყეს კიდეც“.

გამოიგონეს პაოლომ და ელენემ იხვები თავიანთი სასიყვარულო ურთიერთობის დაფარვის თუ საზოგადოების გაბრიყვების მიზნით, მერე ეს გამოგონილი იხვები დაიზარდნენ, ნამდვილ იხვებად იქცნენ, პეპლაობაც დაიწყეს, კვერცხის დებაც და შთამომავლობაც გააჩინეს მისტიფიკაციის ნამდვილობაში დარწმუნებულთა სახით.

ჩემი ეს დაკვირვება იქნებ სახალისო ლიტერატურათმცოდნეობის კურიოზული ეპიზოდების კატეგორიას ვერ გაცდეს, მაგრამ ამ დისკუსიაში მხარეები ხანდახან ისეთ არგუმენტებს იხმობენ, რომ მათ ფონზე ეს დაკვირვება ბორხესისეულიც კი შეიძლება ეგონოს ადამიანს!

ბორხესი არა იხვის ტოლმა! – შესძახებს ალბათ ზოგიერთი მკითხველი.

აჰა, ისევ იხვი!

თანაც – იხვის ტოლმა!

ასე ამბობენ დამცინავი ტონით, როდესაც უნდათ, თანამოსაუბრეს აგრძნობინონ, სისულელეს ლაპარაკობ, უაზრობას ამბობო.

დავინტერესდი, მაგრამ ამ გამოთქმის წარმომავლობას ვერსად მივაგენი, თუმცა ბევრი არც მიძებნია. სამაგიეროდ გამახსენდა ერთ დასტურ საინტერესო იხვის ტოლმა.

ეს გახლავთ მაკა მიქელაძისა და ბესო ხვედელიძის რომანი „იხვის ტოლმა“, 2005 წელს რომ გამოსცა ბაკურ სულაკაურმა.

ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ბევრი როდია ორი ავტორის მიერ შექმნილი ნაწარმოები. ეს, თუ არ ვცდები, სულაც პირველ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. მეორე ალბათ ლალი მოროშკინას და ლაშა ჯუხარაშვილის „მამაკაცის სურნელი“ იყო, 2011 წელს რომ გამოიცა. უძახე შენ იხვის ტოლმა და, მიქელაძე-ხვედელიძის რომანი ერთ-ერთი გამორჩეული მგონია ბოლო დროის ქართულ პროზაში. თუ ორი ავტორის მიერ დაწერილ არაერთ მხატვრულ ნაწარმოებში ძნელი გამოსაყოფია ერთი კონკრეტული ავტორის როლი, ამ წიგნში ყველაფერი ნათელია – ტოლმა მაკას დაწერილია, იხვი – ბესოსი, თუ წიგნის პირველ ნაწილს ტოლმად ჩავთვლით და მეორეს – იხვად. ფაქტია, რომ „იხვის ტოლმა“ ორი მკვეთრად გამიჯნული და განსხვავებული ნაწილისგან შედგება. ზოგს იხვი უფრო მოეწონება, ზოგს – ტოლმა. ერთიც გვარიანად აბსურდულია და მეორეც. მე მეორე ნაწილი უფრო მომწონს იმ თავისი სიგიჟეებით, პერსონაჟთა სახელებით, ფეერიულობითა თუ აჯაფსანდალობით, და, რა თქმა უნდა, წიბახას ფოტოებით. თუმცა ავტორი, რასაკვირველია, პირველი მირჩევნია.

სათაური კი – „იხვის ტოლმა“ – გაცილებით ზუსტი და გასაგებია, ვიდრე იგივე „ცისფერი ქოლგა“ პაოლო იაშვილის იმ იხვებიანი ლექსის თავზე.

სხვა თუ არაფერი, ამ რომანში სათაურის ახსნის მცდელობა მაინც არის:

*„გახსოვს, გადამეკიდეთ, საგზლად რა მოგაქვსო. გიმტკიცებთ – იხვი. არ გჯეროდათ თქვენ. მშივრებს დაგვხოცავს, ამას როგორ ვანდეთ ექსპედიციის საჭმლით მომარაგებაო. არა გვაქვს საგზალი, არაა ბაზარიო – დაასკვენით და რატომღაც არ დაგაწყნარათ ჩემმა გულალალმა დაპირებამ – იხვის ტოლმას გაგიმზადებთ მისვლისთანავე-მეთქი“.*

კარგი რა!

მისვლისთანავე იხვის ტოლმას გაგვიმზადებ, არა – იხვი!

ან კიდევ, უკვე წიგნის ბოლოში:

*„ამბავი ესე იხვის ტოლმაა კომბოსტოს მოთუთქულ ფოთოლში სათუთად გახვეული, ოდნავ ხისტი, უთეთრხორცო ხორცი – მყესგამოცლილი, ხრტილგამოცლილი, გატარებულ-გადატაილ-გადმოტანილი, ნაჩეჩქვ-ნაბეგვი ხახვ-მწვანილით და დაფქვილ-გაცრილი საკაზმით ნაკაზმი, ქაფქაფა, ოხშივარავარდნილი, სურნელოვანი, კომშჩათლილი და ნიორნახეხი“.*

თავის დროზე რომელიღაც გაზეთში ამ სათაურის ისევ კულინარიული, მაგრამ უფრო გზიანი ახსნაც წავიკითხე: თითქოს მაკამ ბესოს ხორციანი იხვი-ტექსტი თავის წინასიტყვაობა-ბოლოსიტყვაობის კომბოსტოს ფოთლებში გაახვია ტოლმასავით.

ტოლმა არა, – იხვი!

## ლევან ნაცვალოვის წიგნისა

ინტერნეტით გავიგე, რომ ქუთაისში ემზარ კვიტაიშვილის წიგნი გამოუციათ რეზო ჭეიშვილზე. მაშინვე დავურეკე ბატონ ემზარს, სად ვიყიდო-მეთქი. არ ვიცი, ვერ გეტყვი, ჯერ მეც არა მაქვსო.

ორიოდე კვირის შემდეგ თავად დამირეკა და მეუბნება, რამდენიმე შეკვრა გამომიგზავნეს და გამომიარე, მინდა, ერთ ეგზემპლარი შენც შეგახვედროო.

744-გვერდიანი წიგნია ემზარ კვიტაიშვილის მოგონებებისა მეგობარ მწერალზე: „რეზო ჭეიშვილის გვერდით“. თანაც ეს მხოლოდ პირველი ტომია. უკვე შევუდექი კითხვას. ძალზე საინტერესო ამბებია მოთხრობილი. მეორე ტომსაც მალე მოგართმევო, – მასპინძელმა.

არც მე მივსულვარ ხელცარიელი. მანანა კარტოზიას და ჩემი მეგობრების მიერ ჩემ საიუბილეოდ გამოცემული წიგნი მივართვი, „ბევრი პაატა ნაცვლიშვილი“ რომ ჰქვია. საჩუქრები რომ გავცვალეთ, სხვათა შორის მეუბნება, შენი მოგვარე სახლიკაცის წიგნი თუ გადმოგცესო.

რომელი მოგვარის, რომელი სახლიკაცისა-მეთქი, გავიკვირვე.

თურმე წლების წინ ერთი ჩვენი კეთილი კოლეგისთვის ლევან ნაცვალოვის რუსული წიგნი გამოუტანებია მისი ერთ-ერთი მოგზაურობის შესახებ, – პაატა თავად მოგზაურია და მისი გვარისკაცის ეს წიგნი გაუხარდებაო.

ლევან ნაცვალოვის ორივე წიგნი ვიცი: ერთი, 1916 წელს გამოცემული, გარეკანზე ვენეცია რომ ახატია, მის მოგზაურობას ასახავს დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, მეორე კი – მანამდე სამი წლით ადრე გამოცემული – გარეკანზე რომ არაფერი ახატია – დასავლეთ ევროპაში, ეგვიპტესა და პალესტინაში მის მოგზაურობას ეხება.

კაპიტანი ლევან ნაცვალოვი ანუ ნაცვლიშვილი არტილერისტი იყო, 1910-იან წლებში ყარსის გარნიზონში მსახურობდა, ზუსტად არ ვიცი, მგონი, გვენათესავებოდა კიდეც. რევოლუციის შემდეგ ხარბინში აღმოჩნდა და მერე მისი კვალი იკარგება. კაპიტან ნაცვლიშვილის ეს წიგნები თბილისშია გამოცემული. ორივე დიდად საინტერესოა და საკმაოდ იშვიათიც. როგორც ვხვდები, ემზარ კვიტაიშვილს ხელთ 1913 წლის გამოცემა ჩავარდნია. კარგა ხნის ამბავია, ზუსტად აღარ მახსოვსო.

იშვიათი წიგნი ემზარს როგორ გაუკვირდება – ერთ ყველაზე წიგნიერ კაცს ქართველ მწერალთაგან, ის კი გაუკვირდა, რომ ამდენი წლის განმავლობაში წიგნმა ჩემამდე ვერ მოაღწია.

ვინ იცის, იქნებ ამ ხნის განმავლობაში იმ ჩვენმა კეთილმა კოლეგამ ან მისმა ვაჟმა – ასევე ჩვენმა კეთილმა კოლეგამ მეძებეს კიდეც, იქნებ, ტელეფონის ნომერი ვერ გაიგეს, ან იქნებ სწორედ მაშინ თბილისში არ ვიყავი, იქნებ პანდემიამაც შეუშალა ხელი, იქნებ სხვა რამ მიზეზიც იყო...

ასეა თუ ისე, თუ კვლავაც ვერ მოხერხდა ჩემი მოძებნა, იმ კეთილ მამა-შვილს ვთხოვ, ემზარ კვიტაიშვილის მიერ ჩემთვის გამოგზავნილი წიგნი „ლიტერატურულ საქართველოს“ რედაქციაში დამიტოვონ.

იმის მიუხედავად, მოაღწევს თუ არა ეს წიგნი ჩემამდე, დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს უფროს მეგობარს, ბატონ ემზარ კვიტაიშვილს რომ წიგნის ჩუქებით ჩემი გახარება მოინდომა და გამახარა კიდეც.

►► გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლს“ 2020წ. №№ 4-6, 9-16, 19-21, 24-26; 2021წ. №№1-4,8-10,13-15,18-20,26-29,33-35; 2022წ. №1-3,7-10,14

►► გაგრძელება იქნება

# უკომპრომისო მებრძოლი




ბატონი თემურ ქორიძე – ეროვნული გმირი, უდიდესი პატრიოტი, თავისი ქვეყნისა და ხალხისთვის თავდადებული, თითქმის ყველაფერი პიროვნული რომ შესწირა მამულს, მის მომავალს და ფიზიკურ გადარჩენას.

ვერ ვიხსენებ ვინ გამაცნო ან სად გავიცანი, უბრალოდ დრომ, ქართულმა სამყარომ და ეროვნულმა მოძრაობამ დამაახლოვა ამ უკეთილშობილეს ადამიანთან. რა ბედნიერები ვიქნებოდით ყველანი, ბატონი თემურისნაირი რამდენიმე ადამიანი რომ მაინც გვყავდეს ერის მაღალ თანამდებობა – სამსახურებში, მაგრამ ბუნება სამწუხაროდ, ძუნწია ამისთანა აუცილებელ შემთხვევაში.

ბატონი თემური გახლდათ დიდი მეობისა და ქართული ამაღლებული სულის მატარებელი. მან არ იცოდა, რა იყო სიძულვილი, შური, ბოღმა, კაცთმოძულეობა და ღალატი. ის თითქოს მორჩილი იყო ყველასთან, მაგრამ მტკიცე, უკომპრომისო ეროვნულ საკითხებში და ამავდროულად, თავისი საქმის უბადლო შემსრულებელ-ოსტატი.

შესანიშნავი ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე და საერთოდ, ნებისმიერ ხელოვნების დარგში ღრმად ჩახედული, მაღალი ინტელექტუალი.

ის მუდამ სიცოცხლის ფასად, გვერდით ედგა ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო ლიდერებს, ბ-ნ ზვიად გამსახურდიას, საქართველოს პირველ პრეზიდენტს და ბ-ნ მერაბ კოსტავას, უდიდეს პიროვნებას, რომელიც, სამწუხაროდ, ბნელმა სამყარომ ჩამოაშორა მოძრაობას. მას საქართველოს დამოუკიდებელი, თავისუფალი სახელმწიფოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მაღალი თანამდებობა ეკავა და იყო ყველასათვის ძვირფასი პიროვნება, მხოლოდ სიკეთეს და სიყვარულს რომ თესდა მაცხოვარივით.

შენ! ჩვენო მართალო მებრძოლო, ამჟამად ზეციური საქართველოდან კვლავ განაგრძნობ უთუოდ, ჩაგრული საქართველოს და ნახევრად ოკუპირებული ქვეყნის სულიერ მოდარაჯეობას. წელს, საქართველოს უდიდესი მეფის დავით აღმაშენებლის საიუბილეო 950 წლისთავია, მჯერა, ეს თარიღი თქვენ, ზვიად გამსახურდიამ, მერაბ კოსტავამ და კიდევ მრავალმა ზეციური ქვეყნის ბინადარმა პატრიოტებმა ჩვენზე წინ აღნიშნეთ მიუწვდომელ ვარსკვლავეთში. თქვენ ისიც იცით წინასწარ, ალბათ, მომავალში რა მოელის ჩვენს ქვეყანას. იმედი მაქვს, დღედაღამე ლოცულობთ, რომ გადაურჩეს იმპერიული ზრახვებით უკიდურესად გახელებულ რუსეთს, რომელიც სხვა ერთა პატრიოტებს კი არა, აკვნის ბავშვებსაც არ ინდობს და ხოცავს უმოწყალოდ. „ძლიერნო, ილოცეთ ჩვენზე...“

ბოლო წლებში, განსაკუთრებით პარიზის შემოქმედებითი მივლინებებიდან დაბრუნებული, პარიზულ-ფრანგული პეიზაჟების გამოფენას ვაწყობდი ნებისმიერ წელს და საგამოფენო დარბაზებში გვერდით მედგა მუდამ მოღიმარი, გახარებული და იქვე ბოღმიან-მოღრუბლული სახის ადამიანებს წმინდანურად ანათებდა, ზეადამიანურ სიკეთეს გადასცემდა. ამით ის აკეთილშობილებდა საგამოფენო დარბაზს და მაყურებლებს, თავისი მდიდარი, ზღვა სინათლე – ზეციურობით.

მერაბ კოსტავას მუდამ სულიერად უერთდებოდა. ისინი ერთმანეთისაგან თითქოსდა განსხვავებულნი იყვნენ, მაგრამ მთლიან ღვთიურ ხასიათ-განწყობილებას ფლობდნენ.

ჩემს საყვარელ და სულისმიერ პროზას, რომლითაც მე უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, თუ ვინმემ გაუგო და გამიგო ოდესმე, მათში ერთ-ერთი უახლოესი თბილი და მართალ-ერთგული ბატონი თემური გახლდათ. საოცრებაა, ქვეყნიერების მიუვალი კანონები, მის მსგავს პიროვნებებს, ხელოვანთ თუ ნებისმიერი დარგისას, განსაკუთრებით ზეციურისკენ მიდრეკილთ, ნაადრევად გაიწვევს ხოლმე უსასრულო სივრცის უხილავობა და კოსმიურად გაითავისებს.

რამდენიმეჯერ ქართულ სუფრასთანაც მოვხვედრილვართ. ეს ხომ საოცრება იყო, ჩვენ თითქმის ყველანი ემოციათა აღმავალ-დაღმავალ გრძნობებს დავყვებოდით, ბ-ნი თემური – არასოდეს! ის მაცხოვარივით მუდამ გაწონასწორებული იყო და ამითი ნათელი, მისეული გავლენა შემოდიოდა ჩვენში. სამწუხაროა, მან სანუკვარი საქართველო და საყვარელი ხალხი ძალიან ადრე დატოვა, ასევე დიდი ლიტერატურული შემოქმედება. მან დაწერა დიდებული წიგნი მოგონებებისა („კაცი არ ყველა სწორია“), რომლის შესანიშნავ პრეზენტაციას სიხარულით დავესწარი და სიტყვითაც გამომიყვანა საზოგადოების წინაშე, სადაც, შეძლებისდაგვარად, ჩემეული სითბო და სრულიად მართალი აზროვნებითი დამოკიდებულება გამოვხატე.

დროა, საქართველოში ეროვნული უნიკალური ღირსებები, რომელსაც რამდენიმე ქართველი ატარებდა, უფრო მეტად დაფასდეს და წელიწადის რომელიმე დანიშნულ დღეს, ეკლესიურ პარაკლისს უხდიდნენ. რა თქმა უნდა, მათ საკადრისი დაფასება აქვთ ამქვეყნად, მაგრამ ბევრად მეტია საჭირო, რათა მომავალმა თაობებმა აუცილებელ-მთავარი, ეროვნულობა არ დაკარგონ. არადა, გარეშე მტრები ცხრათვალა მგლებივით უთვალთვალებენ ისედაც თავისი უხეირო შვილებისაგან დაბეჩავებულ მამულს. იშვიათობაა, ამგვარი მდიდარი ქვეყანა ჰქონდეს ერს – უნოყიერესი მამულები, ბუნება, – მაგრამ ჩვენდა სავალალოდ, მუდამ გაუბედურებულია სამშობლო და ადგილობრივი მკვიდრნი. ისინი გარბიან სოფლებიდან ქალაქში, ქალაქიდან უცხოეთში, რითაც ქვეყანას ფაქტობრივად, აბარებენ სატანა დამპყრობლებს. ასევე, მრავალი თანამემამულე არაკაცობით ემხრობა ოკუპანტებს, მათ შორისაა ბევრი ხელოვანი, ისინი მზად არიან, ქვეყანა მტერს სრულად ჩააბარონ, რათა თანამდებობებზე მოკალათდნენ.

ცოტა იყო მაგალითი, ბატონო თემურ, თქვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პერიოდში ლენინელების გარემოცვაში რომ იყვნენ. იმ ლენინისა, რომელმაც უმოწყალოდ დაანგრია და დალეწა ახლად დაბადებული დემოკრატიული საქართველო. დღეს? მალულად თუ ღიად, მრავალნი ოკუპანტთან თანამშრომლობენ.

დიახ, მეგობრებო, იმის თქმა მინდა, რომ მაღალი ღვთიური ზნეობის პატრიოტი გმირი ადამიანები უნდა იყვნენ სახე-გაკვეთილი ერისა, რადგან იშვიათად იბადებიან მსგავსი ადამიანები და საქართველოს არ ამოვგლიჯოთ უპატიოსნესი გულ-ღვიძლი, რადგან სამომავლოდ, ჩვენი ქვეყანა გველ-სატანა დამპყრობლის არენა გახდება.

იძულებული ვარ, ზოგჯერ სიმართლეზე ვილაპარაკო, თუმცა, დასჯა მათგან არ ამცდენია და არც ამცდება.

**რეზო ადამია**

# ერთი დღე ნახარებაოში

2015 წლის ზაფხულის ერთ მზიან დღეს სოფელ ნახარებაოში (მარტვილი) გვესტუმრა ცნობილ ლიტერატორთა ჯგუფი: თემურ ქორიძე, ბესიკ გვაზავა და ვახტანგ ბახტაძე.

ეს იყო გაგრძელება იმ ურთიერთობისა, რომელიც დაიწყო თბილისში – ტელევიზიის ერთ-ერთ არხზე აკაკი გაწერელიას გახსენებასთან დაკავშირებით.

თემურ ქორიძე დღეს ცოცხალი აღარ არის და ეს მეტად გულდასაწყვეტია, რადგან ბევრი რამ მოხდა მას შემდეგ მსოფლიოში და კერძოდ, საქართველოში, რომელთა მძაფრ ანალიტიკურ სურათს თემური უსათუოდ შექმნიდა. მის გამოსვლას ტელევიზიით დიდი ინტერესით ელოდებოდა მაყურებელი. განსაცვიფრებელი იყო მისი ინტუიცია და ირაციონალური რხევები. თემურმა იგრძნო აკაკი გაწერელიას პიროვნება და ბოლომდე დარჩა მისი ერთგული.

ჩვენ ვისხედით კაკლის ხის ჩრდილში და ვიგონებდით ბ-ნ კონსტანტინე გამსახურდიას და მის სახელოვან ვაჟიშვილს – ზვიადს, საქართველოს პრეზიდენტს, მის ამაღლებას და წამებას! ვიგონებდით ფილოსოფოს სერგი დანელიას, ვიგონებდით დიდ ელინისტ გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელს – ჩვენი აკაკი გაწერელიას მასწავლებელს, მის მოწამებრივ აღსასრულს და ა.შ.

თანაც, ჩვეულებისამებრ, ვაკრიტიკებდით მაშინდელ საზოგადოებრივ ვითარებას, მაგრამ ის პერიოდი დღეს მაინც ძვირფასი მოსაგონარია, თუნდაც იმიტომ, რომ მაშინ ცოცხალი იყო თემურ ქორიძე და თავისი სატელევიზიო გამოსვლებითა და პუბლიცისტიკით ძაბავდა მაყურებელთა და მკითხველთა ცნობიერებას.

**რეზო კვესელავა**

# ისტორიის გაკვეთილებიდან

თემურ ქორიძის, როგორც ლიტერატორის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრის, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერის სახელი ბავშვობიდანვე მსმენოდა, თუმცა ჩვენი პირადად გაცნობა 2015 წლის მაისში შედგა, როცა ბატონი თემური ჩვენმა საერთო მეგობარმა ბესო გვაზავამ გამაცნო. ჩემს ხსოვნაში დღესაც წარუშლელად ცოცხლობს ის საუბარი, თავაზიანი მასპინძლის კეთილგანწყობა და მისი მრავალმხრივ საგულისხმო დაკვირვებანი ლიტერატურაზე, ისტორიულ და პოლიტიკურ პროცესებზე. შემიძლია გადაუჭარბებლად ვთქვა, რომ ბატონი თემური იშვიათი ორატორი იყო და საუბრის დახვეწილი ხელოვნება თავისებურ, ძალზე მნიშვნელოვან ხიბლს სძენდა მის პიროვნებას. მოგვიანებით, მისივე წიგნი „კაცი არ ყველა სწორია“ მაჩუქა, რომლის გულისყურით წაკითხვამ კიდევ ერთხელ გამააზრებინა, რომ თემურ ქორიძის სახით ჩვენ გვყავდა ღრმად განათლებული ლიტერატორი, ესთეტი, მახვილი თვალის მქონე კრიტიკოსი. ამ წიგნში ავტორი ცალკეულ ესეებთან და ლიტერატურულ ჩანაწერებთან ერთად გვთავაზობს ერთგვარ მემუარებს, მოგონებებს, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენი უახლესი ისტორიის დრამატულ ფურცლებთან და, ამდენად, მკვლევართათვისაც საყურადღებო წყაროს წარმოადგენს.

თემურ ქორიძეს ბედმა არგუნა, საქართველოს უახლესი ისტორიის იმ ამაღლებულ და სასტიკ წლებში ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერებთან ერთად ებრძოლა ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისათვის და ეს ბრძოლა დამოუკიდებლობის აქტზე ხელმოწერით დაეგვირგვინებინა. მისთვის ხელისუფლებაში ყოფნა არ ყოფილა თვითმიზანი და არც მატერიალური კეთილდღეობის მოპოვების საშუალება. ჩვენს თანამედროვე ყოფაში ეს განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია.



ფოტოზე: ილია კუხალაშვილი, ბესიკ გვაზავა, თემურ ქორიძე, ნომადი ბართაია, ფაუსტ ნადარაია, ჯამბულ ხუროძე, ნოდარ ქორიძე, ვახტანგ ბახტაძე.

2016 წელს გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ გამოცემული თემურ ქორიძის „კაცი არ ყველა სწორია“ აერთიანებს წერილებს, ჩანაწერებსა და პუბლიცისტიკას. პირველივე ჩანაწერს ჰქვია „ისტორიის გაკვეთილები“, თუმცა ეს სათაური არა მხოლოდ ერთი წერილის, არამედ საქართველოს უახლეს ისტორიასთან დაკავშირებულ ჩანაწერთა წყების საერთო სახელადაც მესახება. თემურ ქორიძე იგონებს ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას, მათ წარუშლელ ღვაწლს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, უტყუარი ფაქტებით აანალიზებს ეროვნული ხელისუფლების დამხობის წინაპირობებს და მის ტრაგიკულ შედეგებს.

განსაკუთრებით კარგად მახსოვს ბატონი თემურის შესანიშნავი გამოსვლები ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მიერ ჩატარებულ ლიტერატურულ ღონისძიებებზე. მისი ორატორული ხელოვნებით მოხიბლული დარბაზი სულგანაბული უგდებდა ყურს.

ერთ დღეს ბატონ თემურს, გიორგი არქანიასთან ერთად, სტუმრად ვეწვიე. ჩვენი საუბარი, რამდენიმე ჭიქა ღვინის თანხლებით, ძირითადად ისტორიას, მიმდინარე პროცესებს და ჩვენი, ახალგაზრდების, სამომავლო გეგმებს შეეხო. ბატონ თემურს იქვე შევუთანხმდით, რომ იგი უნივერსიტეტში წაიკითხავდა საჯარო ლექციას 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების მნიშვნელობასთან და იმ პერიოდის მოვლენებთან დაკავშირებით. შევატყვე, რომ ამ სტუმრობამ განსაკუთრებით გაახარა. იმ დღეებში ვანო პავლიაშვილთან ჩაწერილ უკანასკნელ ინტერვიუშიც აღნიშნა ჩვენი სტუმრობის ამბავი.

ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა კი როსტომ ჩხეიძის თაოსნობით გამართულ ერთ-ერთ ლიტერატურულ ღონისძიებაზე შედგა. ბატონმა თემურმა ჩვეული თავაზიანობით მითხრა, რომ რამდენიმე დღეში დიდი სიამოვნებით წაიკითხავდა უნივერსიტეტში საჯარო ლექციას. სამწუხაროდ, ლექცია მისი მოულოდნელი გარდაცვალების გამო ვერ შედგა. ახლაც კარგად მახსოვს იმ დღის ელდა და მისი წასვლით მოგვრილი მწუხარება. დაგვტოვა საკუთარი სამშობლოს თავისუფლებისათვის ღირსეულად მებრძოლმა კაცმა, მაგრამ დაგვიტოვა ამ ბრძოლის ნამდვილი იდეალი.

**გიორგი ხულორდავა**

# ისტორიული მოვლენა – ჩვენ თვალწინ!

**„შაჰნამეს“ ქართული კულტურა კარგად იცნობს. მგონი მას შემდეგ, რაც ფირდოუსიმ დაამთავრა ეს პოემა, დიდი ხანი არ უნდა ყოფილიყო გასული, რომ ქართველებმა დაიწყეს მისი წაკითხვა და გადმოღება-გადმოთარგმნა ქართულ ენაზე. შუა საუკუნეებში საჯილდაო ქვა იყო ჩვენი ლიტერატურისთვის. თარგმნიდნენ ლექსად თუ პროზად, ეპიზოდებად თუ ვერსიებად, თავებად თუ ამბებად. ასე გაჩნდა „საამიანი“, „ზააქიანი“, „ურთრუნიან-საამიანი“, „როსტომიანი...“ და მთელი პროცესი, მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია. ლამის ცხრასაუკუნოვანი ისტორიაა. მიუხედავად ამისა, რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, აქამდე არ გვქონდა „შაჰნამეს“ სრული ქართული თარგმანი. ის უკვე გვაქვს.**

**ბელა შალვაშვილმა 2016 წელს დაამთავრა „შაჰნამეს“ სრული თარგმანი. 50 წელიმოუნდა ამ ტიტანური საქმის ბოლომდე მიყვანას.**

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ხელშეწყობით გამომცემლობა „მერიდიანმა“ უკვე ოთხი ტომი გამოსცა უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე. დანარჩენი ხუთიც მალე დაისტამბება.**

**ორმოცდაათი წიგნი,. ორემოცდაათი მეფის ცხოვრება, სულ 104 ათასი სტრიქონი. ეს მართლაც მოვლენაა ჩვენს სალიტერატურო ცხოვრებაში: აბულყასემ ფირდოუსი, „შაჰნამე“, სპარსულიდან თარგმნა ბელა შალვაშვილმა.**



# მარადიული წიგნი

*ფირდოუსის შაჰნამე* (მეფეთა წიგნი) ღვთისადმი ხოტბის შესხმით იწყება. მთხრობელი ამბობს, რომ შეუცნობელია უზენაესი, მაგრამ, რადგან გონება უბოძა შემოქმედმა, ადამიანის მოვალეობაა, ეძიოს თავისი დამბადებელი, მის შეცნობას მოახმაროს რწმენა და ცოდნა, არ დაივიწყოს, ღვთის მიერ შექმნილ სამყაროში რომ ცხოვრობს და ყოველივეს რომ ხედავს არსთა გამრიგე. გონებას ცალკე საქებარ სტროფებს უძღვნის პოეტი და ღვთისგან კაცთათვის ბოძებულ ძღვნად სახელდებს მას წიგნის შესავალში.

ავტორის მიზანი „მეფეთა ცხოვრების“ აღწერა არ არის მხოლოდ, რადგან ღმერთზე საუბრითა და ცათა და ქვეყნის დაბადების ამბით იწყებს პოემას, ნათელი ხდება, რომ ყველა მეფისა და, საერთოდ, კაცთა მოდგმისათვის იმისი შეხსენება სურს, რომ უფლის მიერ შექმნილ სამყაროში ღვთის გზით სვლა მართებს ადამიანს. სახელწოდებიდან გამომდინარე, „მეფეთა წიგნი“ უპირველესად ქვეყანათა გამგებელთ შეახსენებს, გონიერნი და მამაცნი, სამართლიანები რომ უნდა იყონ ისინი; მითიურ და რეალურ მეფეთა ცხოვრების გადმოცემამდე შემოქმედისა და მის მიერ სამყაროს შექმნის შესახებ თხრობა ღვთიური პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა ავსებდეს ადამიანს. ამგვარი დასაწყისი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს *შაჰნამეს*. ცალკეული თავები, რომლებიც გმირთა სიბრძნესა და საგმირო საქმეებს გვაცნობს, ცხადია, ახდენს მკითხველზე შთაბეჭდილებას, მაგრამ ასეთი დასაწყისის გარეშე სრულყოფილად ვერ შეძლებს იგი პოემის აღქმას, სათანადოდ ვერ შეიმეცნებს იმ მთავარ სათქმელს, რომელსაც მსოფლიოს ერთ-ერთი ბუმბერაზი პოეტი ამბობს.

პოემის შესავალ ნაწილში მოკლე ფრაზებით, სულ რამდენიმე სტროფით გვაგრძნობინებს *ფირდოუსი*, ყოველთვის რომ გვხედავს იდუმალი დამბადებლის თვალი. თეოლოგიური და ფილოსოფიური სათქმელი იკითხება მის ტევად ფრაზებში: ჯერ მზეს აღწერს პოეტი, გვეუბნება, რომ *„კონაა იგი მირიადი ჩახჩახა სხივის, / ვით ნოვრუზობას ბაღ-ბუსთანი, იმედად ღვივის, დასხივფინარობს თვალი იგი პატიოსანი, / უზარმაზარი, სხივოსანი, კოხტა ფრთოსანი“* (მთარგმნელი – *ბელა შალვაშვილი)...* ცეცხლოვანი ფერები წარმოდგება ამ სიტყვათა მსმენლის წინაშე, თვალნათლივ ხედავს იგი მზის მშვენიერებას და არ ავიწყდება, ღმერთმა რომ დაუდგინა ამ მნათობს სავალი გზა; მერე მთვარეს აღწერს *ფირდოუსი,* გვეუბნება, რომ *„ლამპარი ერთი ბნელ ღამეში ანათებს ცხადად, / ბრალი მას, ამ დროს ვინც გამოვა სიავის ქმნადა“* და იგი, ვინც მზის ბრწყინვალების ხილვის შემდეგ მთვარის მკრთალი ნათლის მშვენიერებით ტკბება, მთხრობლის იმ სათქმელსაც გაიაზრებს, რომ ეს მნათობიც ცოცხალია, რომ ღვთის სამსახურისთვის არის ისიც გაჩენილი, შესაბამისად, ბნელ ღამეში უკეთურების საქმნელად გამოსულთაც უმზერს და აგრძნობინებს, რომ ყოვლის შემოქმედისგან შექმნილ ღამის მნათობს არ გამოეპარება ამგვართა მიერ ჩადენილი სიავენი და საჭიროა, რომ განუდგეს ბოროტმოქმედი უკეთურებას. მთელი სამყარო ცოცხალ რაობად ესახება მკითხველს, სიცოცხლეს ჭვრეტს ყოველივეში და შემდეგ, როცა კითხულობს იმის შესახებ, რომ ოცდაათი დღე სრულად ნათობს მთვარე, რომ შემდეგ ნელ-ნელა მქრალდება და შემდეგ კი *„ივსება კვალად“*, რომ დღის მნათობთან მიახლებისას *„ისევ აკლდება შუქი“* და, თითქოს, მოკრძალებით უკან იხევს მის წინაშე მყოფი, აღარ სჭირდება ბევრი ახსნა, – ისედაც გრძნობს, რომ სამყაროს გამჩენს ემორჩილება, მის ნებას ასრულებს მზეცა და მთვარეც, სამყაროში მცხოვრები მირიადი სულგმული; და კიდევ ერთხელ ახსენდება, რომ გონიერ ქმნილებას მეტად მართებს თავისი შემქმნელის მორჩილება, რომ ადამიანს, რომელსაც ღვთისგან აქვს ბოძებული გონება და თავისუფალი ნება, მით უფრო უნდა ახსოვდეს, რომ არ შეიძლება, სულიერებას მოსწყდეს, ისე უნდა იაროს ცხოვრების გზაზე, ადამიანს რომ შეშვენის და შეეფერება.

სამყაროს შექმნის ისტორიით იწყება *ფირდოუსის შაჰნამე* და არაბთა მიერ ირანის დაპყრობის პერიოდამდე გრძელდება.

ირანის მეფეთა შესახებ ძალზე ადრე დაიწყეს წერა, – ზოგიერთ მათგანზე *ავესტაშიც* გვხვდება ცნობები, სასანიდების დროს ფალაურ ენაზე შეიქმნა ლეგენდების ციკლი – *„ხვადაი ნამაკ“*, რომლის ნაწილიც შემდეგ არაბულად ითარგმნა; შემდგომში ხსენებული წყაროების საფუძველზე ახალ სპარსულზე პროზაულად დაიწერა ამ გმირთა ამბები; *ფირდოუსის* უშუალო წინამორბედი, – იგი, ვინც პროზაული *შაჰნამეს* გალექსვა დაიწყო, გარდაიცვალა და *ფირდოუსიმ* ითავა ეს საქმე...

რადგან ამჯერად ქართული თარგმანია ჩვენი ძირითადი სასაუბრო თემა, საქართველოზე გადმოვიტანთ სიტყვას.

მკვლევართათვის კარგადაა ცნობილი, თუ როგორი პოპულარული იყო ჩვენში ის ისტორიები, *შაჰნამეში* რომ არის მოთხრობილი. ქართულ მწერლობაში განსაკუთრებით XVI-XVIII სს-ში გაძლიერდა ინტერესი *შაჰნამეს* მიმართ (მიჩნეულია, რომ ეს ინტერესი უფრო ადრეც უნდა იყოს გაჩენილიყო). ამ დროს დაიწერა: *„როსტომიანი“, „ფრიდონიანი“, „უთრუთიან-საამიანი“, „ზააქიანი“, „ბარზუნამე“, „საამნამე“, „ბაამიანი“, „სირინოზიანი“, „ყარამანიანი“;* *შაჰნამეს* ცალკეული ნაწილები თარგმნეს და ამ პოემის მიბაძვით გმირთა თავგადასავლები მოგვითხრეს: *სერაპიონ საბაშვილმა, ხოსრო თურმანიძემ, ფარსადან გორგიჯანიძემ, ბარძიმ ვაჩნაძემ, მამუკა თავაქალაშვილმა, დავით ორბელიანმა* და სხვებმა, რომელთა სახელები ვერ შემოგვინახა ისტორიამ. ვარაუდობენ, რომ ლიტერატურული ვერსიების კვალი მრავალრიცხოვან ქართულ ხალხურ ეპიკურ ძეგლზეც არის ასახული. ჩანს, ხსენებულ პერიოდში ქართველებს განსაკუთრებულად ჰყვარებიათ საგმირო-საფალავნო ამბები და ამგვარი ისტორიების მოსმენის შესანიშნავ საფუძველს სწორედ *ფირდოუსის* პოემა ქმნიდა.

*შაჰნამეს* ქართულ ვერსიებს არც შემდგომში მოჰკლებია ყურადღება. სრულად არის ისინი გამოცემული ქართველ მეცნიერთა მიერ *(კორნელი კეკელიძე, იუსტინე აბულაძე, ალექსანდრე ბარამიძე, აკაკი შანიძე, პავლე ინგოროყვა, დავით კობიძე...);* არაერთმა მკვლევარმა შექმნა სამეცნიერო ნაშრომები ამ წიგნთა შესახებ...

თანამედროვე ქართულ ენაზე *შაჰნამეს* ცალკეული ნაწილები თარგმნეს: *მაგალი თოდუამ, ამბაკო ჭელიძემ, ალექსანდრე ელერდაშვილმა...*

*შაჰნამე* არის მსოფლიოში ყველაზე დიდი პოემა, რომელიც ერთი ავტორის ხელიდანაა გამოსული; მრავალ ენაზეა იგი თარგმნილი; როგორც ცნობილია, სრული ქართული თარგმანი ერთადერთია, რომელიც ერთმა მთარგმნელმა შეასრულა.

*ფირდოუსის* სრულად მთარგმნელი – *ბელა შალვაშვილი* იხსენებს, რომ მისმა მასწავლებელმა, *ვახუშტი კოტეტიშვილმა,* „უბრძანა“ *შაჰნამეს* თარგმნა. ცხადია, ხუმრობანარევი ტონი იგრძნობა სიტყვაში „გიბრძანებო“, მაგრამ მასწავლებლის მოწოდებამ, ეტყობა, თავისი სულიერი მოვალეობაც შეგრძნობინა მთარგმნელს და, ალბათ, ესეც არის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი, რის გამოც განაგრძო ადრე დაწყებული საქმე (მას სტუდენტობის დროს მოუკიდებია პოემის თარგმნისთვის ხელი). ქალბატონი ბელა წლების განმავლობაში აქვეყნებდა *შაჰნამეს* ცალკეულ მონაკვეთთა ქართულ თარგმანებს; 2011 წელს გამოსცა პოემის დიდი ნაწილი (რედაქტორი – *ლილი ჟორჟოლიანი*), რომელსაც ირანის პრეზიდენტისგან *„წლის წიგნის“* პრიზი მიენიჭა.

*ფირდოუსი* იმგვარ პოეტად არის ცნობილი, რომელიც მარტივი, სადა ენით გადმოგვცემს სათქმელს, ღრმა აზრი ნათელი და ადვილად აღსაქმელი ფრაზებით მოაქვს მკითხველამდე; სწორედ ამგვარად არის საჭირო ქართულად მისი ამეტყველება; კითხულობ თარგმანს და ხედავ, რა ბუნებრივად ჟღერს *ბელა შალვაშვილის* ქართული, ზოგჯერ ვერც კი გრძნობ, თარგმანი რომ არის შენ წინაშე და გგონია, ქართულ ენაზე დაუწერიაო დიდ პოეტს თავისი სტრიქონები. ძნელია სანიმუშოდ რომელიმე მონაკვეთის ამორჩევა, მაგრამ, ვფიქრობთ, რამდენიმე სტრიქონის მოყვანაც საკმარისი იქნება ნათქვამის სიმართლეში დასარწმუნებლად; როცა სამყაროს შექმნის შესახებ ასრულებს თხრობას და ადამიანის დაბადებაზე წერს *ფირდოუსი,* ქართულად ასე ამეტყველებს პოეტს მისი მთარგმნელი:

*დამბადებელმა ამის მერმე კაცი დაბადა,*
*მაღალი ზეცა ქუდად მისცა, მიწა – ნაბადად.*

*უბოძა კვლავაც ტანი – ალვა, გონი და აზრი,*
*ბრძნადმეტყველება, დიდი განსჯის დაღი რომ აზის.*

*სულიერთ შორის მას ერთს მისცა გაუხუნარი –*
*განძი დიდი და აუწყავი – ფიქრის უნარი.*

*ასე ფაქიზად გაგარჩია მხეცისგან კაცი,*
*ჰოდა, გონების თვალს ნურასდროს დაივსებ ნაცრით.*

*ქვეყნისა ორის შუა დგახარ, არა ხარ მარტო,*
*შენ უნდა მაღლის შეგონებით ქვეყანა მართო!*

ლექსად ამეტყველებული *შაჰნამეს* შექმნის ისტორიაზე თავადვე მოგვითხრობს *ფირდოუსი: „წიგნი რამ იყო ერთი ძველი“,* – ამბობს იგი (ფალაურ *შაჰნამეს* გულისხმობს), *„მას ნაწილ-ნაწილ ითვისებდა ყოველი ბრძენი“,* „დერჰანის ძირის ფალავანს“ (თუსის მმართველს, აბუ მანსურს), ვისაც, თურმე, *„უყვარდა შეჭრა საუკუნეთ სიღრმეთა წიაღ“* და *„ვინც იწვევდა ბრძენკაცთ“,* მათი ნაამბობის საფუძველზე აღუდგენია ის ძველი წიგნი, რომელიც წერილობითაც არსებობდა და რომლის ნაწილი, ჩანს, ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას; ასე დაწერილა პროზაული *შაჰნამე,* რომლის გალექსვა ამ ქვეყნიდან ნაადრევად წასვლის გამო ვერ მოუსწრია პოეტს, *დაყიყის; ფირდოუსის* ძალიან სდომებია „ლექსად გარდათქმულიყო“ *შაჰნამე: „ოდეს ამ ჭაბუკს დაეუფლა მარადი ძილი, / მაშინვე შაჰის სასახლისკენ ვიბრუნე პირი. / აღვუთქვი წიგნის დასრულება, ვუთხარი ასე:გ / ჩავაქსოვ მეთქი ნათელ სათქმელს და მაღალ აზრებს“. აბუ მანსურს* მოსწონებია ეს განაზრახი. შემდეგ მეგობარს, *„კაცს ახლობელს და ერთობ კეთილს“,* მოთხრობად დაწერილი *შაჰნამე* მიუცია *ფირდოუსისთვის* და თან ამ სიტყვებით გაუმხნევებია იგი*: „ჭკუაც და ენაც კარგად გიჭრის, სიყრმეცა გშველის, / სამამაცოსი ამბის თხრობა საქმეა შენი“...* პოეტი ბრძანებს: *„თქვა ეს თუ არა, მომაახლა იმ წიგნსა მზიანს, / სიბნელე მყისვე გაცისკროვნდა სხეულის წიაღ“* და ამგვარად შესდგომია *ფირდოუსი* წინაპართა მიერ დიდი ხნის წინათ დაწყებული საქმის გასრულებას (ჩანს, თაობათა ოცნება იყო, მთლიანობაში სრულყოფილად წარმოჩენილიყო ირანის მრავალსაუკუნოვანი ისტორია); წიგნის დასრულება აღუთქვა პოეტმა *აბუ მანსურს („აღვუთქვი წიგნის დასრულება“)* და ლექსად გადმოგვცა ეს ისტორია. სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით ოცდათხუთმეტი წელი წერდა, თურმე, *ფირდოუსი* თავის *შაჰნამეს...*

*ფირდოუსის* სიტყვების კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ *შაჰნამეს* ქართულად თარგმნისას, გარკვეულწილად, განმეორდა ამ პოემის შექმნის ისტორია, – მასწავლებელმა მოწაფეს მოუწოდა, განეგრძო წიგნის ქართულად თარგმნა, მოწაფემ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა იგრძნო მასწავლებლის მიმართ, შესაძლოა, ბოლომდე არც კი ჰქონდა გაცნობიერებული, მაგრამ შინაგანად აღუთქვა, პირობა მისცა, რომ დაასრულებდა ამ საქმეს; ოცდაცამეტ წელზე მეტი მოანდომა *ბელა შალვაშვილმა შაჰნამეს* თარგმნას და შეასრულა აღთქმა, – შეუსრულა *ვახუშტი კოტეტიშვილს* პირობა და ახლა ჩვენ წინაშეა მთარგმნელის კოლოსალური შრომის შედეგი, – ცხრა ტომში მოქცეული დიდი ეპოსი.

ზემოთ ითქვა, რომ შესავალი ნაწილის გარეშე მკითხველამდე სრულყოფილად ვერ აღწევს *ფირდოუსის* სათქმელი, წარმოჩნდა ისიც, რომ არაერთ ქართველ მთარგმნელს ძალისხმევა არ დაუშურებია, თანამემამულეთათვის გაეცნო *შაჰნამეს* ცალკეული ნაწილები, მაგრამ, რადგანაც ცალკეულ ამბავთა გადმოცემა სრულ წარმოდგენას ვერ ქმნის პოემის შესახებ, მთლიანი წიგნის თარგმნა იყო აუცილებელი; დღეს ქართველ მკითხველს უკვე აქვს საშუალება, მშობლიურ ენაზე გაიგონოს მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი პოეტის მიერ საუკუნეთა წინათ ნათქვამი სიტყვა და სიამოვნება მიიღოს იმ მშვენიერი ენით, რომლითაც არის შესრულებული ამ დიდებული პოემის ქართული თარგმანი.

და, ვფიქრობთ, არავის გაუჩნდება კითხვა, თუ რატომ გადაწყვიტა კულტურის სამინისტრომ *ფირდოუსის* უკვდავი პოემის ქართულ ენაზე გამოცემა (რედაქტორი *მანანა კვაჭაძე,* გამომცემლობა *„მერიდიანი“;* 2022). ეს ფაქტი უდავოდ ლიტერატურულ და, ზოგადად, კულტურულ მოვლენათა რანგში უნდა განვიხილოთ.

**გოჩა კუჭუხიძე**



**დომინიკ ვიარი (DOMINIQUE VIART) –** ფრანგი კრიტიკოსი, ესეისტი, ლიტერატურისმცოდნე, თანამედროვე ფრანგული ლიტერატურის მკვლევარი.

დაიბადა 1958 წლის 30 მაისს პარიზში.

არის ლილის უნივერსიტეტისა და პარიზი-ნანტერის პროფესორი. ყოველწლიურად კითხულობს ლექციებს რომში, ლა სპიენცას უნივერსიტეტში.

მისი მთავარი შრომებია: „თანამედროვე ლიტერატურის პრობლემები და პერსპექტივები“, 1993; „მღელვარე მეხსიერება (კლოდ სიმონი)“, 1997; „XXI საუკუნის ფრანგული რომანი“, 1999; „ბიოგრაფიული რომანის პარადოქსები“, 2001.

დომინიკ ვიარი აპროტესტებს იდეას „ ლიტერატურის დასასრულის“ შესახებ, „მწერლის დასასრულისა“ და „ფრანგული კულტურის დაისის“ შესახებ. ამავე დროს, ამტკიცებს იმასაც, რომ მწერლისა და ლიტერატურის სტატუსი აღარ არის ისეთი, როგორიც იყო წარსულში.

# დაეჭვების ლიტერატურა: თანამედროვე რომანის პრობლემები

## დომინიკ ვიარი

ყოველწლიურად, სექტემბრისთვის, ახალი ლიტერატურული სეზონის დაწყებისას, საფრანგეთში ოთხასამდე რომანი გამოდის, გარდა იმ რომანებისა, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში იბეჭდება. აქედან გამომდინარე, რომანი, როგორც ჟანრი, რომლის არსებობას თითქოს ეჭვქვეშ აყენებს ინტერნეტისა და აუდიოვიდეო ტექნიკის არსებობა, სინამდვილეში საკმაოდ სიცოცხლისუნარიანია. ყოველ შემთხვევაში, სიცოცხლისუნარიანი ჩანს რაოდენობრივი თვალსაზრისით, თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ის ნაწილია საგამომცემლო სისტემისა, რომელსაც ურჩევნია, წიგნის ბაზარი მუდმივად ივსებოდეს ახალ-ახალი პროდუქციით. მთავარია, რამდენად ხარისხიანი და საინტერესოა ეს წიგნები. ბოლო ხანებში რამდენიმე კრიტიკოსმა (ჟან-მარი დომენაკმა, ანრი რეკზიმოვმა...) გამოიტირა ფრანგული ლიტერატურა, რომელსაც სათქმელი აღარ დარჩა და ამიტომაც დაკარგა ძალა და დიდება. რაღა თქმა უნდა, შეიძლება ლაპარაკი უბადრუკ ტექსტებზე, რომლებსაც „ რომანებს“ უწოდებენ. უმრავლესობა ამ წიგნებისა თავიდანვე განწირულია, რაც „ ბაზრის მკაცრი კანონების“ მცოდნე ავტორებსაც კარგად მოეხსენებათ. თუმცა საერთო ნაკადში გამონაკლისებიც გამოერევა ხოლმე. ამიტომ უფლება გვაქვს დავეჭვდეთ იმათ კომპეტენტურობაში, ვინც თანამედროვე ლიტერატურას ცოცხლად მარხავს (სხვათა შორის, ზოგჯერ ეს ხალხი თავიდანვე აღიარებს თავის არაკომპეტენტურობას). გვინდა-არ გვინდა, ლიტერატურა ვითარდება: მას უკვე სხვა მიზნები აქვს, არა ისეთი, როგორიც გუშინ. იცვლება სტილისტიკური ხერხები, ევოლუციას განიცდის ენა, მწერლები თავიანთი იდეების გადმოსაცემად ახალ საშუალებებს იყენებენ. არ შეიძლება ძველი საზომებით მიუდგე თანამედროვე ლიტერატურას, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი კრიტიკოსი სწორედ ასე იქცევა.

აშკარაა, რომ 80-იანი წლების დასაწყისი აღინიშნა გარკვეული ესთეტიკური მოდერნიზაციით („ აჯორნამენტო“), რომლის დროსაც გადაისინჯა „ ლიტერატურული აქტის“ კონცეფცია, რომელიც თავისთავად ძველი კონცეფციის რადიკალურ კრიტიკას ეფუძნებოდა. თანამედროვე რომანის ფენომენის ახსნა ამ კულტურული გადატრიალების შესწავლით უნდა დავიწყოთ. ამავე დროს, აუცილებელია გავითვალისწინოთ ერთი პრობლემაც: გამოქვეყნებული რომანების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ შეუძლებელია მათი კრიტიკული ანალიზი ამომწურავი იყოს. ერთი კაცი ყველაფერს ვერ წაიკითხავს. ამიტომ იძულებული ვართ მივმართოთ კვლევის შერჩევით მეთოდს, რომელიც გვავალდებულებს, რომ წინასწარ დავსვათ შეკითხვა: რა ამოცანებს ისახავდა ამა თუ იმ ნაწარმოების ავტორი და შესრულდა თუ არა ეს ამოცანები? არ არსებობს ტექსტი, გარკვეულ შემოქმედებით მიზანს რომ არ ემსახურებოდეს. ავტორის მიზანი, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება მწერლური პრაქტიკის საერთო იდეას, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს წიგნის წარმატებას საზოგადოებრივი, ფილოსოფიური და კულტურული მოვლენების ქაოტურ ანსამბლში. ის ერთდროულად ავტორის ამბიციებსაც წარმოაჩენს და მისი შემოქმედების შეფასების კრიტერიუმის როლსაც ასრულებს.

### თანამედროვეობის სპეციფიკური ნიშნები

თანამედროვეობა მდიდარია საკუთარი თავისადმი მომთხოვნი და მეტ-ნაკლებად წარმატებული ავტორებით. მათი ნაწარმოებები ასე თუ ისე – ბევრი კრიტიკოსის პესიმიზმის მიუხედავად – საინტერესოა, ვიდრე ფრანგული ლიტერატურის ისტორიის სხვა პერიოდების ავტორთა ნაწარმოებები: ისინი, უბრალოდ, *სხვები* არიან. სწორედ თვითმყოფადობაა ის, რითაც მათ ვიცნობთ. ჩემს ერთ-ერთ სტატიაში ნაჩვენები მაქვს, თუ რა გასაოცრად შეცვალა ლიტერატურული პანორამა 80-იანმა წლებმა. ამიტომ თანამედროვე რომანის კვლევის დროს მე ვირჩევ იმ ბოლო ორ ათწლეულს, როდესაც უარი ეთქვა ლიტერატურის „ თეორეტიზებულ“ აღქმას. 50-იან და 60-იან წლებში, როდესაც სტრუქტურალისტური საზრისი ბატონობდა, წარმოიშვა ფენომენი, რომელსაც, უკეთესი ტერმინის უქონლობის გამო, ჯერ „ ახალი რომანი“, ხოლო შემდეგ „ ახალი ახალი რომანი“ ვუწოდეთ, დავარქვით უნაყოფო ლიტერატურა, რომელიც განძარცვულია მხატვრულობის, სუბიექტურობისა და რეალიზმის ილუზიებისგან. სიტყვასა და მის რეფერენტს შორის არსებული ეპისტემოლოგიური კავშირის გაწყვეტამ ავანგარდისტები აიძულა მხოლოდ და მხოლოდ ნაწარმოების *ფორმაზე* ეზრუნათ.

მაგრამ თუკი დღეს რეტროსპექტულად წავიკითხავთ ავანგარდისტებს – კლოდ სიმონს, მარგერიტ იურსენარს, რობერ პენჟეს – დავინახავთ, რომ მათ მიერ დამკვიდრებული სამუშაო პრინციპი ილუზიას ეფუძნებოდა. ეგრეთ წოდებული „ ლიტერატურის თეორია“ მნიშვნელოვნად შლიდა, აქვეითებდა მათი იმ ტექსტების ხარისხს, რომლებშიც იყო მცდელობები სხვაგვარად დაენახათ ადამიანი და სამყარო – არა იმისათვის, რომ უარი ეთქვათ წარსულზე, არამედ იმისათვის, რომ დაესახათ ახალი გზები. თავიდან, რაც უნდა ეთქვათ საროტზე, სიმონზე, პენჟეზე, დიურასზე, ბიუტორზე, კლოდ მორიაკსა თუ სხვებზე, ყველა მათგანი ცდილობდა თავის ნაწარმოებში აესახა სულიერ მოძრაობათა სხვადასხვა გამოვლინება, გაეთავისუფლებინა რომანი წესებისა და პირობითობებისაგან, რომლებიც ხელს უშლიდათ სინამდვილის წარმოდგენასა და გამოხატვაში. თუმცა ძალიან მალე მოხდა ისე, რომ „ახალი რომანის“ დამფუძნებლები სოლიფსიზმისა და ფორმალიზმის მიმდევრებად გამოაცხადეს (რობ-გრიიე, რიკარდუ...), დააბრალეს ის, რაც საერთოდ არ ახასიათებდათ. სინამდვილეში ისინი განაგრძობდნენ წინამორბედების – ჯეიმსის, პრუსტის, ფოლკნერის, კაფკას, ვირჯინია ვულფის, ჟუვის – საქმეს და სურდათ ლიტერატურაში შემოეღოთ მრავალწახნაგოვანი ფენომენოლოგიური და ჰერმენევტიკული მიდგომები.

### დაეჭვების ლიტერატურა

ზემოთ დასახელებულ ავტორთა წერის პრინციპების გააზრების შემდეგ 80-იანი წლების ლიტერატურამ წამოჭრა ისეთი საკითხები, რომლებიც უკვე კარგა ხნის მივიწყებული იყო, მაგრამ მიზეზთა გამო იჩქმალებოდა. არა იმისათვის, რომ დაბრუნებოდნენ რეალიზმს, სინამდვილის მიბაძვის ესთეტიკასა თუ სუბიექტურობას – თითქოს ამ მეთოდების კრიტიკული განხილვა არც არსებულიყო – არამედ იმისათვის, რომ დასმულიყო კითხვა: როგორ ვილაპარაკოთ რეალიზმზე ისე, რომ არ დავამახინჯოთ ის არც ესთეტიკურად და არც იდეოლოგიურად? ისე როგორ მოვაცილოთ სიუჟეტს ფსიქოლოგიური ლიტერატურის კარიკატურული შტრიხები, რომ რაღაც სტრუქტურა მაინც არ დავუტოვოთ? როგორ აღვწეროთ კოლექტიური ისტორია ან ცალკეული ადამიანის ცხოვრება ისე, რომ არ გამოვიყენოთ თხრობითი ხაზის ხერხები? ერთი სიტყვით, როგორ აღვადგინოთ „ გარდამავალი“ ლიტერატურა ისე, რომ დაეჭვებანიც გავითვალისწინოთ? ჩვენ ხომ თან გვსდევს ეჭვები: ეჭვებით იყვნენ შეპყრობილი ძველი თაობის მწერლები და ეს ეჭვები მემკვიდრეობით ერგო ახალთაობელებსაც. როგორ ვწეროთ ეჭვებით? ეს არის სისხლხორცეული საკითხი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება თანამედროვე ლიტერატურული ნაწარმოების არსებობას; პირდაპირ თუ არაპირდაპირ ის ყოველთვის დგას ლიტერატურის წინაშე.

თანამედროვე რომანი ძალიან ბევრს ზრუნავს თავის ფორმასა და დანიშნულებაზე, იმაზე, თუ რამდენად მოერგება ეპოქის კონტექსტსა და მიმდინარე მოვლენებს. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უახლესი თეორიების გავლენით ის გადაიქცევა სივრცედ, სადაც არც ერთ თეორიასა და ვარაუდს ბოლომდე არ ენდობიან. ავტორისა თუ მთხრობლის ხმა აღნიშნული ფიქრების ობიექტიც არის და სუბიექტიც. მის ეჭვებს, მის შეკითხვებს საკუთარი ბუნებისა და შემოქმედებითი უნარების შესახებ წინა პლანზე გამოაქვს გაურკვეველი აწმყოს „ კოგნიტური ძიება“. შეგრძნებებისა და აზრების გადმოცემის ფორმათა ძიებაში ის ხშირად უგდებს ყურს თავისი „ ნარატორული სინდისის“ ხმას, რომელიც თხრობაში შემჩნეული დამახინჯებების შესახებ ატყობინებს და უმალ ცვლის მეტყველების მანერას. მით უმეტეს, შეგრძნებებსა და აზრებში მდგრადობა არ არსებობს, აქ მუდმივი რყევების წყაროა არაცნობიერის ფენომენები და კულტურული ასოციაციები. საბოლოო ჯამში, ავტორი თუ მთხრობელი ადვილად იძირება „ ეგზისტენციალურ მღელვარებაში“: მას ეუფლება მიუსაფრობისა და უსუსურობის განცდა, აღარ იცის, ველარ ხვდება, ველარ გაუგია, ვინ არის, რას წარმოადგენს და რანაირად შეიმეცნოს საკუთარი თავი.

### „სხვა“ და მისი მნიშვნელობა

*ოჯახური ისტორიები*

თანამედროვე რომანების უმრავლესობა თავის თავში გამონასკვავს საკმაოდ თვალსაჩინო აზრს: არ შეიძლება სუბიექტი ბოლომდე დამოუკიდებელი იყოს, ის რაღაც განსაზღვრებას უნდა ემორჩილებოდეს. ჰუმანიტარულმა მეცნიერებებმა თანაბრად გაინაწილეს ეს პრობლემატიკა , რომელსაც რომანიც იკვლევს თავისი ლიტერატურული მემკვიდრეობის ფარგლებში. თხრობა ოჯახის შესახებ – ეს მარტო ისტორია კი არა, გადმოცემაც არის, ლეგენდაა, რომელიც შედგება ფრაგმენტებისა და მინიშნებებისგან, ბუნდოვანი და გაფანტული მოგონებებისგან, რომელთა მეშვეობით იწყებენ წარსულის კვლევას, გარდასული დროიდან გამოიხმობენ და აცოცხლებენ, ახლიდან იგონებენ ძველ, დავიწყებულ ამბებსა და ცხოვრებებს (სიმონი, სიკსუსი, ბერგუნიუ, მიშონი, რუო, ჟანე...). ბოლო წლებში ასეთი წიგნები – რომანისა და ავტობიოგრაფიის ნაჯვარი – ძალიან ბევრი გამოდის, ასობით, უფრო მეტიც, ოღონდ სხვადასხვა დონისა, რაღა თქმა უნდა (კლემანი, ადელი, ვაინშტაინი, ბასეზი, მინიარი...). თხრობითი ხაზების, კომენტარების, კრიტიკული რეფლექსიების (ისტორიული, ანალიტიკური, სოციოლოგიური და სხვა ხასიათის), ლირიკული გადახვევებისა და მოგონებების ურთიერთკავშირში გამოიკვეთება ბიოგრაფიული მასალა, თავისუფალი ყოველგვარი ჟანრული ფორმისაგან, რომელიც გულისხმობს საგანგებო, უაღრესად მკაცრ საზღვრებს. სიმართლე რომ ითქვას, ასეთ წიგნებს ცოტა რამ თუ აკავშირებს ლიტერატურასთან: მათთვის მხატვრული გამონაგონი მხოლოდ მეთოდური ხრიკია. ასეთ წიგნებში ათასნაირ ლიტერატურულ ხერხს იყენებენ, ოღონდ იყენებენ ბრმად, გაუაზრებლად, ისე, რომ ზოგჯერ ეს ხერხები ერთმანეთს ეწინააღმდეგება (ივ ნავარის „ ბიოგრაფია, რომანი“, პიერ პაშეს „ მამაჩემის ავტობიოგრაფია“...).

მე მგონი, არც ღირს იმაზე ლაპარაკი, რომ თითქმის ყველა საოჯახო ისტორია სხვა არაფერია, თუ არა სევდიანი ამბების თხრობა. ავტორები მოთქვამენ ადამიანებზე, რომლებიც ბოლომდე ვერ კვდებიან და რჩევა-დარიგებებს ჰკარნახობენ თავიანთ შთამომავლობას (სიმონი, ბერგუნიუ, გიბერი, ჟულიე, ვიგურუ). ადრე თითო-ოროლა ავტორი თუ იწუხებდა თავს წარსულის გათხრებით: ლიტერატურა მთელი ძალებით ცდილობდა, წარსული ზედაპირზე ამოეზიდა, ავტორებს კი საოჯახო მოგონებების სიმძიმე მხრებზე მკვდარ ტვირთად აწვებოდათ. ესენი არიან სიმონი, რომელიც დოკუმენტებისა და დაუჯერებელი ამბების თხრობით აღადგენდა მესამე რესპუბლიკის ფასეულობათა დამცველი მამის ცხოვრებას; ბერგუნიუ, რომელიც დაუსრულებლად აანალიზებდა პირველი მსოფლიო ომისგან გაუბედურებული მამის ფსიქიკურ გადახრებს. ამავე ბერგუნიუს პროვინციული წარმომავლობის სოციო-კულტურული გართულებები ამტკიცებს ფრანსუა ვიგურუს აზრს იმის შესახებ, რომ სიცოცხლე არის შვილების ვალდებულება ცხოვრებისგან იმედგაცრუებული მამების წინაშე.

სევდამ შეიძლება დაარღვიოს თაობათა ცვლის ლოგიკა და რადიკალურად საწინააღმდეგო სიტუაციაში იჩინოს თავი: შვილების სიკვდილი იწვევს სურვილს, რომ აღიწეროს მათი ამბავი (ფორესტი, შამბაზი, ადლერი)... ამ შემთხვევაში ისეთი გამოცდილების მოწმე ვხდებით, რომელიც სულიერი შფოთვისა და არასაიმედოობის განცდით ხასიათდება... თუმცა ავტორები, რომლებსაც ვახსენებთ, სათქმელს მკაფიოდ და გასაგებად გადმოსცემენ, თავს არიდებენ როგორც ყალბ პათოსს, ისე პოზიტივიზმს. ლიტერატურული გამოცდილება გამოუცნობ სივრცეებს სთავაზობს და ულვიძებს ვალდებულების გრძნობას, რომელიც მათ სევდის დაძლევაში ეხმარება.

*მხატვრული ბიოგრაფიები*

წარსულში გადავარდნა ან დაკარგული აწმყოს განცდა ამტკიცებს თეზას იმის შესახებ, რომ სუბიექტი თავის თავს მხოლოდ სხვისი მეშვეობით შეიმეცნებს. ამ ფაქტის გააზრება ეხმარება ანი ერნოს, პიერ ბერგუნიუსა თუ ჟან რუოს, აღწერონ შინაოჯახურ ურთიერთობათა სიღრმისეული სურათები, რაც, თავის მხრივ, შთააგონებს სხვა ავტორებს ეძებონ გამოსახვის განსხვავებული ფორმები. მხატვრული ბიოგრაფიისა და ავტობიოგრაფიის ჟანრის ტექსტები – კინიარის, მიშონის, მასეს, ლუი კომბეს ავტორობით – ეს ნახევრადჯადოსნური, ნახევრადმავედრებელი რომანები, რომლებიც ზოგჯერ მთელ კოლექციებად არის გაერთიანებული („ ერთი და სხვა“ გამომცემლობა „ გალიმარში“), გამოხატავენ ან ამყარებენ ნათესაურ ურთიერთობებს, რომლებიც უფრო თავისუფალ არჩევანს ეფუძნება, ვიდრე ბიოლოგიურ კავშირებს, რის გამოც ეს ნათესაობა ბუნდოვანი და გაურკვეველია.

ყველაზე ლეგენდარული მწერლები – რემბო (პიერ მიშონთან, დომინიკ ნოგეზთან, ალენ ბორესთან...), თრაკლი (კლოდ ლუი-კომბესთან, მარკუს ფრომან-მიორისთან, სილვია ჟერმენთან...), ბოდლერი (ბერნარ-ანრი ლევისთან), ჰარტ კრეინი (ჟერარ ტიტუს-კარმელთან), კაფკა (ბერნარ პინგოსთან); გამოჩენილი მხატვრები (ვან გოგი, გოია – მიშონთან; ფრიდა კალო – ლეკლეზიოსთან; კარავაჯო – ვოლტერთან) – ძალიან ხშირად გაცოცხლებულ წარსულად გვევლინებიან ხოლმე. მათი ახლიან მოგონილი, დაწვრილებით შესწავლილი ბიოგრაფიები გვხიბლავს და ხელოვნების ძალას გადავყავართ ეპოქაში, რომელიც „ უიმედოდ“ დავიწყებული გვეგონა. მაგრამ საკმარისია შევეხოთ ნაკლებმნიშვნელოვან პიროვნებებს (მიშონის „ მიზერული ცხოვრებანი“; ბერგუნიუს „ ნამცეცა“), რომ მაშინვე ჩნდება საბაბი, თითოეული ადამიანი შევაფასოთ მისი ოცნებების მიხედვით და თითოეული სიცოცხლე შევავსოთ იმით, რაც მასში არ არის. ბიოგრაფიებისა და ფანტაზიების მიმართ არსებული ინტერესი უკვდავყოფს იმ მარგინალური ლიტერატურული ფორმის წარმატებას, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისში დაამუშავა მარსელ შვობმა თავის „ წარმოსახვით ბიოგრაფიებში“. ასე რომ, ლიტერატურა შემოვლითი გზებით უბრუნდება ძველ ფორმას, ოღონდ არა ისტორიული ან რეალისტური ეპოპეის სახით, არამედ იმით, რომ ცდილობს დაეუფლოს სუბიექტური გამოცდილების სიღრმისეულ მასალას.

▶▶ გაგრძელება იქნება



## მოწოდება

ქართველნო! გამოვფხიზლდეთ!
ფართოდ გავახილოთ თვალი!
უწმინდესი მამაა ჩვენი და წინამძღვარი
უფლისკენ მიმავალი გზის სათავეში მდგარი,
უწმინდესი ჩვენი, წინასწარმეტყველია,
ძველ წინასწარმეტყველთა დარი,
უწმინდესი დიდი მოწამეა,
ჩვენი ცოდვებისათვის ჯვარზე გაკრული კრავი;
იგი მეცამეტე მოციქულია
მსგავსი მოციქულთა თავის.
საქართველოს მისი ღვაწლის გათავისება მართებს,
დავძლიოთ შემოტევა ბოროტისა და ავის,
ეკლესია-მონასტრების საკუთარი ხელით ნგრევის
ცოდვა ჯერ კიდევ ჩვენ მხრებზე არის,
სულიერი ტაძრებისა და სიწმინდეების ნგრევით
ახალ ცოდვას ნუღარ გავამრავლებთ
წინ გავიხედოთ,
ჩვენ უკან ქართველთა მომავალი არის!
თუ გონს ვერ მოვეგებით და
ღმერთს არ გავიხსენებთ
გადაშენებისა და გაქრობის
ზღვართან ვართ მდგარნი!!!

**მონაზონი ელენე (ნაფეტვარიძე)**
თბილისი, 6.02.23

---

## რევაზ ჩაფიძე

### სიტყვა „კვინტესენციას"

***ტიტე ხოხუას ხსოვნას***

თუ გახედავ, მუხათგვერდი
მცხეთის ჯვარის ფარდია!
ზღვის დონიდან, ყვავილებში
– უფრო მეტი ვარდია!

უნდა გაახილოს თვალი
თებერვალში მანდ იამ!
საკადრისი სიტყვა გითხრა
შენმა გვანჯი მანიამ!

საცხონებლად სიყვარული
ბევრი დაგრჩა მონამკი!
და ბოლომდე თოვლში იდგა
– ლერი ალიმონაკი!

გაცრეცილა ბევრი ღამე
– ჭიქაში ჩანათალი!
ქალის ცრემლი სხვა არი და
– დაგიტირა ნატალიმ!

ჩვენც ნელ-ნელა ამოვავსებთ
შავ ხაროს და შავ ორმოს!
კარებს მომიჯაჯგურებდი
– გააღეო, „შე ბორო"!

„ლიტგაზეთი" მოიკითხე,
რომ დაგხედე სულ ბოლოს!
ახლა, ძმაო, ორ კვირაში
ძლივს უშვებენ მას მხოლოდ!

გითხარი და „ორ პარასკევს"
ღმერთს ვთხოვდი, რომ ეცლია!
რომ გიყვარდა, წერტილად ვსვამ
– სიტყვა კვინტესენციას!

15.02.2023 წ.

---

## კირბი – ოქროს საწმისი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოველკვარტალური ჟურნალი „კირბი", როგორც ყოველთვის, მრავალფეროვანი და საინტერესო პუბლიკაციებით წარდგა მკითხველის წინაშე. ეს გახლავთ №8, 2022 წ., დეკემბერი.

რუბრიკა „პუბლიცისტური პანორამა" წარმოგიდგენთ ნუნუ დაუშვილის სტატიას „ყველაფერი იქნება ისე, როგორც ქართველი ხალხი მოისურვებს" და გური ოტობაიას წერილს „მშვიდობის ქართული პარადიგმა".




რუბრიკა „მარადიული ფასეულობანი" იწყება ნანა კუციას რეცენზიით მარიამ ფეტელავას მიერ შედგენილ წიგნზე „იბერიული პოეზიის ანთოლოგია I".

შემდეგ კი წარმოდგენილია პოეტური ანთოლოგია: „გილგამეშიანი" (კარი მეთერთმეტე), „თამბი", „ბილება" (სვანურიდან თარგმნა დავით წერედიანმა), „ლექსი ვეფხისა და მოყმისა", „ამბავი ნართებისა" (ამონარიდი. თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა), „უფროსი ედა" (თარგმნა გ. კალანდაძემ), ბერნატ ეჩეპარე (ბასკურიდან თარგმნეს სალომე გაბუნიამ და ნააეა სტურუამ), „მგლების სიმღერა" (ჩეჩნური ლექსი. თარგმნა მამუკა წიკლაურმა), ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი", რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა", კოსტა ხეთაგათის „აფსათი", აკაკი წერეთლის „განთიადი", ვაჟა-ფშაველას „რამ შემქმნა ადამიანად", უილიამ ბატლერ იეიტსის „ჟღალი ჰანრაჰანის სიმღერა ირლანდიაზე" (თარგმნა გია ჯოხაძემ), პაოლო იაშვილის „პოეზია", გალაკტიონ ტაბიძის „ეფემერა", ტერენტი გრანელის "Memento Mori", გიორგი ლეონიძის „ყივჩაღის პაემანი", „დანიელ ფიფიას „ბორჯი" (მეგრულიდან თარგმნა კობა ჭუმბურიძემ), მიხა ხელაშვილის „ლექსო, ამოგთქომ…", ნიკო სამადაშვილის „შენ ჩემში უსტვენ…", ირაკლი აბაშიძის „ხმა კატამონთან", მურმან ლებანიძის „ვოი!" ჰასან ჰელიმიშის „ჭუტა ქარმატე" (ლაზურიდან თარგმნა გური ოტობაიამ", მიხეილ ქვლივიძის „იუდას მონოლოგი", მუხრან მაჭავარიანის „საბა", ვახტანგ ხარჩილავას „მონოლოგი წარსულიდან", ზაზა თვარაძის "Din Ringill", დათა გულუას „გზა ტაჯ-მადალის", ოტია იოსელიანის მოთხრობა „მეწინავე".

## თეატრალური აფიშა



### რუსთაველის ეროვნული თეატრი

რუსთაველის გამზ., № 17

**17 თებერვალი**
პარასკევი – 19.00 სთ.,
ექსპერიმენტული სცენა
**ჰედა გაბლერი**
*ავტორი:* *ჰენრიკ იბსენი*
დრამა ერთ მოქმედებად

**18 თებერვალი**
შაბათი – 19.00, დიდი სცენა
**ვანო და ნიკო**
*ავტორი:* *ერლომ ახვლედიანი*
ერთ მოქმედებად

**19 თებერვალი**
კვირა – 15.00 სთ, დიდი სცენა
**პატარა უფლისწული**
*ავტორი: ანტუან დე სენტ–ეგზიუპერი*

**23 თებერვალი**
ხუთშაბათი – 19.00,
ექსპერიმენტული სცენა
**„ქარი მწყურია მე პირდაპირი"**
მონოსპექტაკლი ერთ მოქმედებად

**24 თებერვალი**
პარასკევი – 19.00, მცირე სცენა
**ძუნწი**
*ავტორი: გიორი ერისთავი*
კომედია ერთ მოქმედებად

**26 თებერვალი**
კვირა – 19.00, დიდი სცენა
**მარია კალასი. გაკვეთილი**
*ავტორი: ტერენს მაკნელი*
ერთ მოქმედებად

**თეატრის სამხატვრო**
**ხელმძღვანელი – რობერტ სტურუა**

---



### მარჯანიშვილის თეატრი

თბილისი, მარჯანიშვილის ქუჩა №8

**17 თებერვალი,**
პარასკევი – 20.00 სთ.
**ჟოლო**
*ავტორი: კოკი მიტანი*
რეჟისორი: ლევან წულაძე

**18 თებერვალი**
შაბათი – 20.00.
**კრეიცერის სონატა**
*ავტორი: ლევ ტოლსტოის მიხედვით*
რეჟისორები: ლევან წულაძე,
თემო კუპრავა

**19 თებერვალი**
კვირა – 20.00
**უჩინმაჩინის ქუდი**
*ავტორი: გიორგი ერისთავი*
რეჟისორი: ციცინო კობიაშვილი

**21 თებერვალი**
სამშაბათი – 20.00
**ვთამაშობთ ვოდევილს**
*ავტორები: აკაკი წერეთელი,*
*ნიკოლოზ ნეკრასოვი*

რეჟისორი: ციცინო კობიაშვილი

**22 თებერვალი**
ოთხშაბათი – 20.00
**ფიგაროს ქორწინება**
*ავტორი: პიერ ბომარშე*
რეჟისორები: ლევან წულაძე,
თემო კუპრავა

**23 თებერვალი**
ხუთშაბათი – 20.00
**ინციდენტი მეტროში**
*ავტორები: ლევან წულაძე,*
*თემო კუპრავა*
რეჟისორები: ლევან წულაძე,
თემო კუპრავა

**24 თებერვალი**
პარასკევი – 20.00
**ბატელი**
*ავტორი: ანა სანაია*
რეჟისორი: ანუკი ხიდეშელი

**25 თებერვალი**
შაბათი – 20.00
**კრეიცერის სონატა**
*ავტორი: ლევ ტოლსტოის მიხედვით*
რეჟისორები: ლევან წულაძე,
თემო კუპრავა

**26 თებერვალი**
კვირა – 20.00.
**დანაშაული და სასჯელი**
*ავტორი: ფიოდორ დოსტოევსკი*
რეჟისორი: ლევან წულაძე

**28 თებერვალი**
სამშაბათი – 20.00
**ცუდი ბიჭები**
რეჟისორი: ანი ხიდეშელი

---

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული გური ოტობაიას შემოქმედებითი საღამო ასახულია ნანა კუციას, ეკა ცხადაძის, მარინე ტურავას, იური პაპასქუას, ნანა ხუფენიას, კონსტანტინე ფეტელავას სიტყვებსა და წერილებში.

რუბრიკით „ესთეტიკური ლელო" დაბეჭდილია ლევან ბებურიშვილის, სოსო სიგუას, მარიამ მირესაშვილის, მანანა გელაშვილის, სალომე კაპანაძის, ნანა კუციას, მაია ჯალიაშვილის, ჟაკლინ სირაძის წერილები ქართული და საზღვარგარეთული ლიტერატურის აქტუალურ თემებზე.

რუბრიკა „ბელეტრისტული ტრიბუნა", რომელიც მიჰყავს ჟურნალის მთავარ რედაქტორს, გური ოტობაიას, ეძღვნება ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი პროფილის განხილვას.

ჟურნალის ნომერი მთავრდება საინფორმაციო ბლოკით, რომელშიც მოთხრობილია საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მომხდარი ლიტერატურულ-კულტურული ამბები.

მთავარი რედაქტორი **ივანე ამირხანაშვილი**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ელისაბედ მეტრეველი**
ფინანსური მენეჯერი **ქეთევან დემეტრაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ბელა გველესიანი, მზია ბარბაქაძე**
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური **ვოლდემარ ვანსკი**

„ლიტერატურული საქართველოს"
საბანკო ანგარიშის ნომერი:
საქართველოს ბანკი,
GE43BG0000000161665862

გაზეთი გამოდის 2 კვირაში ერთხელ

დაბეჭდილია შპს **„საარის"** სტამბაში
მისამართი:
თბილისი, თევდორე
მღვდლის 57

ISSN 2720-8540

ზანდუკელის №1; ტელ.: 293 69 77 E-Mail: litsaqartvelo@yahoo.com